

თეზიზ ღილუაზვილი

**საერთაშორისო
კერძო სამართალი**

**თბილისი
2001**

ყველა უფლება დაცულია

© გამომცემლობა „ჯისიაი“ - 2001 წ.

© თენგიზ ლილუაშვილი.

ISBN 99928-21-40-X

შინაარსი

დათქმა	7
I. საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება	9
§1. ეროვნული და საერთაშორისო სამართალი	9
§2. საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება და საგანი	14
§3. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები	19
II. საკოლიზიო ნორმის ცნება და შინაარსი	24
§1. საკოლიზიო ნორმის ფუნქცია, სტრუქტურა და ელემენტები	24
1. საკოლიზიო ნორმის ფუნქცია	24
2. საკოლიზიო ნორმის სტრუქტურა და ელემენტები	26
3. საკოლიზიო ნორმების სახეები	28
4. საკოლიზიო საბამის (საკოლიზიო პრინციპების) სახეები	32
§2. საკოლიზიო ნორმის მოქმედების შეზღუდვა	40
1. დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ	41
2. დათქმა იმპერატიული ნორმების შესახებ	45
3. უკუმითითება ან მესამე ქვეყნის კანონზე მითითება	48
III. პირები საერთაშორისო კერძო სამართალში	51
§1. უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა (სტატუსი)	51

§2. სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის სუბიექტი	56
§3. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი	59
თავი IV. სანივთო სამართლის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში	63
§1. მოკლედ სანივთო სამართლის შესახებ	63
§2. სანივთო სამართლის საკოლიზიო საკითხები	66
თავი V. გარიგება საერთაშორისო კერძო სამართალში	74
§1. საგარეო ეკონომიკური გარიგებები	74
§2. გარიგების საკოლიზიო საკითხები	77
1. ნების ავტონომია და მისი ფარგლები	77
2. სამართლის გამოყენება, როცა მხარეებს არ აურჩევიათ რომელმე ქვეყნის სამართალი	84
§3. გარიგების ნამდვილობა, გარიგების ფორმა	87
თავი VI. დელიქტების საკოლიზიო საკითხები	91
§1. დელიქტების ზოგადი საკოლიზიო პრინციპები	91
§2. გამონაკლისები დელიქტების ზოგადი საკოლიზიო პრინციპებიდან	93
თავი VII. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები საერთაშორისო კერძო სამართალში	96
§1. საოჯახო სამართლის საკოლიზიო საკითხები	97
1. დაქორწინების პირობები	97
2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები დაქორწინების გაფორმება	100
3. ქორწინების შედეგები	102

4. რჩენის მოვალეობა	105
5. ქორწინების შეწყვეტა	108
§2. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის საკოლიზიო საკითხები	110
1. მეურვეობა და მზრუნველობა	113
2. შვილად აყვანა	115
VIII. მემკვიდრეობის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში	118
IX. საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი	122
§1. საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ცნება	122
§2. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია	125
1. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. შეთანხმება საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე	132
2. შეთანხმებები სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე	133
3. საერთაშორისო კერძო სამართლის საქმეთა განხილვის წესი საქართველოს სასამართლოებში	135
4. იურისდიქციის კონფლიქტი	137
§3. უცხოელთა საპროცესო სამართლებრივი მდგომარეობა	140
§4. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა	144
§5. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ და მისი შესრულების წესი	151
§6. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება	157

თავი X. საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟი	165
§1. საჭიროა თუ არა საქართველოს კანონი საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ	165
§2. საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვის უპირატესობა	166
§3. საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში და ეროვნულ არბიტრაჟში (სამედიატორო სასამართლოში) საქმეთა განხილვისათვის ერთგვაროვანი საპროცესო წესების შემოღების მიზანშეწონილობა	169

დანართები:

1. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ	171
2. საქართველოს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ (პროექტი)	204

წინათქმა

I

ცენტრალიზებული ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფო მონოპოლიის პირობებში საერთაშორისო კერძო სამართლის სწავლებას, აგრეთვე ამ სფეროში ცალკეული პრობლემების კვლევას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. იურისტების მომზადება ძირითადად და უმთავრესად ორიენტირებული იყო შინასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებსა და საწარმო-დაწესებულებებში მუშაობისათვის, რომლებსაც არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ უშუალო კავშირები უცხო ქვეყნის იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან. ამჟამად ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა: კერძო სამართლებრივი ურთიერთობები საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებსა — ერთი მხრივ და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის — მეორე მხრივ, განუწყვეტლივ ვითარდება და ფართოვდება. ამას ისიც ემატება, რომ საქართველო უკვე ეკუთვნის იმ ქვეყნების ჯგუფს, რომლებშიც საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები კოდიფიცირებულია ცალკე კანონში: 1998 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 1998 წლის 1 ოქტომბრიდან. ამ დროიდან მოყოლებული საქართველოს სასამართლოებში განხილულია და განსახილველად შემოსულია რამოდენიმე საქმე უცხოური ელემენტის მონაწილეობით.

II

ეს დამხმარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ლექციების მოკლე კურსს, რომელსაც ვკითხულობდით საქართველოს მეც-

ნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან არსებულ ჰუმანიტარულ ინსტიტუტში და თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი სისტემა აგებულია საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის შესაბამისად. გათვალისწინებულია აგრეთვე სტრასბურგის 1997 წლის სესიაზე საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელმაც განსაზღვრა არამართო ამ საგნის სწავლების სავალდებულობა ყველა უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში, არამედ აგრეთვე შემდეგი სავალდებულო თემები საერთაშორისო კერძო სამართლის კურსისათვის: 1. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები; 2. საერთაშორისო საჯარო და საერთაშორისო კერძო სამართლის თანაფარდობა; 3. სამართლის არჩევის პრობლემა; 4. საერთაშორისო კონტრაქტები; 5. უცხო იურიდიული და ფიზიკური პირები; 6. საერთაშორისო დელიქტები; 7. საერთაშორისო საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი; 8. სასამართლო იურისდიქციის პრინციპები; 9. საერთაშორისო არბიტრაჟი; 10. საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება.

III

წიგნი გათვალისწინებულია უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების, საერთაშორისო ურთიერთობათა პროფილის ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, პრაქტიკოსი იურისტებისა და საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

საერთაშორისო კერძო სამართლის ცნება

§1. ეროვნული და საერთაშორისო სამართალი

უკვე დიდი ხანია არავითარ დავას არ იწვევს, რომ ქცევის რეგულირების გარეშე არცერთი საზოგადოება არ არსებობდა და რომ ბევრი ცივილიზაციის დაცემა და გადაგვარება გამოწვეული იყო საკუთარი ქცევის წესებისა და ნორმების დარღვევითა და იგნორირებით.

ადამიანების ქცევის რეგულირება გარკვეული ნორმების საფუძველზე ხდებოდა და ხდება. ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანებს შორის ურთიერთობას წარმოადგენენ სოციალურ ნორმებს, როგორცაა მაგალითად მორალური ნორმები, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, სამართლებრივი ნორმები და ა.შ.

ამ სოციალურ ნორმებს შორის სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი მთავარი და პრაქტიკული მიზნებისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა: სახელმწიფოს, თუ იგი ამის საჭიროებას და აუცილებლობას ხედავს, ყოველთვის შეუძლია შეიმუშაოს და მიიღოს სამართლის ნორმა ადამიანის მოღვაწეობის ამა თუ იმ სფეროს მოსაწესრიგებლად, აღჭურვოს ეს ნორმა შესრულების უზრუნველყოფის შესაფერისი ღონისძიებებით, მაშინ როდესაც სხვა სოციალური ნორმების შემუშავებას და დანერგვას სჭირდება წლები და ზოგჯერ საუკუნეებიც.

სამართლის წარმოშობას უშუალოდ უკავშირებენ სახელმწიფოს წარმოშობას, რომელიც არამარტო ქმნის სამართლის ნორმებს, არამედ უზრუნველყოფს მათ შესრულებას იძულებით-

თი ძალის გამოყენებით. ამასთან ერთად, თითოეულ სახელმწიფოს აქვს თავისი სამართალი, რომელიც ამ სახელმწიფოს ფიზიკურ პირთა და იურიდიულ პირთა ქცევის წესებს არეგულირებს.

სამართლის ნორმები, რომლებიც ერთი სახელმწიფოს შიგნით წარმოშობილ კერძო თუ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ, მათ ერთობლიობაში ქმნიან ეროვნულ (ნაციონალურ) სამართალს.

ეროვნული სამართალი ყოველთვის გულისხმობდა და გულისხმობს ერთ ეროვნულ სახელმწიფოდ ორგანიზებული ქვეყნის შიგნით წარმოშობილ კერძო სამართლებრივ თუ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა მოწესრიგებას. ეროვნული სამართალი მთლიანად მოწოდებულია მოაწესრიგოს სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ურთიერთობები მოქალაქეებს შორის, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორის, იურიდიულ პირებს შორის და ა.შ.¹

მაგრამ ეს სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ურთიერთობები არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობებით.

ჯერ ერთი, თვითონ სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობდეს იზოლირებულად. მის წინაშე ყოველთვის წამოიჭრება იმის აუცილებლობა, რომ იქონიოს ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან. მეორეც, თვითონ ამ სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირების წინაშე წამოიჭრება იმის აუცილებლობა, რომ დაამყარონ ურთიერთობები სხვა ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ასეთი აუცილებლობა არსე-

¹ ეროვნული კერძო სამართლის წარმოშობისა და კერძო და საჯარო სამართლის ურთიერთგამოყენის შესახებ იხ. ლ. ჭანტურია. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში. თბ. 1997, გვ.23 და 40.

ბობდა მუდამ, რომელიც სისტემატურად ფართოვდებოდა, რასაც ხელს უწყობდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების, ტრანსპორტის განვითარება.

რაც შეეხება საქართველოს, ამ ბოლო დრომდე არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლამ, ცენტრალიზებული ეკონომიკის, ანუ მუერნობის გაძლოლის საკომანდო-ადმინისტრაციული სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ შექმნა იმის პირობები, რომ საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კავშირები უცხო ქვეყნების შესაბამის პირებთან განუსაზღვრელად გაფართოებულიყო. დღეს ჩვენი ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირი, ესა თუ ის პოლიტიკური ორგანიზაცია და ა.შ. თავიანთი ინტერესების რეალიზაციის მიზნით უფლებამოსილნი არიან ითანამშრომლონ არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ სხვა ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სხვა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების საკითხები, ე.ი. ისეთი ურთიერთობების საკითხები, რომლებშიც ძირითად სუბიექტებად გამოდიან სახელმწიფოები, როგორც სუვერენული პოლიტიკური ერთეულები, აგრეთვე სახელმწიფოების მიერ შექმნილი საერთაშორისო სამთავრობათშორისი ორგანიზაციები — წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის, ანუ როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროს. საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროებია სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმები, როგორცაა საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო ჩვეულებები.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ საერთაშორისო საჯარო სამართლის ნორმებს ქმნის არა რაიმე ზესახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ორგანო, არამედ თვით საერთაშორისო სამართლის სუბიექტები. ეს სუბიექტები, თავის მხრივ, კისრულობენ მათივე მიერ მოწონებული და მიღებული ნორმების შესრულებას.

ამრიგად, საერთაშორისო სამართალი — ესაა იმ ნორმების, ანუ ქცევის წესების ერთობლიობა (სისტემა), რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნება და რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია თვით ამ სახელმწიფოების მიერ ინდივიდუალურად და კოლექტიურად².

ამასთან ერთად, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ერთმანეთთან თანამშრომლობენ არამარტო სხვადასხვა სახელმწიფოები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები (ფიზიკური პირები) და საწარმო-დაწესებულებები (იურიდიული პირები), ორგანიზაციები, რომლებიც თვითონ უშუალოდ არ არიან იურიდიული პირები, მაგრამ შეუძლიათ გამოვიდნენ იურიდიული პირის სახელით (მაგალითად, სამინისტრო სახელმწიფოს სახელით), ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — დამოუკიდებლად.

ეს ფიზიკური და იურიდიული პირები არ შეიძლება იყვნენ საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტები. მათი ერთმანეთთან ურთიერთობა წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს. სხვანაირად რომ ვთქვათ, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობები — ეს ისეთი ურთიერთობებია, რომლებიც სახელმწიფოს შიგნით რომ წარმოშობილიყო მათ ტრადიციულად ვუწოდებდით სამოქალაქო სამართლებრივ (ფართო გაგებით) ურთიერთობებს. მაგრამ ამგვარ ურთიერთობებს საერთაშორისო კერძო სამართლებრივს იმიტომ ვუწოდებთ, რომ ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირია. საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობასთან საქმე გვაქვს ყოველთვის, როდესაც ურთიერთობაში მონაწილეობს უცხოური ელემენტი. უცხოური ელემენტი კი ურთიერთობაში გვაქვს მაშინ, როდესაც

² საერთაშორისო საჯარო სამართლის ცნებისა და საგნის შესახებ იხ. ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ. 1994. გვ.3-6.

საც: ა) ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირია; ბ) ასეთი ურთიერთობის ობიექტი არის ნივთი, რომელიც უცხოეთში იმყოფება; გ) იურიდიულ ფაქტს, რომელიც იწვევს სამოქალაქო ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას, ადგილი ჰქონდა უცხოეთში.

ამრიგად, იმისათვის, რომ ესა თუ ის ურთიერთობა საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობას მივაკუთვნოთ საჭიროა ორი პირობის ერთდროულად არსებობა: ურთიერთობაში უნდა მონაწილეობდეს უცხოური ელემენტი და ეს ურთიერთობა უნდა იყოს სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი, ე.ი. უნდა რეგულირდებოდეს სამოქალაქო სამართლით (საკორპორაციო სამართლით, შრომის სამართლით და ა.შ.).

მაგალითად, საქართველოს ორ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება ამა თუ იმ დანიშნულების (სასტუმრო, საცხოვრებელი ბინა, საოფისე და ა.შ.) ნაგებობაზე. ცხადია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობასთან. მაგრამ როგორც კი ამ ურთიერთობაში შეიცვლება ერთ-ერთი სუბიექტი და ამ იჯარის ხელშეკრულებაში ერთ-ერთ მხარედ მოგვევლინება უცხოეთის მოქალაქე ან უცხოეთის იურიდიული პირი, ჩვენ უკვე საქმე გვექნება საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობასთან. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ამ ურთიერთობიდან წარმოშობილ ვალდებულებას, წამოიჭრება საკითხი, ჯერ ერთი, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს დავა და მეორე, რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ დავის გადაჭრის დროს: იმ ქვეყნის კანონი, რომელსაც მეიჯარე ეკუთვნის, თუ იმ ქვეყნის კანონი, რომელსაც მოიჯარე ეკუთვნის.

სხვანაირად რომ ვთქვათ ისეთ ურთიერთობებში, რომლებშიც უცხოური ელემენტი მონაწილეობს, ყოველთვის წამო-

იჭრება ე.წ. „კოლიზიური საკითხი“³, ანუ საკითხი იმის შესახებ გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს კანონი, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს საიჯარო ქონება და ამ ქონების იჯარით გამცემიც საქართველოს მოქალაქეა, თუ, ვთქვათ საფრანგეთის შესაბამისი კანონი, რომლის მოქალაქეც სადავო ქონების მოიჯარეა.

საერთაშორისო კერძო სამართალი მოწოდებულია პასუხი გასცეს ყველა ამგვარ საკითხზე, რომლებიც წამოიჭრებიან ისეთ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც უცხოური ელემენტითაა დატვირთული.

§2. სამართაშორისო კერძო სამართლის ცნება და საბანი

იმის მიხედვით თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების რომელ სფეროებს აწესრიგებენ სამართლებრივ ნორმებს აჯგუფებენ სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით: მაგალითად, სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს ქმნიან სამართლის დარგს, რომელსაც სამოქალაქო სამართალი ეწოდება, სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შრომით ურთიერთობებს, შრომის პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებენ, ქმნიან სამართლის დარგს, რომელსაც შრომის სამართალი ეწოდება და ა.შ.

მაშასადამე სამართლის საგანი არის ის, რისკენაც მიმართულია რეგულირება, ის რასაც სამართალი არეგულირებს.

³ კოლიზია ლათინური სიტყვაა (collisio) და ნიშნავს საპირისპირო შეხედულებათა, ინტერესთა შეჯახებას. იხ. „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“. თბ. 1973, გვ.208.

იურიდიულ ლიტერატურაში ეს ტერმინი გამოყენებულია ერთი და იგივე სფეროს მოსაწესრიგებლად სხვადასხვა ნორმების შინაარსობრივი განსხვავების (კონფლიქტის) აღსანიშნავად.

აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა თუ რა იქნება საერთაშორისო კერძო სამართლის საგანი, მაგრამ სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევეხებოდეთ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ გადმოვცეთ საერთაშორისო კერძო სამართლის ცნებისა და საგნის შესახებ არსებული შეხედულებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის ცნების მიმართ გამოიკვეთა ორი საპირისპირო შეხედულება: ერთი შეხედულების თანახმად საერთაშორისო კერძო სამართლის ფუნქციაა მიგვითითოს თუ რომელი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა უნდა გამოვიყენოთ. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო კერძო სამართალი მოგვაგონებს საინფორმაციო ბიუროს რკინიგზის ვაგზალზე, „სადაც მგზავრს შეუძლია გაიგოს თუ რომელი პლატფორმიდან გადის მისი მატარებელი“⁴.

მეორე შეხედულების თანახმად საერთაშორისო კერძო სამართალი არ შეიძლება გავიგოთ როგორც ცნობათა ბიურო ვაგზალზე, რომელიც აძლევს ცნობებს მგზავრებს თუ რომელ სალაროში უნდა იყიდონ ბილეთი და რომელი ხაზიდან გადის მათი მატარებელი⁵.

პირველი შეხედულების მომხრეთა თვალსაზრისით საერთაშორისო კერძო სამართალი მოიცავს მხოლოდ საკოლიზიონორმებს, რომლებიც მიუთითებენ თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული უცხოური ელემენტით დატვირთული სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. მაგალითად, გერმანელი იურისტი გ. კეგელი წერს, რომ საერთაშორისო კერძო სამართალი მოიცავს

⁴ North P., Fawcett I. Cheshire and North's Private international Law. London, 1992 p.8.

⁵ М. М. Богуславский. Международное частное право. М. 1999. стр.22 და 77.

ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას.⁶

როგორც ვხედავთ, გერმანული დოქტრინის თანახმად საერთაშორისო კერძო სამართალს მიეკუთვნება მხოლოდ საკოლიზიო ნორმები და რომ საერთაშორისო კერძო სამართალი — ესაა საკოლიზიო ნორმების ერთობლიობა.⁷

რუსული (აღრე საბჭოური) დოქტრინის თანახმად საერთაშორისო კერძო სამართალი არ ამოიწურება საკოლიზიო ნორმებით და იგი მოიცავს აგრეთვე მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს უცხოური ელემენტებით და საერთაშორისო სამოქალაქო პროცესს.

არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის უფრო ფართო გაგებაც. მაგალითად ფრანგული დოქტრინის თანახმად საერთაშორისო კერძო სამართალს მიეკუთვნება მოქალაქეობის საკითხები, უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა, კანონების კოლიზიის საკითხები, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი. ასეთი კონცეფცია გავრცელებულია აგრეთვე ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც.⁸

ინგლისურ-საქსონურ სამართლებრივ სისტემებში გარდა საკოლიზიო ნორმებისა საერთაშორისო კერძო სამართალში შეაქვთ აგრეთვე ნორმები იურიზდიქციის კონფლიქტის შესახებ, ანუ ნორმები იმის შესახებ, თუ რა პირობებში შეუძლია ნაციონალურ სასამართლოს განიხილოს სამოქალაქო საქმე უცხოური ელემენტით.

⁶ G. Kegel. Internationales Privatrecht. Munchen. 1987, გვ.4.

⁷ Л. Раппе. Международное частное право. Перевод с немецкого. М., 1960, стр.14.

⁸ М. Иссад. Международное частное право. Перевод с французского. М., 1989, стр.20.

როგორც ავლნიშნეთ 1998 წლის აპრილში მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.

ამ კანონის პირველ მუხლში ჩაწერილია: „ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას“.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად საერთაშორისო კერძო სამართალი მოიცავს კოლიზიურ ნორმებს, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება განვსაზღვროთ თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, აგრეთვე იმ საპროცესო ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ასეთი სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვის წესს.

აქ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი გარემოება: სამოქალაქო საპროცესო სამართალი მართლაც მოწოდებულია მოაწესრიგოს სამოქალაქო საქმეთა, უფრო ზუსტად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება სასამართლოში, მაგრამ თვითონ იგი ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად განეკუთვნება საჯარო სამართლის დარგს.⁹

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლო, რომელიც იხილავს საერთაშორისო კერძო

⁹ W. Kallwass. Privatrecht. Köln 1996, p.17.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ გერმანიაში საპროცესო სამართალი ყოველთვის განიხილებოდა როგორც საჯარო სამართლის დარგი, საფრანგეთში პირიქით არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად არამარტო სამოქალაქო საპროცესო სამართალი, არამედ სისხლის სამართალიც კი კერძო სამართლის სფეროს გაეკუთვნება. M. Reinoud, Droit Civil. T. I. 1956, 67-70.



სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეს — ხელმძღვანელობს მხოლოდ თავისი ქვეყნის საპროცესო ნორმებით.

აქედან გამომდინარე შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ საჯარო სამართლის ისეთი დარგი, როგორცაა სამოქალაქო პროცესი, საერთაშორისო საპროცესო სამართალი, შედის საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში, როგორც ეს ფართოდაა გავრცელებული და აღიარებული.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული მატერიალურ სამოქალაქო (კერძო) სამართალთან, ისე რომ მათი ერთმანეთის გარეშე არსებობა თითქმის შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო სამართალი მატერიალური სამოქალაქო სამართლის გარეშე მოკლებული იქნება ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობას. მიუხედავად ამისა, საპროცესო სამართალი და კერძოდ საერთაშორისო საპროცესო სამართალი არ შეიძლება მივაკუთვნოთ საერთაშორისო კერძო სამართალს: მან შეიძლება განსაზღვროს მხოლოდ პირობები, რომელთა არსებობისას ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს შეუძლია განიხილოს უცხოური ელემენტით დატვირთული საქმეები (იურისდიქცია), აგრეთვე საპროცესო წესები, რომლებიც ასეთი კატეგორიის საქმეთა განხილვის თავისებურებითაა განპირობებული და ამიტომ ისინი არაა გათვალისწინებული ნაციონალური სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით (დაწვრილებით იხ. ქვემოთ, თავი X).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საერთაშორისო კერძო სამართალი შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ:

საერთაშორისო კერძო სამართალი არის საკოლიზიო და საპროცესო ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, აგრეთვე რა პირობების არსებობისას და ამ

ურთიერთობების თავისებურებებით განპირობებული როგორი წესების დაცვით შეუძლია ნაციონალურ სასამართლოებს განიხილონ ასეთი კატეგორიის საქმეები.

§3. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროები

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად სამართლის წყარო — ესაა სამართლის გამოხატულების ფორმა, უფრო ზუსტად სამართლებრივი ნორმის ობიექტივიზაციის გარეგანი ფორმა.¹⁰

საერთაშორისო სამართალში აღიარებული შეხედულების თანახმად საერთაშორისო სამართლის წყაროებია საერთაშორისო ხელშეკრულება და საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულებითი ნორმები. საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება დაუწერიელი ქცევის წესია. იგი ყალიბდება სახელმწიფოთშორისო პრაქტიკის შედეგად, რომლებიც აღიარებენ ამ ქცევის წესის სავალდებულობას ღუმლით, ან ოფიციალური განცხადებით. საერთაშორისო ხელშეკრულება კი პირიქით, მხოლოდ დაწერილი, მხარეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე შექმნილი ნორმაა, რომელიც თავის მხრივ ამკვიდრებს სტაბილურ, მყარ ქცევის წესს.¹¹

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო საჯარო სამართლის წყაროდ არ გვევლინება შინასახელმწიფოებრივი კანონები და სხვა ქვეკანონური აქტები.

სხვაგვარი ვითარება გვაქვს საერთაშორისო კერძო სამართალში. საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია უწინარეს ყოვლისა შინასახელმწიფოებრივი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები.

¹⁰ С. Л. Зиве. Источники права. М., 1981, стр. 8-9.

¹¹ ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 1994, გვ. 121.

რაც შეეხება საერთაშორისო ხელშეკრულებებს — ისინი საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია მხოლოდ გაშუალებული სახით.¹²

საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლის თანახმად საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-ნ მუხლის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ საერთაშორისო სამართლის აღიარებულმა პრინციპებმა და ნორმებმა თავისი ასახვა უნდა ჰპოვონ საქართველოს შინასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში. მაგრამ, თუ რატომღაც ეს არ მოხდა, მაშინ საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, ე.ი. მოქმედებს არა შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი, არამედ საერთაშორისო შეთანხმება თუ ხელშეკრულება. ერთი პირობაა მხოლოდ აუცილებელი ამისათვის: ეს საერთაშორისო ხელშეკრულება თუ შეთანხმება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციამ საერთაშორისო ხელშეკრულებას, უფრო ზუსტად, ამ ხელშეკრულებით განმტკიცებულ ნორმებს, მიანიჭა საქართველოს შინასახელმწიფო-

¹² საერთაშორისო ხელშეკრულებები როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი — წერს ლ. რააპე — არის საერთაშორისო კერძო სამართლის მხოლოდ გაშუალებული წყარო. ისინი სავალდებულოა ხელშეკრულების დამდები სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის იმდენად, რამდენადაც ამ სახელმწიფომ ეს ხელშეკრულებები აქცია კანონებად. ლ. რააპე, მითითებული ნაშრომი, გვ. 21-22.

ებრივი სამართლებრივი ნორმების იურიდიული ძალა. ასეთი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებსაც შეუერთდა და აღიარა საქართველომ კანონით დადგენილი წესით, იძენენ შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტების ხასიათს და, ისე როგორც საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს, შეუძლიათ მოაწესრიგონ კერძო სამართლებრივი ურთიერთობები.

ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ასეთი წესი არ არღვევს იმ ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმად სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიძლება მოქმედებდეს მხოლოდ მისი შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები.

საერთაშორისო კერძო სამართლის შინასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს „კანონს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, რომელშიც უშუალოდ ან განზოგადებული სახით თავისი ასახვა ჰპოვა ყველა იმ ნორმამ თუ პრინციპმა, რომლებიც განმტკიცებული იყო მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაში და არეგულირებდნენ საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ ბოლო დრომდე არ ჰქონდა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ერთიანი კოდიფიცირებული აქტი. სამართლის ამ დარგის ნორმებს შეიცავდა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტები, როგორცაა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საოჯახო სამართლის კოდექსი და ა.შ.

ამჟამად საქართველოს 1998 წლის საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი დეტალურად განსაზღვრავს ამ კანონის გამოყენების სფეროს, უცხო ქვეყნების სამართლის ნორმების შინაარსის დადგენის წესებს, საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას, უცხო ქვეყნების ფიზიკური და

იურიდიული პირების უფლებამოსილებასა და ქმედუნარიანობას, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის კოლიზიურ პრობლემებს, საპროცესო სამართლის საკითხებს და ა.შ.

ცხადია, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონთან ერთად, საერთაშორისო კერძო სამართლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ საქართველოს კანონები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აწესრიგებენ უცხო ქვეყნის ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა სამართლებრივ სტატუსს, როგორცაა მაგალითად საქართველოს 1993 წლის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს 1996 წლის კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ და ა.შ.

როგორც აღნიშნეთ, საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროს თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ჩვეულებით ნორმებს. მაგრამ საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში იძენენ საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროს მნიშვნელობას, როდესაც ეს ნორმები ამა თუ იმ ფორმით აღიარებულია საქართველოს მიერ. საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმების აღიარების ფორმებია ამ ნორმების პრაქტიკულად გამოყენება და მათი კანონით ან დიპლომატიური აქტით აღიარება ოფიციალურად. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებითი ნორმა არ შეიძლება სავალდებულო ძალის მქონე იყოს, თუ ის არ არი აღიარებული საქართველოს მიერ რომელიმე ზემოთ აღნიშნული ფორმით.

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, იმ სახელმწიფოებში, სადაც სამართლის წყაროდ მიჩნეულია სასამართლო პრეცედენტი (მაგალითად, ინგლისი), საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროდ გვევლინება აგრეთვე სასამართლო პრაქტიკა.

საქართველოში სასამართლო პრაქტიკა არ არის სამართლის წყარო და, მაშასადამე, საერთაშორისო კერძო სამართლის წყარო. ამასთან ერთად, სასამართლო პრაქტიკას საქართვე-

ლოში ენიჭება ძალიან დიდი როლი კანონმდებლობის სრულყოფის, ისე მისი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით, საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების აზრისა და შინაარსის სწორად გაგებისათვის.

ამრიგად, საქართველოში საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებსაც შეუერთდა საქართველო კანონით დადგენილი წესით, რის საფუძველზეც მათ შეიძინეს შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის ხასიათი და საერთაშორისო ჩვეულებითი ნორმები, რომლებიც აღიარებულია საქართველოს მიერ.

ბუნებრივია წამოიჭრება საკითხი: თუ საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია შინასახელმწიფოებრივი კანონები და სხვა ნორმატიული აქტები — საქართველოს კანონიც „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ხომ საქართველოს შინასახელმწიფოებრივი კანონია — რატომ ვუწოდებთ მას საერთაშორისოს?

ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქაც გავიმეოროთ: საერთაშორისო კერძო სამართალს მხოლოდ იმიტომ უწოდებენ საერთაშორისოს, რომ იგი განსაზღვრავს თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი კერძო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულირების დროს, რომელიც დატვირთულია უცხოური ელემენტით.

საკოლიზიო ნორმის ცნება და შინაარსი

§1. საკოლიზიო ნორმის ფუნქცია, სტრუქტურა და ელემენტები

1. საკოლიზიო ნორმის ფუნქცია

როგორც ზემოთ ავლენიშნეთ, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება წარმოიშვას ისეთ პირებს შორის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ან იურიდიული პირებია, ან თუმცა ყველანი ერთი სახელმწიფოს პირებია, მაგრამ ობიექტი, რის გამოც ასეთი ურთიერთობა წარმოიშვა, (მაგალითად სამკვიდრო ქონება) უცხოეთშია, ან კიდე, იურიდიულ ფაქტს (მაგალითად, ზიანის მიყენებას) ადგილი ჰქონდა უცხოეთში.

ყოველთვის როდესაც ასეთ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე, სამართალშემფარდებელი ან სხვა ორგანოს წინაშე აუცილებლად წამოიჭრება საკითხი: რომელი ქვეყნის სამართალი (კანონი) უნდა იქნეს გამოყენებული ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

მაგალითად, ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქე არაა, ხოლო ქორწინება განხორციელდა საქართველოში. რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ქორწინების პირობების განსაზღვრისათვის?

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი: საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირები აფორმებენ ერთმანეთთან ხელშეკრულებას იმ ნივთზე (ქონებაზე) საკუთრების უფლების წარმოშობის შესახებ, რომელიც იმყოფება არა საქართველოში, არამედ საფრანგეთში. რომელი ქვეყნის-საქართველოს თუ სა-

ფრანგეთის, სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ამ ნივთზე უფლების წარმოშობის მოსაწესრიგებლად?

და ბოლოს კიდევ ერთი მაგალითი: საქართველოში მყოფ-მა უცხოელმა ტურისტებმა დააზიანეს ნაგებობა, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ. ცხადია წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მაგრამ რომელი ქვეყნის სამართალს უნდა დაექვემდებაროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება: საქართველოს სამართალს, თუ იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ზიანის მიმყენებელი ტურისტები ეკუთვნის?

ანალოგიურ შემთხვევებში იქმნება ისეთი ვითარება, რომელსაც კანონთა კოლიზიას ანუ კონფლიქტს უწოდებენ.

აღიარებულია, რომ კანონთა კოლიზია ემყარება განსხვავებას, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, იმ ქვეყნის სამოქალაქო სამართალს შორის, რომელსაც ერთ-ერთი უცხოური ელემენტი ეკუთვნის და მეორე მხრივ, იმ ქვეყნის სამოქალაქო სამართალს შორის, რომელსაც სამართალშემფარდებელი (სამართალგამომყენებელი) ორგანო (სასამართლო, არბიტრაჟი და სხვა) ეკუთვნის. სინამდვილეში, ასეთი განსხვავება ამ სხვადასხვა ქვეყნის სამართალს შორის შეიძლება არც კი იყოს და სავსებით შესაძლებელია, რომ ისინი სავსებით იდენტურად აწესრიგებდნენ სადავო სამართლებრივ ურთიერთობას. ამიტომ, უფრო ზუსტი იქნება ვაღიაროთ, რომ კანონთა კოლიზია (კონფლიქტი, წინააღმდეგობა, დაპირისპირება) ემყარება არა იმდენად განსხვავებას არამედ ასეთი განსხვავების არსებობის ვარაუდს სხვადასხვა სამოქალაქო (კერძო) სამართალს შორის.

ამიტომ, რახან არსებობს სამართლებრივ წესრიგში განსხვავების ვარაუდი, სამართალგამომყენებელი ორგანოს წინაშე წამოიჭრება „კანონის არჩევის“ (სამართლის არჩევანის) პრობლემა, ე.ი. პრობლემა იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ძირითადი და მთავარი მისია ეკისრება საკოლიზიო ნორმას. საკოლიზიო ნორმა, მაშასადამე, მოწოდებულია პასუხი გასცეს კითხვაზე რომელი ქვეყნის კანონი (სამართალი) უნდა იქნეს გამოყენებული სამართალშემფარდებელი (სასამართლო არბიტრაჟი) თუ სხვა ორგანოს მიერ. ვიმეორებ, ესაა საკოლიზიო ნორმის ძირითადი და შეიძლება ითქვას, ერთადერთი ფუნქცია. მაგრამ საკოლიზიო ნორმა არ იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რა შინაარსისაა კანონი, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტულ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ. გამოსაყენებელი კანონის შინაარსი უნდა დაადგინოს იმ ორგანომ, რომელმაც უნდა გამოიყენოს ეს კანონი, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი (თავი IX §4).

ამრიგად, საკოლიზიო ნორმა, ესაა ნორმა, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ელემენტით დატვირთული კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. ↓

2. საკოლიზიო ნორმის სტრუქტურა და ელემენტები

სტრუქტურა. საკოლიზიო ნორმა არის სამართლის ნორმა, ამიტომ მას არ შეიძლება არ ჰქონდეს ყველა ის ნიშანთვისება, რომელიც ახასიათებს სამართლის ნორმას საერთოდ. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საკოლიზიო ნორმა, ისე როგორც სამართლის ნორმა საერთოდ, თავისი სტრუქტურის თვალსაზრისით ორი ელემენტებისაგან შედგება: ჰიპოთეზა და დისპოზიცია, რომლებსაც საერთაშორისო კერძო სამართალში უწოდებენ, შესაბამისად, მოცულობას (ჰიპოთეზა) და საკოლიზიო ნორმის საბამს (დისპოზიცია), რომელიც წარმოადგენს კონკრეტული ურთიერთობის მიმდგომარეობას (მიმბას)

ამა თუ იმ ქვეყნის სამართალზე, რომელმაც ეს ურთიერთობა უნდა დაარეგულიროს.

ამრიგად, საკოლიზიო ნორმის მოცულობა (ჰიპოთეზა) — ესაა ამ ნორმის მითითება იმ ურთიერთობებზე, რომელთა მიმართ ეს ნორმა გამოიყენება, საკოლიზიო ნორმის საბამი (დისპოზიცია) — ესაა ამ ნორმის მითითება იმ სამართალზე (კომპეტენტურ მართლწესრიგზე), რომელიც ამ სახის ურთიერთობის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული, რომელსაც ეს ურთიერთობა მიემა (მიემაგრა).[[]

მაგალითად, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 32-ე მუხლის თანახმად „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება.“ ამ მუხლში მითითება „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა“ — არის ამ ნორმის მოცულობა რადგან იგი მიუთითებს ურთიერთობებზე, რომელთა მიმართ ეს ნორმა გამოიყენება, ხოლო ამ მუხლის მითითება: „წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება“ — არის ნორმის საბამი. დისპოზიციის ნაცვლად საბამს იმიტომ უწოდებენ, რომ საკოლიზიო ნორმაში მითითებული ურთიერთობა ყოველთვის არის მიმბული (მიმაგრებული, შეიძლება ითქვას მიწერილი) ამა თუ იმ ქვეყნის სამართალზე, რომლის მეშვეობითაც ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს.¹³

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო კერძო სამართლის წყაროებია შინასახელმწიფოებრივი კანონები და სხვა

¹³ საკოლიზიო ნორმის მოცულობა და საბამი მართალია შეესაბამება სამართლის ნორმის ორწევროვან დაყოფას ჰიპოთეზად და დისპოზიციად, მაგრამ საერთაშორისო კერძო სამართალში ისტორიულად გამოიყენება ასეთი ტერმინები (приобретение — რუსულ ენაზე, anknüpfung — გერმანულ ენაზე). ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკოლიზიო ნორმების დახასიათებისას გამოვიყენოთ შესატყვისი ქართული სახელწოდებები.

ნორმატიული აქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი სახელმწიფო ქმნის თავის საკოლიზიო სამართალს. ასეთი მდგომარეობა, თავის მხრივ, ქმნის იმის პირობებს, რომ სხვადასხვა ქვეყნების საკოლიზიო ნორმებით შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გადაწყვეტილი საკოლიზიო საკითხები. ამასთან ერთად, ყოველი სახელმწიფო თავისი საკოლიზიო ნორმების ჩამოყალიბებისას უეჭველად იღებს მხედველობაში როგორც საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენების პრაქტიკას, ისე ამ პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს, მოწინავე მეცნიერების მიღწევებს. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს სხვადასხვა სახელმწიფოების მიერ თავიანთი შინასახელმწიფოებრივი სამართლებრივი (მათ შორის საკოლიზიო) ნორმების ერთგვაროვნად ჩამოყალიბებას, ანუ სამართლის უნიფიკაციას.¹⁴

3. საკოლიზიო ნორმების სახეები

საკოლიზიო ნორმების დაყოფა ცალკეულ სახეებად, მათი კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს იმის მიხედვით, თუ რა უდევს საფუძვლად ასეთ კლასიფიკაციას. მაგალითად, თუ კლასიფიკაციის საფუძვლად გამოვიყენებთ საკოლიზიო საბამის ფორმას, მაშინ საკოლიზიო ნორმები შეიძლება დავეყოთ ცალმხრივად და ორმხრივ ნორმებად. ცალმხრივი საკოლიზიო ნორმა — ეს ისეთი ნორმაა, რომელიც მიუთითებს თუ როდის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის სამართალი. მაგალითად, 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახ-

¹⁴ ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებენ საერთაშორისო კერძო სამართლის უნიფიკაციას იხ. ვ. ზაალიშვილი, ევროპის სამართალი და საერთაშორისო კერძო სამართალი. თურნ. „სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 1999, გვ.59.

აღ. იოსელიანი, საერთაშორისო კერძო სამართლის ევროპიზაცია. თურნ. „სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, 1999, გვ. 41.

მად თუ სარჩენი პირი და მარჩენალი საქართველოს მოქალაქეებია და მათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვთ, გამოიყენება საქართველოს სამართალი. უფრო გავრცელებულია ორმხრივი საკოლიზიო ნორმები, რომლებიც არ მიუთითებენ კონკრეტულად ერთი რომელიმე სახელმწიფოს სამართალზე, არამედ აყალიბებენ ზოგად პრინციპს (მიმაგრების ფორმულას), რომლის მიხედვით შეიძლება გამოსაყენებელი სამართლის არჩევა. მაგალითად, 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით თუ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა ნივთი, რომელზეც წარმოიშვა უფლება „მაშინ ამ უფლების შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გადაიტანეს ნივთი.“ როგორც ვხედავთ, ეს საკოლიზიო ნორმა კი არ უთითებს თუ კონკრეტულად რომელი ქვეყნის (საქართველოს, გერმანიის, იტალიის) სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ მიგვითითებს იმ ქვეყნის სამართალზე, სადაც გადაიტანეს ნივთი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოში ადრე მოქმედი ცალმხრივი საკოლიზიო ნორმები გარდაიქმნენ საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ორმხრივ საკოლიზიო ნორმებად. მაგალითად, 55-ე მუხლის თანახმად მემკვიდრეობით ურთიერთობები წესრიგდება „იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა.“ ეს ნორმა არის ორმხრივი საკოლიზიო ნორმა, მაგრამ იგი შეიძლება ჩამოყალიბებულიყო როგორც ცალმხრივი ნორმა ასეთნაირად „მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს სამართლით, თუ მამკვიდრებელი გარდაცვალებისას საქართველოს განეკუთვნებოდა (მოქალაქე იყო)“. საერთაშორისო კერძო სამართალში ცნობილია დებულება ცალმხრივი საკოლიზიო ნორმის ინტერპრეტაციის გზით ორმხრივ საკოლიზიო ნორმად გარდაქმნის შესახებ.

რეგულირების ხერხის მიხედვით საკოლიზიო ნორმებს ჰყოფენ იმპერატიულ, დისპოზიციურ და ალტერნატიულ ნორმებად.

იმპერატიული საკოლიზიო ნორმა — ეს ისეთი ნორმაა, რომელიც შეიცავს კატეგორიულ მითითებას გამოსაყენებელი ქვეყნის სამართლის შესახებ. მაგალითად, 30-ე მუხლის თანახმად „მოთხოვნის ხანდაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება.“

დისპოზიციური საკოლიზიო ნორმა — ეს ისეთი ნორმაა, რომელიც აძლევს მხარეებს შესაძლებლობას გადაუხვიონ საკოლიზიო ნორმის მითითებას და შეცვალონ ეს მითითება თავიანთი შეხედულებით. მაგალითად, 36-ე მუხლის თანახმად ხელშეკრულება ექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს, თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი. მაშასადამე, მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ საკოლიზიო პრინციპს („ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი“) და თვითონ ურთიერთშეთანხმებით დაუქვემდებარონ ხელშეკრულება მათ მიერ არჩეული ქვეყნის სამართალს.

ალტერნატიული საკოლიზიო ნორმა — ეს ისეთი ნორმაა, რომელიც შეიცავს სამართლის არჩევის რამდენიმე წესს იმ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რომელზეც ამ ნორმის მოცულობა მიუთითებს. მაგალითად, 55-ე მუხლის თანახმად მემკვიდრეობითი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. „ასეთის არ არსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.“ როგორც ვხედავთ, საქართველოს სამართალი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს „უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“. ამიტომ, ჯერ უნდა შემოწმდეს ადგილსამყოფელი და შემდეგ შეიძლება საქართველოს სამართლის გამოყენებაზე მსჯელობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ალტერნატივები ამ შემთხვევაში არ არიან ტოლფასოვანნი.

ამასთან ერთად, არიან ისეთი ალტერნატიული ნორმები, რომლებშიც ყველა ალტერნატივა ტოლფასოვანია და ნებისმიერი მათ შორის შეიძლება იქნეს გამოყენებული. მაგალითად, 45-ე მუხლის თანახმად ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს. „ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება, ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა; ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.“ ცხადია, რომ თუ საკოლიზიო ალტერნატიული მისამბეები ტოლფასოვანია მხარეებს და სამართალშემფარდებელ ორგანოებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი მათგანი.

ბოლოს, საკოლიზიო ნორმების კლასიფიკაციას ახდენენ პრიორიტეტულობის ნიშნით. ამ ნიშნის მიხედვით განასხვავებენ ძირითად (გენერალურ) და სუბსიდიალურ (დამატებით) საკოლიზიო ნორმებს. ძირითადი ანუ გენერალური საბამი მიუთითებს სამართლის არჩევის ძირითად პრინციპზე, ძირითად წესზე, ხოლო დამატებითი – მიუთითებს სამართლის არჩევის სხვა წესზე, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამართლის არჩევის ძირითადი წესი ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ იქნება გამოყენებული. მაგალითად, 35-ე მუხლის თანახმად სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება – მოვალეობების განსაზღვრა წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობათა მოწესრიგება მხარეთა მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით – არის ძირითადი (გენერალური) საკოლიზიო პრინციპი (საბამი). მაგრამ თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, მაშინ „ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამარ-

თაღს“ (36-ე მუხლი). „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის“ გამოყენება არის დამატებითი (სუბსიდი-იალური) წესი ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ძირთადი საკოლიზიო პრინციპი ვერ იქნება გამოყენებული.

4. საკოლიზიო საბამის (საკოლიზიო პრინციპების) სახეები

საერთაშორისო კერძო სამართალში ცნობილია საკოლიზიო ნორმების იმ ელემენტის, რომელსაც საბამს უწოდებენ, სხვადასხვა სახეები (ტიპები). ზოგჯერ საბამის ამ სახეებს უწოდებენ საკოლიზიო პრინციპებს, მიმაგრების ფორმულას და ა.შ. საკოლიზიო პრინციპი თუ მიმაგრების ფორმულა არის ის, რაც გამოხატულია საკოლიზიო ნორმის საბამში (დისპოზიციაში), ამიტომ, ამ ტერმინებს, იქ სადაც მიზანშეწონილად გვეჩვენება ჩვენც გამოვიყენებთ.

მოკლედ განვიხილოთ საკოლიზიო ნორმის საბამის ეს სახეები:

1. პრაღი კანონი (Lex personalis). პირადი კანონის პრინციპი ფართოდ გამოიყენება ფიზიკური პირების სამართლებრივი მდგომარეობის (სტატუსის) განსაზღვრის დროს, კერძოდ სამოქალაქო უფლებათუნარიანობისა და ქმედუნარიანობის, სახელის უფლებისა და ა.შ. განსაზღვრისას. ეს პრინციპი, თავის მხრივ იყოფა: ა) მოქალაქეობის ან ეროვნულობის კანონად (*Lex patrie* და *Lex nationalis*) და ბ) საცხოვრებელი ადგილის კანონად (*Lex domicilii*).

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 23-ე მუხლის თანახმად „ფიზიკური პირის უფლებათუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. ეს წესი ვრცელდება ქორწინების შედეგად ქმედუნარიანობის გაფართოების შემთხვევებზეც.“ ამავე კანონის 44-ე მუხლის თანახმად „ქორწინების პირობები თითოეუ-

ლი დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. საცხოვრებელ ადგილსამყოფელზე მიუთითებს 22-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად თუ ფიზიკური პირი მოქალაქეობის არმქონეა, ან შეუძლებელია მისი მოქალაქეობის დადგენა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

უნდა აღინიშნოს, რომ „Lex personalis“ პრინციპი მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ ისეთი ვითარებისაგან, როდესაც უცხოელ ფიზიკურ პირებს ენიჭებათ იგივე უფლებები, რაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს. მაგალითად, სკს კანონის 21-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. ამ მუხლის დებულება მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ უცხოელებს ენიჭებათ საქართველოში ეროვნული რეჟიმი, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირების უფლებების შემზღუდველი ნორმები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა საკოლიზიო ნორმებთან, არა კოლიზიაში მყოფი კანონების არჩევასთან, არამედ ჩვეულებრივ მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან, რომელიც განსაზღვრავს, რომ უცხოელების მიმართ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა გამოიყენება იმ მოცულობითა და შინაარსით, როგორც საქართველოს მოქალაქეების მიმართ.

როგორც აღვნიშნეთ, პირადი კანონის ერთ-ერთი სახესხვაობაა „საცხოვრებელი ადგილის კანონი“ (*Lex domicilii*)

საერთაშორისო კერძო სამართალში, ისე როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართალში „საცხოვრებელი ადგილისა“ თუ „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის“ ცნებების მნიშვნელობა და შინაარსი საკმაოდ დეტალურადაა გაშუქებული აქ საკმარის-

სია მიუთითოთ მის ერთ მნიშვნელობაზე: პირის საცხოვრებელ ადგილზე თუ მის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელზე ხშირად დამოკიდებულია იმ ქვეყნის სამართლის არჩევა, რომლითაც უნდა მოწესრიგდეს საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობა, აგრეთვე, ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია, ანუ საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს ასეთი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები.

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ფიზიკური პირების მიმართ იყენებს არამართ „საცხოვრებელი ადგილის“, არამედ „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის“ ცნებასაც (იხ. მუხლები 9,13,14,15,16, და სხვა), ხოლო იურიდიული პირების მიმართ „რეზიდენციას“, ხოლო იშვიათად იურიდიული პირის ადმინისტრაციის „ფაქტობრივ ადგილსამყოფელს“ (იხ. მუხლები 9,10,24,26).

უნდა აღინიშნოს, რომ „საცხოვრებელი ადგილის“, თუ „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის“ ცნებების შინაარსი ყველას ერთნაირად არ ესმის.¹⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლი განსაზღვრავს ფიზიკური პირის „საცხოვრებელი ადგილის“ ცნების შინაარსს: 1. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. 2. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი.“

სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ფიზიკური პირის „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის“ განსაზღვრას. ერთი რამ ცხა-

¹⁵ დაწვრილებით ამის შესახებ ლ. ჭანტურია. დასახ. ნაშრომი, გვ. 172-188.

დია, ფიზიკური პირის „საცხოვრებელი ადგილი“ და მისი „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის“ ცნებების შინაარსი განსხვავებულია: ფიზიკური პირს შეიძლება საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს ერთ ქვეყანაში, ვთქვათ საფრანგეთში, ხოლო ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი სხვა ქვეყანაში, მაგალითად საქართველოში. საცხოვრებელი ადგილი ესაა პირის ნებით არჩეული უმთავრესი ადგილი, სადაც მას განსაზღვრული აქვს მუდმივად და ფაქტიურადაც ცხოვრება, ხოლო „ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“ – ესაა პირის მხოლოდ ფაქტობრივი ყოფნა გარკვეულ ადგილას და გარკვეული დროის განმავლობაში, რაც შეიძლება განპირობებული იყოს არა ამ ადგილას მუდმივი ცხოვრების სურვილით, არამედ ამ ადგილას დროებით, სამსახურებრივი თუ საერთოდ რაიმე პროფესიული საქმიანობის განხორციელების აუცილებლობით.

რაც შეეხება იურიდიული პირის (მისი ფილიალის) „რეზიდენციას“ – ეს სხვა არაფერია, თუ არა ამ იურიდიული პირის (ფილიალის) ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად „იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი). იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფელად.“

2. იურიდიული პირის ეროვნულობის კანონის (Lex societatis). იურიდიული პირის მიმართ განასხვავებენ „სტატუსის“ საკითხს და საკითხს სხვა პირებთან მისი სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ. იურიდიული პირის სტატუსის საკითხები, როგორცაა მაგალითად, საკითხი იმის შესახებ არის თუ არა ესა თუ ის ორგანიზაცია იურიდიული პირი, რა წესით იქმნება თუ შეწყდება მისი არსებობა, რომელი კანონით ხდება მისი ლიკვიდაცია და ა. შ. – ეს ისეთი საკი-

თხები, რომლებსაც არ შეიძლება არ ჰქონდეთ საერთო საკოლიზიო საბაზი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურიდიული პირის სტატუსის განსაზღვრა ძლიერ რთულდება. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის იურიდიული პირი შექმნილია და რეგისტრირებულია ერთ ქვეყანაში, ადმინისტრაციული ცენტრი აქვს სხვა ქვეყანაში, წარმოება აქვს მესამე ქვეყანაში, ხოლო მისი პარტნიორები (დამფუძნებლები) სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებია.

იბადება კითხვა: ასეთ შემთხვევაში რა ნიშნით განვსაზღვროთ იურიდიული პირის ეროვნულობა?

კონტინენტურ ევროპაში იყენებენ ბინადრობის ნიშანს. იურიდიული პირის ადმინისტრაციული ცენტრის ადგილმდებარეობა განსაზღვრავს მის ბინადრობას. იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის კანონით, სადაც მდებარეობს მისი ადმინისტრაციული ცენტრი (იხ. ზემოთ).

ეს ნიშანი გამოყენებული იქნა საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 24-ე მუხლით, რომლის თანახმად იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი.

3. ნივთის ადგილმდებარეობის კანონი (Lex rei sitae). საკოლიზიო ნორმის თანახმად ნივთთან დაკავშირებული ურთიერთობების საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, რომელ ქვეყანაშიც იმყოფება ნივთი. ამ წესს ითვალისწინებს ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა და მათ შორის საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 32-ე მუხლიც.

ამასთან, ერთად 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს გამონაკლისს ამ საერთო წესიდან, რომლის თანახმად უფლებები იმ ნივთებზე, რომლებიც მოთავსებულია საჰაერო წყლის

და სარკინიგზო-სატრანსპორტო საშუალებებში – ექვემდებარება მის საბოლოო დანიშნულების ადგილის სამართალს.

4. **გარიგების დადების ადგილის კანონი (Lex Loci Contractus).** ეს საკმაოდ გავრცელებული კანონია. მან თავისი ასახვა ჰპოვა საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 29-ე მუხლში, რომლის თანახმად გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება. ამასთან, ერთად, გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ.

მაგალითად, თუ მოძრავ ნივთზე ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებულია გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში და საქართველოში მყოფ პირებს შორის და ეს ხელშეკრულება შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის თვალსაზრისით, ასეთი ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუნდაც იგი ამ თვალსაზრისით არ შეესაბამება, რომელიმე სხვა ზემოთ დასახელებული ქვეყნის სამართალს.

5. **ხელშეკრულების დამდები პირების მიერ არჩეული კანონი (Lex Voluntatis).** ამ კოლიზიური კანონის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სამართალი (მართლწესრიგი), რომელიც თვითონ ურთიერთობის მონაწილე პირებმა აირჩიეს. „Lex Voluntatis“ სხვანაირად ცნობილია მხარეთა ნების ავტონომიის სახელწოდებით. აღსანიშნავია, რომ „ნების ავტონომია“ ანუ ურთიერთობის მონაწილეთა მიერ სამართლის არჩევის უფლებამოსილებასზე არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება. ზოგიერთი თვლის, რომ ეს პრინციპი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საგარეო-სავაჭრო ურთიერთობებში. სხვებს მიაჩნიათ, რომ „ნების ავტონო-

მისი“ პრინციპი შეიძლება ფართოდ და შეუზღუდავად იქნეს გამოყენებული.

მხარეების მიერ სამართლის არჩევის პრინციპი და მისი გამოყენების ფარგლები საკმაოდ დეტალურად განისაზღვრება საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 35-ე მუხლით. ამ მუხლის თანახმად: სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ ხელშეკრულებათა გამოყენება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით.

არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგაც.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმა ამომწურავად განსაზღვრა მხარეთა ნების ავტონომიის ფარგლები ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევის დროს. თუ მხარეთა ნების ავტონომია სცილდება ამ ფარგლებს სამართლის არჩევა ბათილად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს არ არის მხარეთა მიერ სამართლის არჩევის ბათილად ცნობის ერთადერთი საფუძველი.

სამართლის არჩევა მხარეთა მიერ ბათილად ჩაითვლება, „თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს“. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება გავიგოთ, თუ რომელი ქვეყნის სამართალი ჩაითვლება ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულად. 36-ე მუხლის თანახმად „ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდე-

ბულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება ან მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

მხარეთა ნების ავტონომიის მნიშვნელოვან შეზღუდვას შეიცავს 38-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად მხარეთა მიერ სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი, აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული, ან დადებული, სადაც მომხმარებელსა და მუშა-მოსამსახურეს აქვს საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს.

ასეთია მოკლედ მხარეთა ნების ავტონომიის კანონით განსაზღვრული ფარგლები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მხარეებისა თუ სამართალშემფარდებელი ორგანოების მიერ.

6. აქტის შესრულების ადგილის კანონი (*Lex loci actus*). ამ კანონის თანახმად გამოყენებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის კანონი, სადაც დაიღო გარიგება, თუ საქმე გვაქვს მართლზომიერ მოქმედებასთან. ასევე, გამოყენებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის კანონი, რომელ ქვეყანაშიც მოხდა ზიანის მიყენება, თუ საქმე გვაქვს არამართლზომიერ მოქმედებასთან. ამრიგად, აქტის შესრულების ადგილის კანონი (*Lex loci actus*) ფაქტობრივად მოიცავს როგორც მართლზომიერ (გარიგების დადება), ისე არამართლზომიერ (დელიქტი, ზიანის მიყენება) აქტს.

ცნობილია აქტის შესრულების ადგილის სხვადასხვა სახეობა, როგორცაა ვალდებულების შესრულების ადგილის კანონი (**Lex loci Solutionis**). ეს ნიშნავს იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებას, სადაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა შესრულდეს.

აქტის შესრულების ადგილის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ზიანის მიყენების ადგილის კანონი (**Lex loci delicti Commissi**), რაც ნიშნავს იმ სახელმწიფოს სამართლის გამოყენებას, რომლის ტერიტორიაზეც იქნა ზიანი მიყენებული.

7. სასამართლოს კანონი (Lex fori). ამ კანონის თანახმად საქართველოს სასამართლოებმა, როდესაც ისინი არჩევენ საქმეს უცხოური ელემენტით, უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. 57-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

ცხადია, მხედველობაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლების დაცვის საპროცესო გარანტიები.

გაცილებით უფრო ნათლად ამის შესახებ მითითებას შეიცავს „კონვენცია, სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“. ამ კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად „სამართლებრივი დახმარების გაწევის დროს დავალების შესრულებისას ის დაწესებულია, რომელსაც მოთხოვნა წაუყენეს, სარგებლობს თავისი ქვეყნის კანონმდებლობით.“¹⁶

¹⁶ იხ. კრებული „საქართველოს კანონები. აღმინის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები და კონვენციები“. თბ., 1998, გვ. 579.

§ 2 საკოლიზიო ნორმის მოქმედების შეზღუდვა

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ზოგ შემთხვევაში შეიცავს ისეთ დათქმებს, რომლებიც ზღუდავენ საკოლიზიო ნორმის მოქმედებას. ასეთი დათქმების კატეგორიას მიეკუთვნება დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ“, დათქმა „იმპერატიული ნორმების შესახებ“ და დათქმა „უკუმითითების ან მესამე ქვეყნის კანონზე მითითების შესახებ“.

განვიხილოთ ეს დათქმები ცალკ-ცალკე.

1. დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-5 მუხლის თანახმად „საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.“ ამავე კანონის 63-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სამართლებრივი დახმარებისათვის შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი „საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.“ ამავე კანონის 64-ე მუხლის თანახმად სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი ითქმის, თუ „შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ბოლოს საჯარო წესრიგზე ანუ ძირითად სამართლებრივ პრინციპებზე ლაპარაკია საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 68-ე მუხლში, რომლის თანახმად საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, თუ ეს „გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.“

დათქმა საჯარო წესრიგის შესახებ, ცხადია, მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობისათვის არაა დამახასიათებელი. იგი თითქმის ყველა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლითაა გათვალისწინებული. მაგალითად, საჯარო წესრიგის დოქტრინით შვედური სამართალი უარყოფს უცხოური სამართლის დებულებების გამოყენებას თუ მათი გამოყენება დაუპირისპირდება შვედეთის სამართლის სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს. უცხოეთის კერძო სამართლის დებულებები, რომელიც აწესებს დისკრიმინაციას რასიული, ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნის მიხედვით ვერ იქნებიან გამოყენებული შვეციაში.¹⁷

უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო წესრიგის“ ცნება არ არის განსაზღვრული არც დოქტრინით, არც სასამართლო პრაქტიკით და არც კანონმდებლობით. ერთი რამაა მხოლოდ ცხადი: საკითხის გადაწყვეტა იმის შესახებ ეწინააღმდეგება თუ არა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები, რომლებიც საკოლიზიო ნორმის თანახმად უნდა იქნეს გამოყენებული, საქართველოს საჯარო წესრიგს, დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად „საჯარო წესრიგის“ ცნების ასეთი გაურკვევლობისა საქართველოს სასამართლოები შედარებით მომგებიან მდგომარეობაში არიან ვიდრე სხვა ქვეყნის სასამართლოები. საქმე ისაა, რომ საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ გარკვეულად აკონკრეტებს საჯარო წესრიგის ცნების შინაარსს და მიუთითებს, რომ საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლოს ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. იგივე მითითებებია ამ კანონის სხვა მუხლებშიც. ამიტომ, შეიძლება გადაუჭარბე-

¹⁷ Bertil Bengtsson და სხვები, *Swedish Law*, Stockholm, 1999, p. 568-569.

ბლად ითქვას „საჯარო წესრიგი“ გაიგივებულია „საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან“; ეს უკვე საშუალებას აძლევს სასამართლოს შედარებით იოლად გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ ხომ არ ეწინააღმდეგება უცხო ქვეყნის სამართლის ნორმა საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, ანუ საჯარო წესრიგს. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო პროცესის ისეთი ძირითადი სამართლებრივი პრინციპი, როგორცაა დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის თანახმად კერძო სამართლის სუბიექტებს – ფიზიკური და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებს, შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ თავიანთი მატერიალურ სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი უფლებები. უცხოური სამართლის ყოველი ნორმა, რომელიც ეწინააღმდეგება ამ პრინციპს და მამასადამე, საქართველოს საჯარო წესრიგს, არ უნდა იქნეს გამოყენებული სასამართლოს მიერ, მიუხედავად იმისა მიუთითებს მისი გამოყენების აუცილებლობაზე საკოლიზიო ნორმა თუ არა.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი, რომელიც არამართო უშვებს დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენის შესაძლებლობას, არამედ ამკვიდრებს წესს, რომლის თანახმად დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენის შემთხვევაში ასეთ ბავშვებს აქვთ ისეთივე უფლებები და მოვალეობები, როგორც დაქორწინებულ პირთაგან დაბადებულ ბავშვებს.

ცხადია, რომ თუ საკოლიზიო ნორმა საქართველოს სამართალშემფარდებელ ორგანოებს მიუთითებს ისეთი ქვეყნის სამართლის გამოყენებაზე, რომელიც არ ცნობს ე.წ. „უკანონო“ ბავშვის უფლებებსა და ინტერესებს, გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამართალი, რადგან უცხოეთის სამართლის გამო-

ყენება ამ შემთხვევაში ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს (ძირითად პრინციპებს).

აღსანიშნავია, რომ „საჯარო წესრიგზე“ ლაპარაკია არამარტო საერთაშორისო კერძო სამართლის კანონში, არამედ საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც. მაგალითად, ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად „ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან „საჯარო წესრიგს“. ამავე კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. ამ მუხლის კომენტარების ავტორს მიაჩნია, რომ საჯარო წესრიგში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლებანი და ა.შ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არამარტო ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ იგი ვნებას აყენებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს.“¹⁸

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ“ გამოიყენება იშვიათად, ან საერთოდ არ ყოფილა გამოყენებული პრაქტიკაში. აღნიშნავენ აგრეთვე იმასაც, რომ „საჯარო წესრიგის“ ფართო გამოყენება არ შეესაბამება საერთაშორისო კერძო სამართლის ამოცანებს და აკანონებს მის როლს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განვითარებაში.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში „საჯარო წესრიგის“ კატეგორია ჯერ-

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი თბ., 1999, გვ. 178.

ჯერობით არ ყოფილა გამოყენებული, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი მომავალშიც არ იქნება გამოყენებული: ჩვენი კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ზომ სულ ახლახან ამოქმედდა.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება იმის შესახებ, რომ „საჯარო წესრიგის“ ცნება, რამდენადაც მისი შინაარსი არაა ზუსტად განსაზღვრული, ორაზროვანია და ძალზედ ართულებს სწორი ანალიზის შესაძლებლობას. ამიტომ, გვთავაზობენ „საჯარო წესრიგის“ ნაცვლად შემოვიღოთ ცნება „პირდაპირი რეგულირების კანონები.“¹⁹

ჩვენი აზრით, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მიერ საჯარო წესრიგის გაიგივება „საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან“ სრულ შესაძლებლობას აძლევს და უადვილებს სასამართლოს გააკეთოს სწორი დასკვნები ამ მიმართულებით.

2. დათქმა იმპერატიული ნორმების შესახებ

საჯარო წესრიგთან ერთად საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი შეიცავს დათქმას იმპერატიული ნორმების შესახებ. მე-6 მუხლის თანახმად საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს „კანონის დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება ურთიერთობათა მოწესრიგებისას“. ამავე კანონის 29-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „გარიგებათა მიმართ, რომელთა საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის

¹⁹ М. Исид. დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მიწის ნაკვეთი“. როგორც ვხედავთ, აქ დამკვიდრებულია გამოწვევის საერთო წესიდან. საერთო წესი კი ასეთია: გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება, ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ.

როგორც აღვნიშნეთ, ეს საკოლიზიო ნორმა არ მოქმედებს, თუ არსებობს გარიგების ფორმის შესახებ იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეულ პირობებში და გარკვეული წესის დაცვით მხარეებს შეუძლიათ თვითონ აირჩიონ ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, ე.ი. გადაუხვიონ საკოლიზიო ნორმის მითითებას ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მაგრამ, იმპერატიული ნორმები აქაც ახდენენ ზეგავლენას. კერძოდ, 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს. იგივე წესია განმტკიცებული კანონის 38-ე მუხლში, რომლის თანახმად „სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალი ძირითადად შედგება დისკრიმინაციული ნორმებისაგან, მაგრამ ამასთან ერთად სამოქალაქო სამართალი იცნობს იმპერატიულ ნორმებსაც, რომელთა შეცვლა მხარეებს არ შეუძლიათ.

მაგალითად, თუ კანონი არ ითვალისწინებს გარიგების ფორმას, „მაშინ მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი“. მაგრამ თუ გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, მაშინ ასეთი ფორმის დაცვა სავალდებულოა და მხარეები ვერ აუვლიან გვერდს ამ წესს. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის იმპერატიულ ნორმათა კატეგორიას განეკუთვნება 183-ე მუხლი, რომლის თანახმად უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.“²⁰

აღსანიშნავია ისიც, რომ იმპერატიულ ნორმებზე მითითებით საკოლიზიო ნორმის გაქარწყლება არაა მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის პოზიცია. ასეთი პოზიცია დამკვიდრებულია ევროპის რიგი ქვეყნების საერთაშორისო კერძო სამართლის კანონებით, აგრეთვე რომის 1980 წლის კონვენციით. ამ კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად არაფერი ამ კონვენციაში არ ზღუდავს ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს გამოიყენოს სამართლის ნორმები, თუ ეს ნორმები იმპერატიული ხასიათისაა, დამოუკიდებლად იმისა, რომელი სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ხელშეკრულების მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საკოლიზიო ნორმის მითითება კოლიზიაში მყოფი ამა თუ იმ კანონის გამოყენების შესახებ კარგავს ძალას (გაქარწყლდება), თუ ასეთი მითითების საფუძველზე გამოსაყენებელი სამართლის ნორმა თავისი შინაარსით ეწინააღმდეგება ან არ შეესაბამება საქართველოს კერძო სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

²⁰ დაწვრილებით იმპერატიული ნორმების შესახებ სამოქალაქო სამართალში. იხ. ლ.ჭანტურია, დასხ. ნაშრ., გვ. 92-96.

3. უკუმითითება ან მესამე ქვეყნის კანონზე მიითითება

საკმარისია გავეცნოთ საქართველოს კანონს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რათა დავინახოთ, რომ ეს კანონი, ხშირად მიუთითებს უცხო ქვეყნის კანონის გამოყენების აუცილებლობაზე. მაგალითად, ამ კანონის 24-ე მუხლის თანახმად იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ამრიგად, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის ამ საკოლიზიო ნორმის თანახმად საქართველოს სამართალშემფარდებელმა ორგანოებმა თუ ისინი განიხილავენ სამართლებრივ ურთიერთობას უცხოეთის იურიდიული პირის მონაწილეობით, უნდა გამოიყენონ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ იურიდიულ პირს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი აქვს ინგლისში, მაშინ გამოყენებული უნდა იქნეს ინგლისის სამართალი.

მაგრამ ინგლისის სამართალში იგულისხმება არამარტო სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი მატერიალურ სამართლებრივი ნორმები არამედ, აგრეთვე ინგლისის საკოლიზიო სამართლის ანუ ინგლისის საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებიც. ამიტომ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ინგლისის შესაბამისი საკოლიზიო ნორმის მიხედვით გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი სადაც წარმოიშვა (შეიქმნა) იურიდიული პირი. იურიდიული პირი კი შეიქმნა და, მაშასადამე, რეგისტრაცია გაიარა საქართველოში.

საბოლოოდ კი გამოდის, რომ საქართველოს საკოლიზიო ნორმა უთითებს ინგლისის სამართალზე, ინგლისის სამართალ-

ლი კი აბრუნებს უკან, ანუ შეიცავს უკუმიმართებებს საქართველოს სამართალზე.

როგორ უნდა მოიქცეს ასეთ შემთხვევაში სამართალშემფარდებელი ორგანო?

უნდა აღინიშნოს, რომ უკუმიმართებების პრობლემაზე არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება არც მეცნიერთა შორის, არც საერთაშორისო კერძო სამართლის პრაქტიკაში და არც კანონმდებლობაში.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენმა კანონმა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ დაამკვიდრა წესი, რომლის თანახმად სხვა ქვეყნის და მათ შორის მესამე ქვეყნის სამართალზე მითითება გულისხმობს არამართო ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალზე მითითებას, არამედ ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებაზეც გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი მითითება გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას (მე-4 მუხლის პირველი ნაწილი).

ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, კერძოდ ამ კანონის 24-ე მუხლი უთითებს „იმ ქვეყნის სამართალზე, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი“ ანუ ინგლისის სამართალზე (სადაც ეს ფაქტობრივი ადგილსამყოფელია), — მას მხედველობაში აქვს არამართო ამ ქვეყნის მატერიალურ სამართლებრივი ნორმები, არამედ ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართალიც.

ეს რომ ასე არ იყოს უკუმიმართებების პრობლემა საერთოდ არ წარმოიშობოდა და სამართალშემფარდებელი ორგანო გამოიყენებდა ინგლისის შესაბამის მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს. მაგრამ, რასან იგულისხმება არამართო ასეთი ნორმები, არამედ აგრეთვე ინგლისის საერთაშორისო კერძო სამართალიც, ეს

უკანასკნელი შეიძლება შეიცავდეს უკუმიითებებს ან მესამე ქვეყნის სამართალზე მითითებას და ამიტომაც დგას უკუმიითების პრობლემა.

ეს პრობლემა საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილმა შემდეგნაირად გადაწყვიტა: „საქართველოს სამართალზე უკუმიითებისას გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საქართველოს სამართლის ნორმები“.

ამ ნორმის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს სამართალზე უკუმიითებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არსებითად არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობას და რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან კონკრეტულ საქმეს. საქართველოს საკოლიზიო ნორმები მხედველობაში აღარ მიიღება ასეთი უკუმიითებისას.

ეფიქრობთ საკითხის ასეთნაირი გადაწყვეტა გონივრულია, გამართლებულია ლოგიკურად და სამართლებრივად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავიდან გვაცილებს ერთი სამართლებრივი სისტემიდან მეორე სამართლებრივ სისტემაზე დაუსრულებელ მითითებებსა და უკუმიითებებს, ლ. რააპეს ხატოვანი გამოთქმისა არ იყოს „მუდმივ მოძრაობას წინ და უკან, პინგ-პონგს“²¹

²¹ JI. Paane, დასახ. ნაშრომი, გვ. 84.

თავი III

პირები საერთაშორისო კერძო სამართალში

§1. უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი მდგომარეობა (სტატუსი)

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივ მდგომარეობას. ამ კანონის 21-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის ფიზიკურ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლება-უნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

ეს არის უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი ზოგადი პრინციპი (წესი), რომლიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს ფიზიკური პირების უფლებების შემზღუდველი ნორმები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქართველოს ფიზიკურ პირთა მიმართ, მაგალითად, შვეციაში, არსებობს კანონით განსაზღვრული ნორმა ამა თუ იმ უფლების შეზღუდვის შესახებ, მაგალითად, მემკვიდრეობის მიღებაში, მაშინ შვეციის ფიზიკურ პირთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიური შეზღუდვები საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლს, რომლის თანახმად საქართველოში მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი

აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

უცხოელებად საქართველოში ითვლებიან პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი. ის პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, მაგრამ არც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვთ, ითვლებიან მოქალაქეობის არმქონე პირებად.

უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელი ძირითადი სამართლებრივი აქტია საქართველოს 1993 წლის კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

თავისთავად ცხადია, რომ უცხოელთა სამოქალაქო უფლებაუნარიანობის მიმართ ნაციონალური რეჟიმის მიკუთვნება, ე.ი. მათი უფლებაუნარიანობის გათანაბრება საქართველოს მოქალაქეთა უფლებაუნარიანობასთან სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია რაიმე შეზღუდვების დაწესება მათ მიმართ.

ჯერ ერთი, საქართველოში უცხოელთა უფლება-მოვალეობების აღსრულება არ უნდა ლახავდეს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებს და არ უნდა უგულებელყოფდეს მათ კანონიერ ინტერესებს. მეორეც, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა, გარდა იმ თანამდებობებისა, რისთვისაც შესაბამისი კანონმდებლობით აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობა. მაგალითად, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის თანახმად მოსამართლე შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.

კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ შეიცავს ფიზიკური პირების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარ-

იანობის მიმართ ზოგიერთ სპეციალურ მითითებას. საქმე ისაა, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობამ შეიძლება სხვადასხვანაირად განსაზღვროს ქმედუნარიანობის შინაარსი, მაგალითად ასაკი, საიდანაც იწყება სრული ქმედუნარიანობა. წამოიჭრება კოლიზიური საკითხი, რომელიც ჩვენი კანონის 23-ე მუხლის თანახმად შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. ეს წესი ვრცელდება ქორწინების შედეგად ქმედუნარიანობის გაფართოების შემთხვევებზეც. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომელსაც ფიზიკური პირი ეკუთვნის, არ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლით გათვალისწინებულ დებულებას, რომლის თანახმად ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელსაც მართალია არ მიუღწევია ქმედუნარიანობის ასაკისათვის, მაგრამ იქორწინა ამ ასაკის მიღწევამდე, მასზე ვერ გავავრცელებთ მე-12 მუხლით გათვალისწინებულ წესს.

იმ ფართო სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ უფლებებს შორის, რომლებიც გააჩნიათ უცხოელ მოქალაქეებს, აღსანიშნია უფლება ჰქონდეთ საქართველოში ქონება საკუთრებაში, მემკვიდრეობით მიიღონ ქონება, ჰქონდეთ ავტორობის უფლება გამოგონებაზე, აღმოჩენაზე, სამრეწველო ნიმუშებზე და ა.შ. მათ აქვთ განათლებისა და კულტურულ ღირებულებათა სარგებლობის უფლება, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ გაერთიანებაში მონაწილეობის უფლება და ა.შ.

არ არის გამორიცხული, რომ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქე იყოს. ეს წარმოშობს კოლიზიურ საკითხს, თუ რომელი ქვეყნის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ შემთხვევაში. საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 22-ე მუხლის თანახმად თუ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც იგი ყვე-

ლაზე მჭიდროდაა დაკავშირებული. 22-ე მუხლი შეიცავს მითითებას იმ კრიტერიუმებზე, რომლებითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, რათა გავარკვიოთ თუ რომელ ქვეყანასთანაა უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ფიზიკური პირი. ეს კრიტერიუმებია: ა) ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; ბ) ეწევა ძირითად საქმიანობას. მრავალი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ფიზიკური პირის მიმართ უნდა გამოვიყენოთ იმ ქვეყნის კანონი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან, თუ ასეთი არ გააჩნია, სადაც იგი ეწევა ძირითად საქმიანობას.

იგივე წესი ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ ვერ დადგინდა სად (რომელ ქვეყანაში) ეწევა ეს პირი ძირითად საქმიანობას, ან სად აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, მაშინ მის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამართალი.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს, მათ მიმართ გამოიყენება იგივე წესი, რაც ფიზიკური პირების მიმართ. კერძოდ, უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს იურიდიულ პირებს. მაგრამ ეს მაინც არ ხსნის საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწიფოს კანონმდებლობით რეგულირდება იურიდიული პირის საქმიანობა, კერძოდ, რომელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმები განსაზღვრავენ იურიდიული პირის შექმნას, რეორგანიზაციას (ლიკვიდაციას), უფლებაუნარიანობის მოცულობას და ა.შ.

აღიარებულია და დავას არ იწვევს, რომ ეს საკითხები უნდა მოაწესრიგოს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობამ, რომელსაც ეკუთვნის იურიდიული პირი, ანუ იურიდიული პირის პირადმა კანონმა. მაგრამ არ არსებობდა ერთგვაროვანი აზრი იმის შესახებ თუ რომელი კანონი ჩაითვალოს იურიდიული პირის პირად კანონად. მაგალითად, ინკორპორაციის დოქტრინის თანახმად იურიდიული პირის ეროვნულობა, მისი პირადი

კანონი განისაზღვრება იმ ქვეყნის მიხედვით სადაც იურიდიული პირი შეიქმნა და რეგისტრირებულია; ექსპლუატაციის ცენტრის დოქტრინის თანახმად იურიდიული პირის პირად კანონად უნდა ჩაითვალოს მისი ძირითადი საქმიანობის შესრულების ადგილი და ა.შ.

კონტინენტური ევროპის უმრავლეს ქვეყნებში იზიარებენ ბინადრობის დოქტრინას, რომლის თანახმად იურიდიული პირის მართვის ადმინისტრაციული ცენტრის ადგილმდებარეობა აღიარებულია იურიდიული პირის პირად სტატუსად და რომ იურიდიული პირის ეროვნულობა განისაზღვრება იურიდიული პირის ადმინისტრაციული ცენტრის ადგილსამყოფელის მიხედვით.

ამ დოქტრინის გათვალისწინებითაა ჩამოყალიბებული საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საკითხი იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების შესახებ. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად საფირმო სახელწოდება, ანუ ფირმა, არის სახელი, რომლითაც საქმიანობს საწარმო. ეს მუხლი განსაზღვრავს საფირმო სახელწოდების შერჩევის წესსაც. მაგრამ რომელი ქვეყნის სამართლით განისაზღვრება საფირმო სახელწოდების საკითხი? ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს შეიცავს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების საკითხი წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტიური ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლმა განსაზღვრა კერძო სამართლის სუბიექტების წრე: კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო „საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ“. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს კიდევ ერთ მნიშვნელოვან დებულებას, რომლის თანახმად „სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით“.

§2. სახელმწიფო, ობოტც სამართალისო კერძო სამართლის სუბიექტი

სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ (კერძო სამართლებრივ) ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფო უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა.შ.), ისე რომ თვითონ ეს ორგანოები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. თავისთავად ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ორგანოები, რომელთა მეშვეობით სახელმწიფო მონაწილეობს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, თვითონ უშუალოდ არ არიან იურიდიული პირები — სამართლებრივი სტატუსის თვალსაზრისით არაფერს ნიშნავს: სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირი, სწორედ ამ თავისი ორგანოების — სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტების მეშვეობით მონაწილეობს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. ეს სრულებითაც არ ნიშნავს

იმას, რომ სახელმწიფო არ შეიძლება იყოს წარმოდგენილი სხვა იურიდიული პირებით. სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის მრავალი იურიდიული პირი, იმის მიხედვით, თუ რა ამოცანების რეალიზაცია დაეკისრებათ მათ.²²

ამრიგად, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ თვითონ მისი ორგანოების მეშვეობით, თავისი სამინისტროების, სახელმწიფო დეპარტამენტების, თუ სხვა თავისი ორგანოების მეშვეობით და სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული პირების მეშვეობით, სულ ერთია კერძო თუ საჯარო იურიდიული პირი იქნება იგი. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები (სამოქ. კოდ. 24-ე მუხლის შესაბამე ნაწილი).

როდესაც საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული პირები, მაშინ ითვლება, რომ ამ ურთიერთობებში მონაწილეობს არა სახელმწიფო, არამედ იურიდიული პირი, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი და მასზე ვრცელდება საერთაშორისო კერძო სამართლის ყველა ის ნორმა და პრინციპი, რაც იურიდიული პირების მიმართ საერთოდ. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს მიერ შექმნილი იურიდიული პირები არ სარგებლობენ იმუნიტეტით, რომელიც სახელმწიფოს აქვს მინიჭებული.

რაც შეეხება საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში თვითონ სახელმწიფოს უშუალოდ მონაწილეობას მისი ორგანოების მეშვეობით, რასაც არც ისე იშვიათად აქვს ადგილი, აქ საჭიროა რამდენადმე განსხვავებული მიდგომა.

²² იხ. ლ. ჭანტურია. დასახელებული ნაშრომი, გვ. 246-250.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფო სარგებლობს იმუნიტეტით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავისუფალია სხვა სახელმწიფოს იურისდიქციისაგან ანუ მის მიმართ სხვა სახელმწიფოს სასამართლო თუ სხვა ორგანოების მხრივ იძულებითი ღონისძიებების გამოყენებისაგან.

იმუნიტეტი ორგანულადაა დაკავშირებული და გამომდინარეობს სახელმწიფოს სუვერენიტეტიდან. ყველა სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი, ყველა სახელმწიფო თანასწორია. საერთაშორისო სამართლის ეს ფუნდამენტური პრინციპი გამოხატულია გამოთქმაში: „თანასწორს არა აქვს ძალაუფლება თანასწორზე“ (“Par in parem non habet imperium”), რაც იმასაც გულისხმობს, რომ „თანასწორს არა აქვს იურისდიქცია თანასწორზე“ (“Par in parem non habet jurisdictionem”).

ჩვენის აზრით, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 61-ე მუხლის მეორე ნაწილი სწორედ საერთაშორისო სამართლის ამ პრინციპებს ითვალისწინებს, როდესაც ამკვიდრებს დებულებას, რომლის თანახმად „საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.“

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უცხოური ელემენტით დატვირთულ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, ე.ი. ურთიერთობებში, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო იურიდიული თუ ფიზიკური პირები.

2. საქართველოს, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეს შეუძლია აღძრას სარჩელი ამ ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარის მიმართ, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით დადგენილი წესების დაცვით.

3. საქართველოს, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილის წინააღმდეგ არ შეიძლება სარჩელის აღძვრა უცხო სახელმწიფოს სასამართლოში ან სხვა ორგანოში.

4. უცხო სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილის წინააღმდეგ არ შეიძლება აღიძრას სარჩელი საქართველოს სასამართლოში მისი წინაწარი თანხმობის გარეშე.

5. საქართველოს, როგორც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილის წინააღმდეგ შეიძლება სარჩელის აღძვრა უცხო სახელმწიფოს სასამართლოში (არბიტრაჟში) მხოლოდ საქართველოს თანხმობით.

ასეთი თანხმობა შეიძლება აისახოს გარიგებაში, რომელშიც მხარედ საქართველო გვევლინება, ან სპეციალურ წერილობით დოკუმენტში ასეთი თანხმობის შესახებ.

§3. შპიტატიანი ხელშეწყობის რეჟიმი

ჯერ კიდევ 1996 წლის 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს.

ამ კანონის თანახმად საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი (ინვესტორი) შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია. უცხოელ ინვესტორებად, გარდა შესაბამისი ფიზიკური პირებისა, ითვლებიან იურიდიული პირები, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამასთან ერთად საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ

უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსთან მოქმედებს საქართველოს საინვესტიციო ცენტრი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ინვესტორთა მომსახურება და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობაში ხელის შეწყობა.

კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ითვალისწინებს აგრეთვე დავის გადაწყვეტის წესს. ამ წესის თანახმად დავა უცხოელ ინვესტორსა და საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოს შორის წყდება მხარეთა შეთანხმებით დადგენილი წესით ან საქართველოს სასამართლოში. უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს დავის გადასაჭრელად მიმართოს ნებისმიერ საერთაშორისო საარბიტრაჟო ორგანოს, რომელიც დაარსებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის (unictral) საარბიტრაჟო და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი ყოველთვის განისაზღვრება ხელშეკრულებით. ამ პრინციპის თანახმად უცხოელები სარგებლობენ იმ უფლებების მაქსიმუმით, რომლითაც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოს პირები. სხვანაირად რომ ვთქვათ, უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, განსაკუთრებით სავაჭრო ურთიერთობებში, ენიჭებათ ისეთივე რეჟიმი, რომელიც მინიჭებული აქვთ, ან მომავალში მიენიჭებათ მესამე ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ამ პრინციპის თანახმად ყველა უცხო ქვეყნისა თუ ორგანიზაციებისა და ფირმებისათვის იქმნება თანაბარი პირობები

ვაჭრობის ყველა იმ საკითხზე, რომლებიც გათვალისწინებულია სავაჭრო გარიგებებით.

ამრიგად, უპირატესი ხელშეწყობის პრინციპის თანახმად უცხო სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირები ჩაყენებულია თანაბარ პირობებში.

სხვა შინაარსისაა ეროვნული (ნაციონალური) რეჟიმი. ამ რეჟიმის თანახმად უცხო სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირები ჩაყენებულია მოცემული ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში.

მაგალითად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის (სკს კანონის) 21-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა როგორც საქართველოს მოქალაქეებს.

„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობენ საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

აღსანიშნავია, რომ უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპები საქართველოს რესპუბლიკაში, კერძოდ უპირატესი ხელშეწყობისა და ეროვნულობის პრინციპი, დამკვიდრებულია საქართველოს კანონით „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“. ამ კანონის მე-3 მუხლის თანახმად უცხოელებს საქართველოს რესპუბლიკაში ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვს და ისეთივე მოვალეობები აკისრიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, თუ

საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

როგორც ვხედავთ აქ დამკვიდრებულია ეროვნული რეჟიმი.

ამრიგად, განსხვავებით უპირატესი ხელშეწყობის პრინციპისა, ეროვნული რეჟიმი ქმნის უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის იგივე პირობებს, როგორშიაც იმყოფებიან საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები. მათ ენიჭებათ ყველა ის უფლება და ეკისრებათ ყველა ის მოვალეობა, რაც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

თაზი IV

სანივთო სამართლის საკითხები სამართაშორისო კერძო სამართალში

§1. მოკლედ სანივთო სამართლის შესახებ

ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნის სამართალი სხვადასხვანაირად აწესრიგებს სანივთო სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის სამართალი არ იცნობს მფლობელობას, როგორც სანივთო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტს და განიხილავს მას როგორც მესაკუთრის ერთ-ერთ უფლებამოსილებას.

ამის შესაბამისად, ასეთი ქვეყნების სამართალი არ იცნობს მფლობელობის დაცვის ისეთ სპეციალურ საშუალებას, როგორიცაა მფლობელობითი (პოსესორული) სარჩელები. არაერთგვაროვნად წყდება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ნივთები განეკუთვნება უძრავს და რომელი მოძრავ ნივთებს. სხვადასხვანაირად განისაზღვრება მესაკუთრის უფლების მოცულობა და შინაარსი, აგრეთვე იმ უფლებათა წრე, რომლებიც განეკუთვნება სანივთო (და არა ვალდებულებით) სამართალს და ა.შ.

ცხადია, ასეთი ვითარება ქმნის იმის რეალურ პირობას და შესაძლებლობას, რომ სანივთო სამართლის საკითხები სხვადასხვანაირად მოწესრიგდეს და გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ საკოლიზიო ნორმის მითითების თანახმად რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული საერთაშორისო ელემენტით დატვირთული ასეთი ხასიათის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად.

აქედან გამომდინარე, სანამ საკოლიზიო საკითხებს შევხებოდეთ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ სანივთო სამართლის ზოგიერთი საკითხი.

რა არის სანივთო სამართალი?

ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად სანივთო სამართალი ესაა იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ პირთა ურთიერთობას ნივთებთან. სანივთო სამართლის ასეთი განსაზღვრება, როგორც სავსებით სწორად აღნიშნავენ, არ გამორიცხავს პირთა შორის ურთიერთობებს, მაგრამ პირის ნივთთან ურთიერთობა წარმოადგენს სანივთო სამართლის სუბსტანციას.²³

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას, რასაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქვს აგრეთვე მნიშვნელობა საერთაშორისო კერძო სამართალში: საკუთრების უფლების გვერდით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობას, როგორც სანივთო სამართლის დამოუკიდებელ ინსტიტუტს, რომლის არსებობა არაა დამოკიდებული საკუთრების უფლებაზე. ამასთან ერთად, რაც აგრეთვე ძალზედ მნიშვნელოვანია საერთაშორისო კერძო სამართლისათვის, მფლობელობითი დაცვის სფერო ვრცელდება როგორც უძრავ, ისე მოძრავ ნივთებზე.

მაგრამ რა არის მფლობელობა?

მფლობელობა — ესაა ნივთის ფაქტობრივი ფლობა (პერსონა). აქედან გამომდინარე, მფლობელობა შეწყდება თუ მფლობელი თმობს ნივთს სამუდამოდ ან სხვა გზით კარგავს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას (სამ. კოდექსის 156-ე მუხლი).

აღსანიშნავია, რომ მფლობელობას კარგად და გარკვევით ანსხვავებდნენ საკუთრებისაგან ჯერ კიდევ რომის იურისტები. მფლობელობას ისინი გამოხატავდნენ სიტყვებით: „მე მაქვს ნივთი“, ხოლო საკუთრებას გამოხატავდნენ სიტყვებით: „მე მაქვს ნივთზე საკუთრების უფლება“. მფლობელობა (posses-

²³ დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. ბ. ზოიძე, სანივთო სამართალი. თბ., 1999, გვ. 1.

სი) აღჭურვილი იყო დაცვის დამოუკიდებელი საშუალებით — პოსესორული სარჩელით.

თანამედროვე დოქტრინებსა და კანონმდებლობებში მფლობელობა განსაზღვრულია, როგორც ნივთის ფაქტობრივი ფლობა და არა უფლება, მაგრამ მფლობელობა მაინც განიხილება როგორც სანივთო უფლება და მისი დაცვა უზრუნველყოფილია ისე, როგორც სხვა სანივთო უფლებების დაცვა. რა თქმა უნდა, საკითხი ეხება მფლობელობის დაცვას ამ მფლობელობის ტიტულის მიუხედავად, მფლობელობის დაცვას ამა თუ იმ სამართლებრივი საფუძვლის მიუხედავად, ტიტულიანი მფლობელის დაცვა გათვალისწინებული იყო და არის როგორც ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსით, ისე დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსითაც.

აღსანიშნია ისიც, რომ გარდა კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევებისა ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (სამ. კოდ. 158-ე მუხლი). ამიტომ, თუ ადრული იქნება სარჩელი ნივთის მფლობელისაგან გამოთხოვის შესახებ მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არის მესაკუთრე. მფლობელი მოპასუხე თავისუფალია ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთისაგან, რადგან იგი ივარაუდება სადაო ნივთის მესაკუთრედ.

განსხვავებით ადრე მოქმედი სამოქალაქო კოდექსისაგან, დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მფლობელობით (პოსესორულ) სარჩელს, როგორც მფლობელობის დაცვის დამოუკიდებელ საშუალებას (სამ. კოდექსის 160-ე მუხლი). უფრო მეტიც, მფლობელს შეუძლია აღძრას სარჩელი მისი მფლობელობის განხორციელებაში ხელის შეშლის აღკვეთის შესახებ, ისე როგორც ეს შეუძლია მესაკუთრეს ნეგატორული სარჩელით (სამ. კოდექსის 161-ე მუხლი).

სანამ სანივთო სამართლის საკოლიზიო საკითხებზე გადავიდოდეთ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ კიდევ ერთ

საკითხზე, რომელსაც აქვს მნიშვნელობა ამ საკოლიზიო საკითხების გარკვევისათვის. ესაა საკითხი სარჩელების კონკურენციის შესახებ, რაც სანივთო სამართალსა და ვალდებულებით სამართალს შორის განსხვავებით შეიძლება წარმოიშვას. სანივთო სამართალი არეგულირებს პირთა ურთიერთობას ნივთებთან, ხოლო ვალდებულებითი სამართალი პირთა ურთიერთობას ერთმანეთთან. სანივთო უფლება, რაც სანივთო სამართალითაა განსაზღვრული აბსოლუტური უფლებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლების მქონე პირის წინაშე ყველა სხვა პირი განუსაზღვრელად ვალდებულია არ დაარღვიოს ეს უფლება. რაც შეეხება უფლებას, რომელიც ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოიშობა — ესაა შეფარდებითი უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ შეფარდებითი უფლების მქონე პირის წინაშე ვალდებულია სრულიად განსაზღვრული პირი ან პირთა წრე. რა თქმა უნდა, სანივთო სამართალსა და ვალდებულებით სამართალს შორის განსხვავება ამით არ ამოიწურება, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება და ამავე დროს საესებით საკმარისი, იმისთვის, რომ სწორად გადავწყვიტოთ სანივთო სამართლისა და ვალდებულებითი სამართლის საკოლიზიო საკითხები, კერძოდ, საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი სარჩელი (სანივთო თუ ვალდებულებითი) უფრო მიზანშეწონილია აღიძრას მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის.

§2. სანივთო სამართლის საკოლიზიო საკითხები

საქართველოს სკს-ის კანონის 32-ე მუხლის თანახმად „ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმების მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.“

ნივთის ადგილსამყოფელის კანონი *Lex rei sitae* – არის საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი უძველესი და ურყევი კანონი. ამ კანონის აზრი და შინაარსი იმდენად ნათელი და გასაგებია, რომ მის შესახებ არაფერს, ან ძალიან ცოტას ლაპარაკობენ, რადგან, როგორც ამბობენ სათქმელი და გამოსარკვევი არაფერია.

ყურადღებას აქცევენ სხვა საკითხების გამოკვლევას, რაც უშუალოდ უკავშირდება ნივთის ადგილსამყოფელის კანონის გამოყენებას. ჩვენც მოკლედ შევხვით ამ საკითხებს და გავაშუქოთ ისინი საქართველოს კანონმდებლობის პოზიციებიდან.

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, სხვა საკითხებთან ერთად, აწესრიგებს სანივთო სამართლის საკოლიზიო საკითხებს და არა საკუთრების საკოლიზიო საკითხებს, როგორც ზოგიერთი სხვა ქვეყნის ანალოგიური ნორმატიული აქტები.

ამიტომ, ყველა იმ ქართველი თუ უცხოელი პირისა და ორგანოს წინაშე, რომელიც იყენებს საქართველოს სამართალს, წამოიჭრება შემდეგი საკითხები:

1) რომელი უფლებები განეკუთვნება სანივთო სამართალს?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს სანივთო უფლებათა წრეს. ესენია: საკუთრება, აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი, გირავნობა და იპოთეკა. ცხადია, რომ ყველა ამ სანივთო უფლებაზე ვრცელდება ნივთის ადგილსამყოფელის საკოლიზიო პრინციპი. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის ენაზე რომ ვთქვათ, ყველა ამ უფლების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, სადაც იმყოფება მფლობელობის, საკუთრების, აღნაგობის, სერვიტუტის, უზუფრუქტის, გირავნობის თუ იპოთეკის ობიექტები.

საილუსტრაციოდ შეიძლება ავიღოთ გირავნობა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება. მოძრავი ნივთი და

ყველა არამატერიალური ქონებრივი სიკეთე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. აქედან გამომდინარე ნივთი, რომელიც საქართველოშია ანუ რომელსაც ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შეიძლება დაგირავებული იქნეს ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. უძრავი ნივთი, რომლის ადგილსამყოფელი საქართველოშია, შეიძლება ნებისმიერ ქვეყანაში დაიტვირთოს სერვიტუტით ან იპოთეკით, ოღონდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ა.შ.

2) რა შეიძლება ჩაითვალოს სანივთო სამართლის ობიექტად, ანუ რა არის ქონება?

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი განსაზღვრავს ქონების ცნებას. ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოში მდებარეობს (უძრავი ნივთი), ან ავტომანქანა, რომლის ადგილსამყოფელი საქართველოშია (მოძრავი ნივთი).

რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც უცხოეთში ხდება საქართველოში მდებარე ამ ნივთებზე უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა?

Lex rei sitae-ს მიხედვით, რაც დამკვიდრებულია საქართველოს სკს-ის კანონის 32-ე მუხლით, გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამართალი. მაგალითად, მიწის ნაკვეთის შესაძენად, რომელიც საქართველოში მდებარეობს, შეიძლება შეთანხმდნენ ნებისმიერ ქვეყანაში, ოღონდ ამისათვის საჭიროა დაიცვან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლით

განსაზღვრული წესი, რომლის თანახმად უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია.

ამრიგად, ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლა, ანუ ნივთის შეძენა, სულ ერთია მოძრავი იქნება ეს ნივთი თუ უძრავი, შეიძლება მოხდეს არამართო იმ ქვეყანაში, სადაც ეს ნივთი იმყოფება, არამედ სხვა ქვეყანაშიც, თუ დაცული იქნება ამ ნივთის ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი. გასხვისების ადგილის (ქვეყნის) სამართალს არა აქვს მნიშვნელობა, იგი რაიმე როლს არ თამაშობს.

3) რა მნიშვნელობა აქვს საკოლიზიო საკითხების გადაწყვეტისათვის ნივთების დაყოფას უძრავად და მოძრავად?

საერთაშორისო კერძო სამართალში ნივთების დაყოფას უძრავად და მოძრავად აქვს მნიშვნელობა ორი თვალსაზრისით: ჯერ-ერთი, სხვადასხვა ქვეყნის სამართალი სხვადასხვანაირად განსაზღვრავს უძრავ და მოძრავ ნივთებს, მეორე, სამართლებრივი რეჟიმი უძრავისა და მოძრავი ნივთებისა სხვადასხვანაირია.

სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“. სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს მოძრავი ნივთების ცნების განსაზღვრებას, მაგრამ ლოგიკურად ყველა ის ნივთი, რომელიც არ განეკუთვნება სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით განსაზღვრულ უძრავი ნივთების კატეგორიას, წარმოადგენენ მოძრავ ნივთებს.

ნივთების დაყოფას უძრავ და მოძრავ ნივთებად აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა იმ თვალსაზრისით, რომ მათზე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება ნივთი, ვრცელდება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, უძრავი ქონების მიმართ დიდი ხანია გამოიყენება პრინციპი, რომლის თანახმად სანივთო უფლება ასეთ ნივთებზე რეგულირდება კანონით ამ უძრავი ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. ნივთების ადგილსამყოფელის ცნება უნდა გავიგოთ წმინდა ფიზიკური თვალსაზრისით — ნივთის ფიზიკური ადგილმდებარეობის თვალსაზრისით. (*Situs naturalis*) და არა სპეციფიურ იურიდიული თვალსაზრისით ანუ იურიდიულ-მატერიალური თვალსაზრისით (*situs civilis*).²⁴

რაც შეეხება მოძრავ ნივთებს აქ პირიქით, დიდი ხნის მანძილზე მოძრავი ნივთების მიმართ გამოიყენებოდა ამ ნივთებზე სანივთო უფლების მქონე პირის (მფლობელის, მესაკუთრის) საცხოვრებელი ადგილის კანონი. მაგრამ ამ პრინციპმა არ მოიტანა სასურველი შედეგი სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების თვალსაზრისით, ამიტომ ამჟამად მოძრავი ნივთების მიმართაც გამოიყენება ნივთის ადგილსამყოფელის პრინციპი. ამ პრინციპიდან გამომდინარე ნივთი, რომელიც მართლზომიერადაა შექმნილი პირის მიერ რჩება მის მფლობელობაში (საკუთრებაში) შემდგომში ამ ნივთის ადგილმდებარეობის შეცვლის მიუხედავად. რაც შეეხება სანივთო უფლების მოცულობას, ეს მოცულობა განისაზღვრება ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. სხვანაირად რომ ვთქვათ, სანივთო უფლების (ვთქვათ საკუთრების უფლების) მოცულობა იცვლება იმისდამიხედვით, რომელ ქვეყანაშიც გადაადგილდება ნივთი.

ეს პრინციპი დამკვიდრებულია სკს-ის კანონის 32-ე მუხლის მეორე ნაწილში, რომლის თანახმად: „თუ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა ნივთი, რომელზედაც წარმოიშვა უფლება, მაშინ ამ უფლების შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გადაიტანეს ნივთი.“

²⁴ J. Raape. დასახ. ნაშრომი, გვ. 532.

მაგალითად, ავტომანქანა შეძენილია გერმანიაში გერმანიის სამართლის მოთხოვნების დაცვით, ვინაიდან ავტომანქანის სამყოფელი ადგილი იქ იყო. შემდეგ ეს მანქანა გადმოყვანილი იქნა საქართველოში. რა თქმა უნდა, შეძენი ინარჩუნებს ამ ავტომანქანაზე საკუთრების უფლებას, მაგრამ ამ საკუთრების უფლების შინაარსი განისაზღვრება ავტომანქანის ამჟამინდელი ადგილსამყოფელის, ე.ი. საქართველოს სამართლის მიხედვით.

4. საკოლიზიო საკითხებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სანივთო უფლების წარმოშობა ისეთ ნივთებზე, რომლებიც იმყოფებიან გზაში, ანუ როდესაც ნივთები გადააქვთ საჰაერო, წყლის ან სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებით (**Res in transity**). მაგალითად, ნივთები იმყოფება გზაში და ამ დროს მხარეები დებენ გარიგებას ამ ნივთებზე საკუთრების გადასვლის შესახებ. იბადება კითხვა – რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული: იმ ქვეყნის სამართალი, სადაც უნდა ჩავიდეს ნივთი, თუ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც გზაშია ეს ნივთი?

ამ საკითხზე არც დოქტრინით და არც კანონმდებლობაში არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება. საქართველოს სკს-ის კანონმა გაიზიარა მოსაზრება, რომლის თანახმად უფლებები მოძრავ ნივთებზე, რომლებიც გზაშია განისაზღვრება ამ ნივთების საბოლოო დანიშნულების ადგილის (ქვეყნის) სამართლის მიხედვით (33-ე მუხლი).

ამ შემთხვევაში **Lex rei sitae**-ს შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ არ ვიცით სად იმყოფება ნივთი, რადგან იგი გზაშია (**in transitu**). რაც შეეხება უფლებებს საჰაერო, წყლის და რკინიგზის სატრანსპორტო საშუალებებზე, ისინი ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ისინი ეკუთვნის (33-ე მუხლი, ნაწ. II).

5. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობები იცნობს შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ პირი გარკვეული დროის განმავლობაში ფლობდა ნივთს, იგი მოიპოვებს ამ ნივთზე საკუთრების უფლებას.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, თუ პირი მოძრავ ნივთს ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად ფლობს როგორც საკუთარს, მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას (საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით). ამავე კოდექსის 167-ე მუხლი განაზოგადებს უძრავ ნივთებზე საკუთრების ხანდაზმულობით შეძენის პირობებს.

როგორც ავლნიშნეთ სხვადასხვა ქვეყნის სამართალი შეიძლება სხვადასხვა პირობებს აწესებდეს ხანდაზმულობით შეძენისათვის. ამიტომ დაისვა საკითხი, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობით ნივთზე სანივთო უფლების წარმოშობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლის მიხედვით, სადაც იმყოფება ნივთი ხანდაზმულობის ვადის დამთავრების დროს.

6. ბოლოს, მოძრავი ნივთების კატეგორიას მიაკუთვნებენ არამატერიალურ (უსხეულო) ნივთებს. სამოქალაქო კოდექსი შეზღუდვების გარეშე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე (152-ე მუხლი).

არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, როგორც სწორად აღნიშნავს ბ. ზოიძე, ემორჩილებიან საკუთრების უფლების ცნებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. მათი ფლობა, სარგე-

ბლობა და განკარგვა ისევე შესაძლებელია, როგორც სხეულებრივი საგნებისა.²⁵

გარდა არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებისა სამოქალაქო კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლები ითვალისწინებენ პირად არაქონებრივ უფლებასაც, როგორცაა სახელის უფლება, პატივისა და ღირსების დაცვის უფლება, პირადი ცხოვრების საიდუმლოებების დაცვა, პირადი ხელშეუხებლობის უფლება, საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება, უფლება საკუთარ გამოსახულებაზე და ა.შ.

არამატერიალური (უსხეულო) ნივთებთან დაკავშირებული საკოლიზიო საკითხების გადაწყვეტის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 34-ე მუხლით, რომლის თანახმად არაქონებრივი უფლებები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ისინი უნდა იქნეს გამოყენებული.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი პირადი არაქონებრივი უფლება, როგორცაა პირის უფლება მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივსა და ღირსებას. სად შეიძლება წარმოიშვას ამ უფლების გამოყენების აუცილებლობა? ცხადია რომ ამ უფლების რეალიზაციის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას იქ, სადაც გავრცელდა პირის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობები. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ასეთი ცნობები გავრცელდა საქართველოში, მაშინ უფლება მოითხოვოს ამ ცნობების უარყოფა შეიძლება საქართველოს კანონმდებლობის გამოყენებით, ხოლო თუ ასეთი ცნობების გავრცელებას ადგილი ჰქონდა სხვა ქვეყანაში, მაგალითად საფრანგეთში, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ამ სხვა ქვეყნის სამართალი. იგივე უნდა ითქვას სხვა არაქონებრივ უფლებებზე, როგორცაა გამოსახულების უფლება, სახელის უფლება, პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლება და ა. შ.

²⁵ გ. ზოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

**გარიგება საქრთაშორისო კერძო
სამართალში**

§1. საბაზემო ეკონომიკური გარიგებები

1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა იურიდიული ფაქტების საფუძველზე ხდება. იურიდიული ფაქტები – ეს ისეთი ფაქტებია, რომლებსაც სამოქალაქო სამართალი უკავშირებს ქონებრივ და მასთან დაკავშირებული პირადი არა-ქონებრივი უფლებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. გარკვეული ნიშნის მიხედვით იურიდიული ფაქტები შეიძლება სხვადასხვა სახეობად დავყოთ, ანუ მოვანდინოთ მათი კლასიფიკაცია. იურიდიული ფაქტების კლასიფიკაციის ერთ-ერთი გავრცელებული საფუძველი – ესაა სამართლის სუბიექტების ნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის „ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.“

ამრიგად გარიგება – ესაა ფიზიკური და იურიდიული პირების ნებელობითი მოქმედება, რომლის მიზანია სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

2. საქრთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ხშირად იდება სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის გარიგებები, რომლებსაც აერთიანებენ ერთი სახელწოდებით „საგარეო-ეკონომიკური“ (ან „საქრთაშორისო კომერციული“) გარიგება.

თავისი იურიდიული ბუნებით საგარეო-ეკონომიკური გარიგება არ განსხვავდება შინასახელმწიფოებრივი გარიგებისაგან, ანუ ისეთი გარიგებებისაგან, რომლებიც იდება ერთი რომე-

ლიბე სახელმწიფოს შიგნით და ამ სახელმწიფოს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს შორის. განსხვავება საგარეოეკონომიკურ და შინასახელმწიფოებრივ გარიგებებს შორის ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ შინასახელმწიფოებრივი გარიგებების მიმართ გამოიყენება მხოლოდ შინასახელმწიფოებრივი სამართალი, ხოლო საგარეოეკონომიკური გარიგებების მიმართ ყოველთვის წამოიჭრება საკითხი რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.

საგარეოეკონომიკური გარიგებები, ისე როგორც ნებისმიერი შინასახელმწიფოებრივი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებები, შეიძლება იყოს ცალმხრივი და ორმხრივი. ცალმხრივია მაგალითად, ისეთი საგარეოეკონომიკური გარიგება, როგორიცაა მინდობილობა და ანდერძი. ორმხრივი (მრავალმხრივი) საგარეოეკონომიკური გარიგებაა ისეთი გარიგება, რომელშიც გამოხატულია ორი ან მეტი პირის შეთანხმებული ნება.

საგარეოეკონომიკური გარიგებებია მაგალითად, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება, ბარტერიისა და საკომისიო ხელშეკრულებები, ლიზინგი, იჯარა, ერთობლივი საქმიანობა (აშხანაგობა), გადაზიდვა და ა.შ.

საგარეოეკონომიკურ გარიგებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების განსაკუთრებული ადგილი საგარეოეკონომიკურ ურთიერთობებში განპირობებულია ჯერ ერთი, იმით, რომ იგი ყველა სხვა საგარეოეკონომიკურ ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს) შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია და მეორე, სხვა საგარეოეკონომიკური გარიგებები ასე თუ ისე დაკავშირებულია ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ან მის სახესხვაობას წარმოადგენს (მაგალითად ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ). აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება, სწორედ იმის

გამო, რომ იგი ყველაზე ფართოდ გამოიყენება, ამავე დროს ყველაზე უფრო დეტალურად დამუშავებულ ხელშეკრულებათა კატეგორიას მიეკუთვნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევჩერდეთ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, მითუმეტეს, რომ მისი მომწესრიგებელი ნორმები ხშირად გამოიყენება ანალოგიით სხვა საგარეოეკონომიკური ხელშეკრულებების (კონტრაქტების) მიმართ. მაგალითად, საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ 1955 წლის 15 ივნისის კონვენციის პირველ მუხლში მითითებულია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებას უთანაბრდება საქონლის მიწოდების ხელშეკრულება.

ნასყიდობის ხელშეკრულების ლეგალური განმარტება ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

რაც შეეხება საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებას, ასეთი ხელშეკრულების განმარტებას საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს. ამიტომ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ისე გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ“.

ამ კონვენციის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება — ისეთ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებაა, რომელთა კომერციული საწარმოები სხვადასხვა სახელმწიფოებში იმყო-

ფება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგნაირად განესაზღვროთ საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება: საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება სხვადასხვა სახელმწიფოში მდებარე კომერციული საწარმოების მქონე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებაა, რომლის ძალით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს მყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

ვენის კონვენცია ერთმანეთისაგან გამიჯნავს ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებებს. ამ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულებად ითვლება იმ საქონლის მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც მზადდება ან იწარმოება, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ კისრულობს ასეთი საქონლის დამზადებისათვის ან წარმოებისათვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი მიწოდების ვალდებულებას. ამასთან ერთად, ეს კონვენცია არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომელშიც საქონლის მიმწოდებელი მხარის ვალდებულებებს ძირითადად წარმოადგენს სამუშაოთა შესრულება ან სხვა სახის მომსახურება. აღსანიშნავია ისიც, რომ ვენის კონვენციის აზრისა და შინაარსის მიხედვით საქონელში იგულისხმება მატერიალური ნივთი და არა უფლება.

§2. ბარობების საკოლმზიო საკითხები

1. ნების ავტონომია და მისი ფარგლები

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ნებას რთავს ანუ უფლებას ანიჭებს მხარებს, რომლებიც დებენ გარიგებებს საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში (საგარეოეკონომიკური გარიგებები), მოაწესრიგონ ამ გარიგებასთან დაკავშირებული საკითხები იმ ქვეყნის სამართლით,

რომელიც მათ აირჩიეს.²⁶ ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული ამ კანონის 35-ე მუხლში, რომლის თანახმად სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით „წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით“.

არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგ (35-ე მუხლის ნაწ. 1 და 2).

35-ე მუხლი ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ და ზოგადსამართლებრივ პრინციპს მხარეთა ნების ავტონომიის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „სამოქალაქო ურთიერთობების მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება“.

ყველა ასეთ შემთხვევაში, როდესაც კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხოელია, მაშინ მხარეთა ნების ავტონომია გვევლინება როგორც მიმაგრების ფორმულა, რაც განმტკიცებულია არამარტო საქართველოს, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის კანონმდებლობით.

ნების ავტონომიის, როგორც საკოლიზიო პრინციპის, როგორც მიმაგრების ფორმულის მიმართ წამოიჭრება ზოგიერთი საკითხი, რომელსაც უწინარეს ყოვლისა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

²⁶ საერთაშორისო კერძო სამართალში მხარეთა ნების ავტონომიის თაობაზე არსებული შეხედულების შესახებ იხ. ალ. იოსელიანი, „ნების ავტონომია საერთაშორისო კერძო სამართალში“, ჟურნ. „ცხოვრება და სამართალი“. №3, 1998, გვ. 77.

პირველ რიგში ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფორმით შეუძლია მხარეებს გამოხატონ თავიანთი ნება სამართლის არჩევის შესახებ.

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ არ განსაზღვრავს მხარეთა ნების გამოხატვის ფორმას მათ მიერ სამართლის არჩევის შესახებ. აუცილებელია თუ არა, რომ მხარეებმა თავიანთი ნება ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევის შესახებ წერილობით გააფორმონ?

მხარეთა შეთანხმებული ნება სამართლის არჩევის შესახებ სხვა არაფერია თუ არა გარიგება. ამიტომ გარიგების ფორმას, როგორც ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, აქვს მნიშვნელობა არამართო მხარეებისათვის, არამედ სამართალშემფარდებელი ორგანოსათვისაც.

ეჭვს არ იწვევს, რომ მხარეებმა თავიანთი ნება შეიძლება გამოხატონ წერილობითი ფორმით და ამის შესახებ მიუთითონ გარიგებაში ან ცალკე წერილობით დოკუმენტში. ასეთი ფორმით სამართლის არჩევას მხარეთა ნების პირდაპირ და აშკარა გამოხატვას უწოდებენ.

სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა ნების პირდაპირი გამოხატვის გარდა არსებობს აგრეთვე ასეთი ნების დუმილით (არაპირდაპირ) გამოხატვა. ეს ისეთი ვითარებაა, როდესაც მხარეებს პირდაპირ და აშკარად თავიანთი ნება სამართლის არჩევის შესახებ არ გამოუხატავთ, მაგრამ გამომდინარეობს უშუალოდ ხელშეკრულებიდან.

მაგალითად, „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ“ 1955 წლის 15 ივნისის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად „ნასყიდობა რეგულირდება იმ ქვეყნის შინაგანი სამართლით, რომელიც მითითებულია ხელშემკვერელი მხარეების მიერ. ასეთი მითითება პირდაპირ უნდა იყოს გამოხატული ან არაორაზროვნად უნდა გამომდინარეობდეს ხელშეკრულების დებულებებიდან“.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმებული ნების გამოხატვის რაიმე ფორმას. აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ ასეთი ფორმა, ე.ი. შეუძლიათ თავიანთი შეთანხმება სამართლის არჩევის შესახებ გააფორმონ წერილობით ან ზეპირად – როგორც თვითონ გადაწყვეტენ.

მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თუ სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმება არაა წერილობით გაფორმებული, ეს შეიძლება გახდეს გაუგებრობის მიზეზი, მით უმეტეს თუ ერთ-ერთი მხარე უარყოფს ასეთი შეთანხმების არსებობას.

ვფიქრობთ ამით არის განპირობებული საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ ზემოთ მოყვანილი კონვენციის მითითება იმის შესახებ, რომ სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმების თაობაზე წერილობითი გაფორმების უქონლობისას ასეთი შეთანხმება „არაორაზროვნად უნდა გამომდინარეობდეს ხელშეკრულების დებულებიდან“.

აქედან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით ან იგი უნდა გამომდინარეობდეს თვითონ ხელშეკრულებიდან, მისი შინაარსიდან.

პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ „არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართალით ხელშეკრულების დადების შემდეგაც.“

35-ე მუხლის მე-2 ნაწილით დამკვიდრებული ამ დებულებიდან ორი დასკვნა გამომდინარეობს: 1. თუ მხარეები შეთანხმდნენ და აირჩიეს ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, მათ არ შეუძლიათ ცალმხრივად თქვან უარი თავიანთ შეთანხმებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოსაყენებელი სამართლის არჩევის შესახებ მხარეთა შეთანხმება იძენს იურიდიულ ძალმოსილუ-

ბას; 2. არჩეული ქვეყნის სამართალი მხოლოდ ისევ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს.

მეორე, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი საკითხი რაც დაკავშირებულია მხარეთა ნების ავტონომიასთან — ესაა ნების გამოხატვის ფარგლები: შეუძლიათ თუ არა მხარეებს აირჩიონ ნებისმიერი ქვეყნის სამართალი, თუ უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფოთი, რომელთა შორის მათ შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი?

საქართველოს კანონი არ შეიცავს რაიმე შეზღუდვას ამ თვალსაზრისით. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი ქვეყნის სამართალი.

შეზღუდვა არის მხოლოდ ერთი: სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს (35-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

ამ მუხლის დანაწესი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს იგი ზღუდავს მხარეთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევას, ამ ქვეყნების გარკვეული წრით. არა! აქ მხედველობაშია იმპერატიული ნორმები ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნებისა და არა ზოგადად ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნების სამართალი. ეს ნათლად ჩანს 36-ე მუხლიდანაც, რომლის თანახმად თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. მაშასადამე, ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს მიმართავენ როცა მხარეებს არ აურჩევიათ გამოსაყენებელი ქვეყნის სამართალი. მათ რომ არ შეეძლოთ გასვლა იმ ქვეყნის სამართლიდან, რომელიც ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, მაშინ სამართლის არჩევის უფლება დაკარგავდა ყოველგვარ აზრს — ხე-

ლშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული სამართალი ისედაც, ე.ი. არჩევანის გარეშეც, გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი შეიცავს სამართლის არჩევის ბათილობის კიდევ ერთ შემთხვევას: სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულვებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომელიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მომსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. როგორც ვხედავთ აქ ლაპარაკი არაა „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყანაზე“. მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი ქვეყნის სამართალი, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ აუვლიან გვერდს იმპერატიულ ნორმებს მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დაცვას რომ ემსახურებიან.

ეს წესი აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული, სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მომსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები არსებობს.

მხარეთა ნების ავტონომიას, მის ფარგლებს უკავშირდება კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ურთიერთობის შინაარსობრივ მხარეს შეეხება. 35-ე მუხლი შეიცავს იმ საკითხების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა მიმართ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი ქვეყნის სამართალი. ამ მუხლის თანახმად სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, „ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულებების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა შეიძლება მოწესრიგდეს მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით.

2. მხარეთა შეთანხმებული ნებით არჩეული ქვეყნის სამართლით შეიძლება მოწესრიგდეს მხოლოდ შემდეგი საკითხები: ხელშეკრულებათა განმარტება, ხელშეკრულებათა შესრულება ან შეწყვეტა, ხელშეკრულების ბათილობის შედეგები, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა როგორც წინასახელშეკრულებო, ისე ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით.

3. მხარეთა შეთანხმებული ნება ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევის შესახებ შეიძლება გამოიხატოს როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით, როგორც ამას თვითონ მხარეები განსაზღვრავენ. ზეპირი ფორმის გამოყენებისას მხარეებმა უნდა დაადასტურონ თავიანთი შენხმება სამართლის არჩევს შესახებ. ასეთი დადასტურება არაა საჭირო, როდესაც მხარეთა მიერ ქვეყნის სამართლის არჩევა წერილობითაა გაფორმებული, ან იგი არაორაზროვნად გამომდინარეობს ხელშეკრულების შინაარსიდან.

4. არჩეული ქვეყნის სამართლის შეცვლა სხვა ქვეყნის სამართლით თვითონ მხარეთა შეთანხმებით შეიძლება მოხდეს.

5. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ითვალისწინებს მხარეთა მიერ არჩეული ქვეყნის სამართლის შესახებ შეთანხმების ბათილობას და, მაშასადამე, მათ მიერ სამართლის არჩევის შეზღუდვას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ სამართლის არჩევა უგულებელყოფს იმ ქვეყნის იმპერატიულ ნორმებს, რომელიც ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან;

ბ) თუ სამართლის არჩევა უგულებელყოფს იმ ქვეყნის იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა

და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. მნიშვნელობა არა აქვს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყანასთან გვაქვს საქმე, თუ არა.

გ) თუ სამართლის არჩევა უგულებელყოფს იმ ქვეყნის ნორმებს სადაც მოხდა შეთანხმება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების შესახებ და სადაც აქვთ საცხოვრებელი ადგილი მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს და თუ იქ დისკრიმინაციისაგან დაცვის ნორმები მოქმედებს.

2. სამართლის გამოყენება, როცა მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი

საკითხი ასე დგას: რომელი ქვეყნის სამართალი უნდა გამოვიყენოთ გარიგებების მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ ამა თუ იმ ქვეყნის სამართალი, ან თუმცა აირჩიეს, მაგრამ ასეთი არჩევანი ბათილია კანონით გათვალისწინებული საფუძვლით.

ამ საკითხზე პასუხს შეიცავს 36-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად „თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს.“

ამრიგად, მხარეების მიერ სამართლის არჩევის უქონლობისას სასამართლომ უნდა გამოარკვიოს და განსაზღვროს ქვეყანა, რომლის სამართალთანაც ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული ხელშეკრულება.

ლიტერატურაში ფართოდ განიხილება საკითხი, თუ რომელი ქვეყნის სამართალთან არის ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ხელშეკრულება. ჩვენთვის ამ შეხედულებათა გარჩევას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან 36-ე მუხლი, ე.ი. თვითონ კანონი ნათლად და გარკვევით განსაზღვრავს თუ რომელი ქვეყნის სამართალი ითვლება ხელშეკრულებასთან

ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულად. ამ მუხლის თანახმად „ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებულუ იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია“.

ამრიგად, საკოლიზიო პრინციპად გამოყენებულია მითითება იმ ქვეყნის სამართალზე, სადაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელ მხარეს ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია.

დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების მქონე მხარედ თვლიან, მაგალითად, ნასყიდობის დროს — გამყიდველს, გადაზიდვების ხელშეკრულებაში — გადამზიდველს, ქირავნობის ხელშეკრულებაში — გამქირავებელს და ა.შ. აქედან გამომდინარე, იმ ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული სახელშეკრულებო ურთიერთობის დასარეგულირებლად, სადაც ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი გამყიდველს, გადამზიდველს, გამქირავებელს და ა.შ.

აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ სად ჰქონდა ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულების შემსრულებელ მხარეს ამ ხელშეკრულების დადების დროს. ამიტომ, თუ ასეთმა მხარემ შემდგომში შეიცვალა ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია, ეს ვერ მოახდენს გავლენას საკოლიზიო პრინციპზე: ყოველთვის გამოყენებულ უნდა იქნას იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მხარეს ჰქონდა ადგილსამყოფელი (რეზიდენცია) ხელშეკრულების დადების დროს.

ყურადსაღებია ისიც, რომ 36-ე მუხლი ზოგიერთ შემთხვევაში აკონკრეტებს „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ“ ქვეყანას. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულებ-

ის საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება ან მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

36-ე მუხლი აკონკრეტებს „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ“ ქვეყანას იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება ტვირთის გადაზიდვისა და დაზღვევის ხელშეკრულებებს. ამ მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც ხელშეკრულების დადებისას „გადამზიდველს აქვს ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელი, თუ ამ ქვეყანაშია დატვირთვის, გადმოტვირთვის ან გამგზავნის ძირითადი ადგილსამყოფელი“. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „დაზღვევის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც დასაზღვევი რისკის ძირითადი ნაწილი არსებობს.

რამდენიმე სიტყვა ვარაუდის შესახებ, რომელზეც ასე ხშირად მითითებს განსაკუთრებით 36-ე მუხლი. „ვარაუდს“ (პრეზუმფციას) აქ აქვს ორგვარი მნიშვნელობა: ერთი, მისი მეშვეობით ხდება „ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყანის“ სამართლის განსაზღვრა, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს, როცა მხარეებს თვითონ არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი და მეორე, ვარაუდი ამ შემთხვევაში გვევლინება როგორც მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, რომელიც მტკიცებულებითი ვარაუდებისაგან (პრეზუმფციებისაგან) განსხვავებით არ შეიძლება უარყოფილი ან გაქარწყლებული იქნას საწინააღმდეგოს დამტკიცებით. მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე“. ეს არის მტკიცებულებითი ვარაუდი, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ვინმე აღძრავს ვინდიკაციურ სარჩელს ნივთის მფლობელის წინააღმდეგ

ამ ნივთის გამოთხოვის შესახებ, მან უნდა დაამტკიცოს, რომ არის ამ ნივთის მესაკუთრე. ნივთის მფლობელი, რაზან იგი ივარაუდება მესაკუთრედ, თავისუფლდება იმ ფაქტის დამტკიცების მოვალეობისაგან, რომ იგი არის ამ ნივთის მესაკუთრე.

მაგრამ, 36-ე მუხლით გათვალისწინებული ვარაუდები განსხვავდება მტკიცებულებითი ვარაუდებისაგან იმით, რომ, თუ მაგალითად, მხარე დაადასტურებს, რომ მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ხელშეკრულების დადებისას იყო პოლანდია, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლანდიასთან და ვარაუდის გაქარწყლება (საწინააღმდეგოს დამტკიცება) არ შეიძლება. ასევე, თუ მიწის ნაკვეთი, რომელიც ხელშეკრულების საგანია, მდებარეობს გერმანიაში, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება მჭიდროდაა დაკავშირებული გერმანიასთან და ამის საწინააღმდეგოს დამტკიცება, ე.ი. ამ ვარაუდის გაქარწყლება არ შეიძლება. ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ასეთ ვარაუდებს მატერიალურსამართლებრივ ვარაუდებს, განსხვავებით მტკიცებულებითი ვარაუდებისა.

§ 3. ბარტიზმის ნამდვილობა, ბარტიზმის ფორმა

ა. გარიგების ნამდვილობა. ნებისმიერი ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს გარიგების ნამდვილობის პრინციპებს. გარიგების ნამდვილობა ნიშნავს იმას, რომ იგი პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რაც აუცილებელია იურიდიული უფლებების და მოვალეობების წარმოსაშობად. მაგალითად, ნების გამოვლენა მცირეწლოვანის ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ქმედუენაროდ აღიარებული პირის მიერ, აქარწყლებს გარიგების ნამდვილობას. ასეთი პირების მიერ დადებული გარიგება ბათილია.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 27-ე მუხლის თანახმად გარიგების ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის

სამართლით, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ამ გარიგების ნამდვილობისათვის. აქ ნამდვილ ტავტოლოგიასთან გვაქვს საქმე — „გარიგების ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებულ უნდა ყოფილიყო გარიგების ნამდვილობისათვის“.

მაგრამ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება გარიგების ნამდვილობისათვის?

საქართველოს კანონის ზოგად საკოლიზიო პრინციპებიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ გარიგების ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართალით, რომელიც მხარეებმა აირჩიეს გარიგებისათვის. საერთოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, მაშინ გარიგების ნამდვილობისათვის გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული ამ გარიგებასთან (იხ. ზემოთ).

ბ. გარიგების ფორმა. გარიგების ფორმა გარიგების ნამდვილობის ერთ-ერთი პირობაა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად „ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება“.

გარიგების ფორმას ითვალისწინებს ნებისმიერი სხვა ქვეყნის კანონმდებლობაც.

ამიტომ, ბუნებრივია იბადება კითხვა: რომელი ქვეყნის სამართალით განისაზღვრება გარიგების ფორმა, როდესაც ეს გარიგება დადებულია უცხო სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირის მონაწილეობით.

ამ საკითხზე პასუხს იძლევა 29-ე მუხლი, რომლის თანახმად გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართალით, სადაც დაიდო ეს გარიგება, ან იმ ქვეყნის სამართალით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყ-

ანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს.

როგორც ზემოთ ავლინებთ, გარიგების ფორმას ითვალისწინებს ნებისმიერი ქვეყნის სამართალი. ამ ქვეყნებს შორის არის ისეთებიც, რომელთა სამართლის მიხედვით გარიგება შეიძლება დაიდოს წერილობითი ფორმით და ასეთი ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას.

ამასთან ერთად, გაეროს კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ (ვენის 1980 წლის კონვენცია), კერძოდ ამ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად „აუცილებელი არ არის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული ან დამტკიცებული იყოს წერილობითი ფორმით ან ექვემდებარებოდეს სხვა მოთხოვნას ფორმასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებით, მოწმეთა ჩვენების ჩათვლით“.

როგორც ვხედავთ, ვენის კონვენციის მე-11 მუხლის ჩანაწერი შეიძლება აღმოჩნდეს წინააღმდეგობაში იმ ქვეყნების სამართალთან, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულების სავალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებენ.

ეს გაითვალისწინა ვენის კონვენციამ და დაუშვა შესაძლებლობა, რომ ამ კონვენციაზე მიერთების დროს სახელმწიფოებმა შეიძლება გააკეთონ დათქმა მე-11 მუხლის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ. ვენის კონვენციის 96-ე მუხლის თანახმად „ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები იდებოდეს, მტკიცდებოდეს (დასტურდებოდეს – თ. ლ.) წერილობითი ფორმით, ნებისმიერ დროს შეუძლია მე-12 მუხლის შესაბამისად განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მე-11, 29-ე ან II ნაწილის ნებისმიერი დებულება, რომელიც დასაშვებად მიიჩნევა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება, მისი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეთა შეთანხმებით ან ოფერტა, აქცეპტი ან განზრახვის ნებისმიერი სხვა გამოხატულება ხდე-

ბოდეს წერილობით, არამედ ნებისმიერი სხვა ფორმით, არ გამოიყენება, თუნდაც ერთ რომელიმე მხარეს თავისი კონკრეტული საწარმო ჰქონდეს ამ სახელმწიფოში“.

იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ვენის კონვენციაზე მიერთების დროს ასეთი დათქმა გააკეთეს, მე-11 მუხლის ნაცვლად მოქმედებს მე-12 მუხლი, რომელიც კრძალავს ასეთ შემთხვევაში მე-11 მუხლის გამოყენების შესაძლებლობას.²⁷

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის თანახმად გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც, მაგრამ ეს არ ცვლის გარიგების ფორმის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის პრინციპს: 29-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად თუ ხელშეკრულება დადებულია წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ ამ მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებისას იგულისხმება ის ქვეყანა, სადაც იმყოფება წარმომადგენელი.

სკს კანონის 29-ე მუხლი სხვა თვალსაზრისითაც აკონკრეტებს გარიგების ფორმის მიმართ გამოსაყენები სამართლს საკითხებს. ამ მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით იმ გარიგებათა მიმართ, რომელთა საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

29-ე მუხლის მე-4 ნაწილი განსაზღვრავს ისეთი გარიგების ფორმას, რომლითაც წარმოიშობა უფლება ნივთზე, ან რომლითაც ხდება ამ უფლების განკარგვა. ასეთი გარიგება ითვლება ფორმის დაცვით დადებულად, თუ ეს ფორმა შეესაბამება იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის წარმომშობი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ.

²⁷ 1994 წლის 3 თებერვალს საქართველო შეუერთდა ვენის 1980 წლის კონვენციას, ყოველგვარი დათქმის გარეშე, რადგან მას ეს არ სჭირდებოდა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს მოძრავი ნივთების ნასყიდობისათვის სავალდებულო წერილობით ფორმას.

დელიქტების საკოლიზიო საკითხები

§1. დელიქტების ზოგადი საკოლიზიო პრინციპები

სამოქალაქო კოდექსის მესამე თავი ეძღვნება დელიქტურ ვალდებულებებს. ამ კოდექსის 992-ე მუხლში მოცემულია დელიქტური ვალდებულებების ცნება: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“.

ამრიგად, ზიანის ანაზღაურების მოვალეობა წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის მიყენებლის მოქმედება, რომელსაც მოყვა ზიანი, იყო მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი.

სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის ანაზღაურების საფუძვლები და ოდენობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ამიტომ პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული ზიანის მიყენების შემთხვევაში.

ამ საკითხს აწესრიგებს საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 42-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი ქვეყნის სამართალს ექვემდებარება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება „დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს“.

ცხადია, რომ ამ პუნქტში ჩამოყალიბებული დებულების აზრი და შინაარსი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს დაზარალებულს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი ისეთი ქვეყნის სამართალი, სადაც არ ჰქონია ადგილი არც მოქმედებას, რომელსაც

ზიანი მოყვა, არც ზიანს, რომელიც ამ მოქმედებას მოყვა და არც ზიანის მიმყენებელს ან დაზარალებულს არ აქვს მუდმივი სამყოფელი (საცხოვრებელი) ადგილი. დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართლის განსაზღვრისას მხედველობაში შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ იმ ქვეყნების სამართალი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს 42-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით.

რომელია ეს ქვეყნები?

42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება „იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას ან გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას“.

ამრიგად, 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტში დამკვიდრებულია ძირითადი და აღიარებული საკოლიზიო კრიტერიუმი — ზიანის მიყენების ადგილის კანონის პრინციპი (*Lex Loci delicti commissi*).

არ არსებობს ერთგვაროვანი მოსაზრება მხოლოდ იმ საკითხზე, თუ რომელი ადგილი ითვლება ზიანის (დელიქტის) მიყენების ადგილად. ზოგიერთი ასეთ ადგილად თვლის იმ ადგილს, სადაც მოხდა დელიქტი, ანუ სადაც ჩადენილ იქნა მოქმედება, რომელსაც შედეგად მოყვა ზიანი. ზოგიერთი კი ზიანის მიყენების ადგილად თვლის იმ ადგილს, ანუ იმ ქვეყანას, სადაც დადგა შედეგი. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომლის თანახმად დელიქტის ჩადენის ადგილად ითვლება როგორც ზიანის მიმყენებელი მოქმედების ადგილი, ისე შედეგის დადგომის ადგილი. დაზარალებულს კი შეუძლია ამ ორი ადგილიდან აირჩიოს ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი.

42-ე მუხლის პირველმა ნაწილმა დაამკვიდრა აგრეთვე საკოლიზიო პრინციპი, რომლის თანახმად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა ზიანის გამომწვევ მოქმედებას, აგრეთვე

„იმ ქვეყნის სამართალს, სადაც სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიაღდა“, ანუ სადაც დადგა ზიანი.

ცხადია, რომ საკოლიზიო პრინციპის ასეთნაირად გადაწყვეტისას წამოიჭრება პრობლემა: ამ ორი ქვეყნის სამართლიდან რომელი უნდა იქნეს გამოყენებული?

სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა იქნეს გამოყენებული 42-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის დებულება, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომლის თანახმად ზიანის ანაზღაურების დროს გამოყენებული უნდა იქნეს „დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალი“.

ვის შეუძლია გააკეთოს არჩევანი — სასამართლოს თუ დაზარალებულს?

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი ამის შესახებ არაფერს ამბობს.

ჩვენი აზრით არჩევანის გაკეთების უფლება აქვს როგორც დაზარალებულს, ისე სასამართლოს, თუ თვითონ დაზარალებული ასეთ არჩევანს რატომღაც არ აკეთებს. მთავარია, რომ არჩეული ქვეყნის სამართალი ზიანის ანაზღაურების საფუძვლების თუ მოცულობის (რაოდენობის) თვალსაზრისით იყოს „დაზარალებულისთვის უფრო ხელსაყრელი“.

§2. ბაზონაკლისები დელიქტების ზოგადი

საკოლიზიო პრინციპებიდან

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 42-ე მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს გამონაკლისებს დელიქტების ზოგადი საკოლიზიო პრინციპებიდან. კერძოდ ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად საკოლიზიო პრინციპების ნაცვლად ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება „იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და დაზარალებულს ზიანის მიყენებისას ჰქონდათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქართველოში მცხოვრებმა ფიზიკურმა პირებმა ან იურიდიულმა პირებმა, რომლებსაც ადგილსამყოფელი საქართველოში აქვთ, ერთმანეთს მიაყენეს ზიანი საზღვარგარეთ, მაშინ გამოიყენება ზიანის ანაზღაურების შესახებ საქართველოს სამართალი.

დელიქტური ვალდებულებების საერთო საკოლიზიო პრინციპებიდან გამონაკლისს განსაზღვრავს აგრეთვე 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი, რომლის თანახმად არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისათვის გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ბაზარზეც ასეთი კონკურენცია გავლენას ახდენს, თუ ეს კონკურენცია არ შემოიფარგლება ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა ინტერესებისათვის სრული ან ნაწილობრივი ზიანის მიყენებით.

ამრიგად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის ბაზარზეც ასეთმა არაკეთილსინდისიერმა კონკურენციამ მოახდინა გავლენა, რის გამოც ზიანი მიადგა ამა თუ იმ კონკურენტს.

საქართველოს კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას. ამ კანონის მე-9 მუხლი შეიცავს არაკეთილსინდისიერი გამოვლინების კონკრეტულ შემთხვევათა ამომწურავ ჩამონათვალს, ხოლო ამავე კანონის 29-ე მუხლის თანახმად ეკონომიკურ აგენტს, ანუ იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას უფლება აქვთ უშუალოდ მიმართონ სასამართლოს, შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთისა და ამის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 42-ე მუხლის შესაბამე ნაწილი ამკვიდრებს წესს, რომლის თანახმად

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა, რომელიც მიაყენეს საქართველოს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, შეიძლება წაუყენონ არამარტო უშუალოდ ზიანის მიმყენებელ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, არმედ პასუხისმგებლობის დაზღვევს, ოღონდ ერთი პირობით „თუ ამას ითვალისწინებს იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოიყენება ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის მიმართ, ან იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულება ექვემდებარება“.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო კოდექსის 839-ე და 840-ე მუხლები, რომელთა თანახმად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევეი იმ ვალდებულები-საგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო. მზღვეველი თავის ვალდებულების ფარგლებში მოვალეა უშუალოდ ანაზღაუროს ზიანი, თუ პირი, რომელსაც ზიანი მიაღდა, მას წარუდგენს მოთხოვნას.

თავი VII

საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები სამართაშორისო კერძო სამართალში

ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია სახელმწიფო ორგანოში (სამოქ. კოდექსის 1106-ე მუხლი). დაქორწინების წესი და პირობები განსაზღვრულია სამოქალაქო კოდექსით.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ საოჯახო სამართალში, როდესაც ხდება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა დაქორწინება, საკოლიზიო საკითხების სწორად გადაწყვეტა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

საქმე ისაა, რომ საოჯახო ურთიერთობები განეკუთვნება სამართლებრივი ურთიერთობების ისეთ სფეროს, რომელიც ყველაზე ნაკლებად განიცდის მატერიალური სამართლის უნიფიცირებული ნორმებით რეგულირებას. ეს განპირობებულია სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების რელიგიური, ნაციონალური, ყოფითი ტრადიციებით, რომელთა უშუალო ზეგავლენით ყალიბდება საოჯახო ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონი განსაზღვრავს საოჯახო სამართლის ისეთ საკოლიზიო საკითხებს, როგორცაა ქორწინების პირობები, ქორწინების შედეგები, ქორწინების შეწყვეტა, რჩენის მოვალეობა, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები, ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული ურთიერთობები, შვილად აყვანის პირობები, მეურვეობა და მზრუნველობა.

§1. საოჯახო სამართლის საკოლიზიო საკითხები

1. დაქორწინების პირობები

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე აკრძალვას საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დაქორწინებისათვის. დაქორწინება დასაშვებია არამართო საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორისაც.

ამასთან ერთად, 44-ე მუხლი განსაზღვრავს დაქორწინების პირობებს. ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია ძირითადი საკოლიზიო პრინციპი, რომლის თანახმად ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ საქართველოს მოქალაქე დაქორწინდება შვეიცარიის მოქალაქეზე, მაშინ საქართველოს მოქალაქის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობა ისეთი საკითხების მიმართ, როგორცაა საქორწინო ასაკი, დასაქორწინებელი პირთა თანხმობა, დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობა, რომლებიც მითითებულია სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში და ა.შ. რაც შეეხება შვეიცარიის მოქალაქეს – მის მიმართ დაცული უნდა იქნეს შვეიცარიის კანონმდებლობის მოთხოვნები.

იგივე წესი მოქმედებს როდესაც დასაქორწინებელი პირებიდან არცერთი არ არის საქართველოს მოქალაქე და ორივე ერთი რომელიმე უცხო ქვეყნის ან სხვადასხვა უცხო ქვეყნის მოქალაქეა. მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს თავიანთი ქვეყნების სამართალი.

44-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლისებს ამავე მუხლის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებული

ძირითადი საკოლიზიო პრინციპიდან. ეს გამონაკლისები მდგომარეობს შემდეგში: თუ ქორწინების პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ სხვა ქვეყნის სამართალი ქართულ სამართალთან შედარებით ზღუდავს ქორწინების თავისუფლებას.

როგორც ვხედავთ, საქმე ეხება ქორწინების თავისუფლების ისეთ შეზღუდვას, რომელსაც შეიცავს უცხო ქვეყნის სამართალი, მაგრამ არ იცნობს საქართველოს სამართალი. მაგალითად, რიგი ქვეყნების სამართალი იცნობს ქორწინების თავისუფლების შეზღუდვას რელიგიური მოსაზრებებით, რასაც არ იცნობს საქართველოს სამართალი. ამიტომ, თუ დაქორწინება ხდება საქართველოში და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეა, რომელიც ზღუდავს დაქორწინების თავისუფლებას საქართველოს სამართალთან შედარებით, მაშინ გამოიყენება საქართველოს სამართალი.

ბ) თუ წინა ქორწინება ხელს არ უშლის ხელახალ ქორწინებას.

ცნობილია, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ დაიშვება ქორწინება იმ პირთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთი დაქორწინებულია სხვასთან (სამოქ. კოდექსის 1120-ე მუხლი). მაგრამ არის ისეთი ქვეყნები, სადაც დასაშვებია განმეორებით დაქორწინება. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს მოქალაქეს სურს დაქორწინდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე, რომელიც უკვე იმყოფება ქორწინებაში, გამოყენებული უნდა იქნეს არა ამ უცხო ქვეყნის სამართალი, რომელიც დასაშვებად თვლის მეორე ქორწინებას, არამედ საქართველოს სამართალი და, აქედან გამომდინარე, უარი უნდა ეთქვას დაქორწინებაზე ასეთ პირს.

გ) თუ წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოში ცნობილი (ალიარებული) გადაწყვეტილებით შეწყვეტილი ან გაბათილებულია.

ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება შესაძლებელია თუ წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოს მიერ ალიარებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით შეწყვეტილია ან ბათილადაა ცნობილი.

ხელმოკრულ დაქორწინების შემთხვევაში პირი ვალდებულია ქორწინების რეგისტრაციისას წარმოადგინოს მოწმობა წინა ქორწინების შეწყვეტის შესახებ, ხოლო თუ ქორწინება ბათილად ცნო სასამართლომ, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად უნდა დადასტურდეს, რომ აღარ არსებობს საფუძველი, რის გამოც ქორწინება გაბათილდა (სამოქ. კოდექსის 1150-ე მუხლი).

დ) თუ დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე გამოცხადებულია გარდაცვლილად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ ვითარებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვესი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „სასამართლო გადაწყვეტილება რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოშობს საფუძველს იმისათვის რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ რეგისტრაციის წიგნში“.

ამრიგად რეგისტრაციის წიგნში მოქალაქის გარდაცვალების შესახებ ჩანაწერის შეტანის შემდეგ მის ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია ხელმეორედ დაქორწინდეს. ამისათვის საჭიროა მეუღლის გარდაცვალების მოწმობის წარდგენა (სამოქ. კოდექსის 1121-ე მუხლის მეორე ნაწილი).

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული მეუღლე გამორჩევა — ეს არ წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ აღდგეს ქორწინება თუ მისი მეუღლე სხვაზე დაქორწინდა. სამოქალაქო კოდექსის 1135-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „ქორწინება არ შეიძლება აღდგეს, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა:

მართალია ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება, მაგრამ თუ ქორწინების ამ პირობებიდან, რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება, ოღონდ თუ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი გარემოებიდან ერთ-ერთი მაინც.

2. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. დაქორწინების გაფორმება

როგორც აღვნიშნეთ, ძირითადი საკოლიზიო პრინციპის თანახმად ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის მოქალაქეც ეს პირია, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. საქართველოს მოქალაქის მიმართ, აქედან გამომდინარე, გამოიყენება საქართველოს სამართალი. საქართველოს სამართალ-

ლი გამოიყენება აგრეთვე საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მე-4 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი შეიცავს ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების ჩამონათვალს. ასეთივე ჩამონათვალს შეიძლება შეიცავდეს იმ უცხო ქვეყნის სამართალი, რომელსაც დასაქორწინებელი პირი განეკუთვნება.

დაქორწინების შემთხვევაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ (მომრ-ომ) უნდა შეამოწმოს ზომ არ არსებობს დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. დაქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის დამტკიცების ტვირთი ეკისრებათ დასაქორწინებელი პირებს. ეს პირდაპირ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 1113-ე მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმად მომრ-ომ უნდა გააფრთხილოს დასაქორწინებელი პირები, რომ ისინი „პასუხისმგებელი არიან დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებათა დაფარვისათვის“.

რაც შეეხება უცხოელებს, როდესაც ისინი ქორწინდებიან საქართველოში და ექვემდებარებიან თავიანთი ქვეყნის სამართალს, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 1118-ე მუხლის თანახმად „საქართველოში უცხოელთა დაქორწინებისათვის აუცილებელია მათი ქვეყნის სათანადო ორგანოების ცნობა, რომ არ არსებობს ამ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები. ეს წესი არ ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, ან იმ სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც არ გასცემენ ასეთ ცნობას.

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს, მათზე ვრცელდება დაქორწინების იგივე წესები, რაც საქართველოს მოქალაქეებზე.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ქორწინების ფორმის საკითხი გან-

ისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება. თუ დასაქორწინებელი პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: ა) თუ დასაქორწინებელი პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა და ქორწინება საქართველოში ფორმდება, დაქორწინება უნდა მოხდეს საქართველოს სამართლით განსაზღვრული ფორმის დაცვით; ბ) თუ დაქორწინება ხდება უცხო ქვეყანაში, მაშინ დაქორწინების გაფორმება წარმოებს ამ უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით, თუგინდ ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქე იყოს; გ) თუ დასაქორწინებელი პირები უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან, მათი ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირის ქვეყნის სამართლის მიხედვით.

3. ქორწინების შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც წარმოშობს ურთიერთ პირად და ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს.

მაგრამ ქორწინება სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ მაშინ, თუ იგი შემდგარია კანონით განსაზღვრული წესით.

მაგალითად, საქართველოში ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, თუ იგი რეგისტრირებულია მომრო-ში (სამოქალაქო ქორწინება). სამოქალაქო ქორწინება მიღებულია მაგალითად გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, იაპონიაში და ა.შ.

ქორწინება შეიძლება განხორციელდეს ალტერნატიულად – როგორც სამოქალაქო, ისე რელიგიური ფორმით (მაგალითად, ინგლისი, იტალია, ესპანეთი და ა.შ.)

არიან ისეთი ქვეყნებიც, სადაც ქორწინება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ რელიგიური ფორმით (მაგ. ირანი, ისრაელი, ერაყი და ა.შ.).

როგორც აღვნიშნეთ, ქორწინება, თუ იგი შემდგარია კანონით დადგენილი წესით, წარმოშობს მეუღლეების მიმართ უფლებებსა და მოვალეობებს, როგორცაა გვარის არჩევის უფლება, საოჯახო საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა, საქმიანობის არჩევის თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევა, საერთო საკუთრების უფლება. ქონებაზე, რომელიც შეძენილია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში, თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით, საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა და ა.შ.

ასეთია მოკლედ ზოგადი შედეგები, რომლებიც დაქორწინებას უკავშირდება და მის საფუძველზე წარმოიშვებიან:

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ორივე მეუღლე განეკუთვნება, ან ქორწინებამდე განეკუთვნებოდა. სიტყვა „განეკუთვნება“ გაგებული უნდა იქნეს, როგორც მოქალაქეობა – მეუღლეები განეკუთვნებიან იმ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც არიან.

ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს, ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

აქ დამკვიდრებულია ტერიტორიული პრინციპი: ქორწინების შედეგების, ანუ მეუღლეებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მეუღლეებს აქვთ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ხოლო თუ ასეთი არ აქვთ, მაშინ იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მათ ქორწინების უკანასკნელ მომენტში (ქორწინების წინ) ჰქონდათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლეებს არ აქვთ ერთობლივი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მეუღლეებისათვის ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულ ქვეყნად შეიძლება მივიჩნიოთ მაგალითად ის ქვეყანა, სადაც მათ გააფორმეს ქორწინება.

ამრიგად, საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის მიხედვით ქორწინების შედეგების მიმართ უპირატესად გამოიყენება მეუღლეთა ერთობლივი „განკუთვნადობა“ (მოქალაქეობა) და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასეთი არ გვაქვს, მაშინ გამოიყენება ერთობლივი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის პრინციპი.

იგივე პრინციპი მოქმედებს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის მიმართ, ოღონდ ერთი პირობით: თუ მათ არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი.

ამრიგად, მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც მათ აირჩიეს (45-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მაგრამ ეს მუხლი მნიშვნელოვნად ზღუდავს მეუღლეთა ნების ავტონომიის გამოვლინების ფარგლებს: სამართლის არჩევა მეუღლეების მიერ შესაძლებელია, თუ იგი მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე (1) რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება, (2) სადაც

ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, ან (3) სადაც უძრავი ქონება იმყოფება.

მხარეთა ნების ავტონომიის გამოვლინების ფარგლების ეს ჩამონათვალი ამომწურავია. ამ შეზღუდვების ფარგლებს იქით მეუღლეთა ნების ავტონომიას ანუ მათ მიერ ამა თუ იმ ქვეყნის სამართლის არჩევას იურიდიული ძალამოსილება არ გააჩნია.

ბოლოს, 45-ე მუხლის მესამე ნაწილი შეიცავს თანამედროვე პირობებისათვის ერთ მეტად მნიშვნელოვან დებულებას: ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ლტოლვილებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალიც, სადაც მათ აქვთ ახალი ერთობლივი ადგილსამყოფელი.

ყველა შემთხვევაში, როგორცა ამას პირდაპირ მოითხოვს 45-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, სამართლის არჩევა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

4. რჩენის მოვალეობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ისე როგორც სხვა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა, ითვალისწინებს როგორც მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობას, ისე მშობლების და შვილების საალიმენტო მოვალეობებს. სამოქალაქო კოდექსის 1182-ე მუხლის თანახმად მეუღლეები მოვალენი არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთ დახმარებაზე უარისთქმის, ან სარჩოს მიღების შესახებ მეუღლეთა შორის შეთანხმების არარსებობისას – სასამართლოს წესით სარჩოს მიღების უფლება აქვთ: (1) შრომისუუნარო მეუღლეს, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებს; (2) ცოლს ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის განმავლობაში.

შრომისუუნარო მეუღლე, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, სარჩოს მიღების უფლებას ინარჩუნებს განქორწინების შემდეგაც, თუ იგი შრომისუუნარო გახდა განქორწინებამდე ან ერთი წლის განმავლობაში განქორწინების დღიდან (1183-ე მუხლი).

როგორც ავლნიშნეთ სამოქალაქო კოდექსის 1212-ე-1231-ე მუხლები განსაზღვრავენ მშობლებისა და შვილების, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო მოვალებებს.

როგორც ცნობილია, რჩენის მოვალების სუბიექტური წრე, საფუძვლები, მოცულობა და ა.შ. სხვადასხვა ქვეყნის სამართლის მიხედვით შეიძლება არ იყოს ერთგვაროვანი.

რომელი ქვეყნის სამართალი შეიძლება იქნეს გამოყენებული რჩენის მოვალებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას?

რჩენის მოვალების საკოლიზიო საკითხებს ეძღვნება საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 48-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს რჩენის მოვალების საკოლიზიო საკითხებს პირდაპირი ხაზით ნათესავეებს შორის. აქ გადამწყვეტ და მთავარ საკოლიზიო პრინციპად გამოყენებულია იმ პირის ადგილსამყოფელი, რომელსაც რჩენა ესაჭიროება.

ამასთან ერთად, დამატებით საკოლიზიო პრინციპად გამოყენებულია სარჩენი პირის ინტერესები. ამ ინტერესების შესაბამისად, თუ სარჩენ პირს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართლით არ შეუძლია სარჩოს მიღება მარჩენალისაგან, მაშინ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. მაგრამ თუ სარჩენ პირს მარჩენალისგან სარჩოს მიღება არ შეუძლია არცერთი ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით, მაშინ გამოიყენება საქართველოს სამართალი.

რაც შეეხება არაპირდაპირი ხაზით ნათესავეების რჩენის მოვალებას, აქ ძირითად საკოლიზიო პრინციპად გამოყენებულია მარჩენალისა და სარჩენი პირის ერთობლივი მოქალაქეობა: გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან, ანუ რომლის მოქალაქეებიც ისინი ერთობლივად არიან. მაგრამ თუ მათ არ აქვთ საერთო მო-

ქალაქეობა, მაშინ გამოიყენება მარჩენლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი (48-ე მუხლის მე-2 ნაწ.).

განქორწინების შემთხვევაში და განქორწინებულ მეუღლეთა მიმართ რჩენის მოვალეობის საკოლიზიო საკითხებს განსაზღვრავს 48-ე მუხლის მესამე ნაწილი. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოყენებულ იქნა განქორწინების შესახებ საქმის გადაწყვეტისას. იგივე წესი გამოიყენება ქორწინების შეწყვეტის სხვა ფორმების მიმართ, მაგალითად ქორწინების ბათილობის შემთხვევაში.

48-ე მუხლის მეოთხე ნაწილი განსაზღვრავს იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს, თუ სარჩენი პირი და მარჩენალი საქართველოს მოქალაქეები არიან და მათ ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში აქვთ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.

48-ე მუხლის მე-ნ ნაწილი ამკვიდრებს პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან დებულებას იმის შესახებ, თუ რა ფაქტორებს აქვთ გადაწყვეტი მნიშვნელობა სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას. სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას ორი ფაქტორი უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში: სარჩენი პირის მოთხოვნილება და მარჩენალის ეკონომიკური მდგომარეობა. სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას ეს ორი ფაქტორი აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში დამოუკიდებლად იმისა, ითვალისწინებს თუ არა ამას სამართალი, რომელიც გამოიყენება რჩენის მოვალეობის მიმართ.

5. ქორწინების შეწყვეტა

სამოქალაქო კოდექსის 1122-ე მუხლი განსაზღვრავს ქორწინების შეწყვეტის საფუძვლებს. ასეთი საფუძვლებია ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან გარდაცვლილად გამოცხადება და განქორწინება. ამ მუხლში მითითებული არ არის ქორწინების ბათილობა, მაგრამ ესეც ქორწინების შეწყვეტის

საფუძველია, რადგან, თუ სასამართლომ ქორწინება ბათილად ცნო, ხოლო ქორწინების ბათილად ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, მაშინ ქორწინება შეწყდება.

რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება განქორწინების თუ ქორწინების ბათილად ცნობისას?

47-ე მუხლი განსაზღვრავს ქორწინების შეწყვეტის ზოგად საკოლიზიო პრინციპს: ქორწინების შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ.

ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოსაყენებელი ქვეყნის სამართლის შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა ზემოთ, აქ ავლნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ 47-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ განქორწინებისას მეუღლე საქართველოს მოქალაქეა, ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო და შემდეგ გახდა უცხო ქვეყნის მოქალაქე, განქორწინება შეიძლება მოხდეს საქართველოს სამართლის შესაბამისად, ოღონდ ერთი აუცილებელი პირობის არსებობისას: თუ უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება შეუძლებელია.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება: მთელი რიგი ქვეყნების სამართალი შეიცავს სპეციალურ ნორმებს, რომლებშიც მითითებულია განქორწინების ზუსტად განსაზღვრული კონკრეტული გარემოებები (საფუძველები).

საქართველოს კანონმდებლობით ეს ასე არ არის, სამოქალაქო კოდექსის 1127-ე მუხლის შესამე ნაწილის თანახმად „განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მეუღლეთა შემდგომი ერთად ცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მიუხედავად შესარიგებლად მიღებული ზომებისა“.

აქედან გამომდინარე, განქორწინება უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით შეიძლება აღმოჩნდეს შეუძლებელი. არა-

მარტო იმის გამო, რომ ამ ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება საერთოდ დაუშვებელია, არამედ იმის გამოც, რომ ამ უცხო ქვეყნის სამართლით განქორწინების მკაცრად განსაზღვრული კონკრეტული საფუძველი არ არსებობს, ხოლო საქართველოს სამართლით გათვალისწინებული განქორწინების ზოგადი (შეფასებითი) საფუძვლის მიხედვით – განქორწინება შესაძლებელია.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 45-ე და 47-ე მუხლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ქორწინების შეწყვეტის შემდეგი საკოლიზიო პრინციპები (მიმაგრებები):

1. ქორწინების შეწყვეტა საქართველოს მოქალაქესა და უცხოელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს შორის წარმოებს საქართველოს სამართლის მიხედვით.

2. ქორწინების შეწყვეტა მეუღლეებს შორის, რომელთაგან ორივეს ან ერთ-ერთს მაინც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვს საქართველოში, განიხილება საქართველოს სამართლის მიხედვით. მეუღლეთა მოქალაქეობას ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

ეს იმას ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ ქორწინების შეწყვეტის თაობაზე მიმართონ საქართველოს სასამართლოს, თუ მათ საქართველოს ტერიტორიაზე აქვთ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

3. ქორწინების შეწყვეტა მეუღლეებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს მაინც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდა საქართველოში, შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს სასამართლოს მიერ და საქართველოს სამართლის მიხედვით.

4. ქორწინების შეწყვეტა საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქესა (ან დაქორწინების დროს მაინც თუ იყო საქართველოს მოქალაქე) და უცხოეთის მოქალაქეს შორის განიხილება საქართველოს სამართლის მიხედვით, თუ ქორ-

წინების შეწყვეტა (განქორწინება) უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით შეუძლებელია.

ქორწინების შეწყვეტის შესახებ საქმეებს საქართველოს სასამართლოები განიხილავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 68-ე მუხლი შეიცავს ზოგად წესს, რომლის თანახმად საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. რა თქმა უნდა, ეს ზოგადი წესი უშუალოდ შეეხება ქორწინების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებასაც. ამასთან ერთად, 68-ე მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს მითითებას იმ საფუძვლებზე, რომელთა არსებობისას უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, რის შესახებაც დაწვრილებით საუბარი იქნება ქვემოთ.

§2. მშობლებსა და შვილებს შორის შრომითობის საკოლიზიო საკითხები

სამოქალაქო კოდექსი დაწვრილებით აწესრიგებს მშობლებისა და შვილების ურთიერთობებს, კერძოდ მშობლებისა და შვილების უფლება-მოვალეობებს, წარმოშობის საფუძვლებს, დაქორწინებულ და დაუქორწინებელ მშობლებთან შვილის წარმოშობის დადგენას, მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ, მშობლის უფლების ჩამორთმევას, მშობლებისა და შვილების ურთიერთ საალიმენტო მოვალეობებს და ა.შ.

ყოველთვის, როცა ასეთი ურთიერთობები დატვირთულია უცხოური ელემენტებით, წარმოიშობა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის — საქართველოს თუ უცხო ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 49-ე მუხლი შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან მითითებას: მშობლებსა და

შვილებს შორის არსებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლის მზრუნველობის ჩათვლით, ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობების მოწესრიგებისათვის ძირითადი საკოლიზიო პრინციპი იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებაა, სადაც ბავშვი ცხოვრობს, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

ამ ძირითადი საკოლიზიო პრინციპიდან გადახვევა დაიშვება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის ინტერესებს უფრო შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი. თუ იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც არის ბავშვი, შეიცავს ამ ბავშვისათვის უფრო ხელსაყრელ პირობებს, მაგალითად, ალიმენტის უფრო დიდი მოცულობით განსაზღვრის შესაძლებლობას, ალიმენტის გადახდევის უფრო ხანგრძლივ ვადას ვთქვათ, 18 წლის ასაკის მიღწევამდე ან მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობამდე და ა.შ. მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ბავშვი განეკუთვნება და არა მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალს.²⁸

ბავშვის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილის) ქვეყნის სამართალი გამოიყენება ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას.

ბავშვის წარმოშობის დადგენა შეიძლება საჭირო გახდეს ერთ-ერთი მშობლის მიხედვით. ასეთი საჭიროება შეიძლება

²⁸ ბავშვის მოქალაქეობას, როდესაც მისი მშობლები საქართველოს მოქალაქეებია, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებია, მოქალაქეობის არმქონე პირებია, ან რომლის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, აგრეთვე ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მოქალაქეობის შეცვლისას — დაწვრილებით წესრიგდება საქართველოს კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (მუხლები მე-10—22-ე).

წარმოიშვას როგორც დაქორწინებული, ისე დაუქორწინებელი მშობლების მიმართ. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1189-ე მუხლის თანახმად „შვილის წარმოშობა დაუქორწინებელი მშობლებისაგან დასტურდება ჩანაწერით მშობელთა ქორწინების შესახებ“. მაგრამ, ამავე კოდექსის 1191-ე მუხლის თანახმად „მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არაუგვიანეს ათი თვისა“.

ასეთ შემთხვევაში, ე.ი. როდესაც ბავშვი თუმცა დაქორწინებული მშობლებისაგან დაიბადა, მაგრამ საჭირო იქნება მისი წარმომავლობის დადგენა ერთ-ერთი მშობლის მიხედვით, ან იმის გამო, რომ სადავო გახდა ჩანაწერი ბავშვის დაბადების ჩანაწერის წიგნში, ან იმის გამო, რომ ბავშვის მამა გარდაიცვალა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ეს მშობელი განეკუთვნება. ამასთან ერთად, ასეთი ბავშვის წარმოშობა შეიძლება დადგინდეს იმ ქვეყნის სამართლითაც, რომელსაც ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება (კანონის 50-ე მუხლის პირველი ნაწილი).

უფრო ხშირად, ბავშვის წარმოშობის დადგენა ერთ-ერთი მშობლის მიხედვით აუცილებელი ხდება, როდესაც ბავშვი დაბადებულია დაუქორწინებელი მშობლებისაგან. საქმე ისაა, რომ შვილის წარმოშობა დაუქორწინებელი მშობლებისაგან დადგინდება მშობლების ერთობლივი განცხადებით. ასეთი ერთობლივი განცხადების არარსებობისას მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით.

ასეთ შემთხვევაში ბავშვის წარმოშობის დადგენა ერთ-ერთი (დაუქორწინებელი) მშობლის მიხედვით ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს მშობელი განეკუთვნება.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 51-ე მუხლი ამკვიდრებს ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული დავების მიმართ გამოსაყენებელი ქვეყნის სამართლის ალტერნატიულ

საკოლიზიო პრინციპს, რომლის თანახმად ბავშვის წარმოშობა შეიძლება სადავო გახდეს იმ ქვეყნის სამართლის მიხედვითაც, სადაც ამ დავის წინაპირობა წარმოიშვა. ამასთან ერთად, ბავშვის წარმოშობა შეიძლება სადავო გახდეს იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

როგორც ვხედავთ, ერთ-ერთი მშობლის მიხედვით ბავშვის წარმოშობის დადგენის დროს არსებობს იმ ქვეყნების ფართო არჩევანი, რომელთა სამართლის მიხედვით უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი დავა.

არჩევანი შეიძლება გააკეთოს როგორც მოსამართლემ (სასამართლომ), ისე თვითონ მოსარჩელემ (განმცხადებელმა). არჩევანის დროს ისინი ხელმძღვანელობენ ერთი კრიტერიუმით — ბავშვის ინტერესებით.

1. მეურვეობა და მზრუნველობა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო დარჩნენ მშობლების მზრუნველობის გარეშე, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა პირადი და ქონებრივი უფლებების დასაცავად. მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელთაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები (სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლი).

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის, ან პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო (სამოქალაქო კოდექსის 1276-ე მუხლი). მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე შვიდი წლის ასაკიდან 18 წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე სრულწლო-

ვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

სამოქალაქო კოდექსის 1302-ე-1304-ე მუხლებით განსაზღვრულია მეურვეობისა და მზრუნველობის შეწყვეტის საფუძვლები.

რაც შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის საკოლიზიო საკითხებს, ისინი გადმოცემულია 54-ე მუხლში.

მეურვეობის და მზრუნველობის დროს ძირითად საკოლიზიო ნორმად აღიარებულია სამეურვეო პირის მოქალაქეობა: მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის სხვა ფორმების წარმოშობა, შინაარსის შეცვლა და შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც სამეურვეო პირი განეკუთვნება.

ამრიგად, საქართველოს მოქალაქეს, დამოუკიდებლად იმისა სად ცხოვრობს იგი — საქართველოში თუ საზღვარგარეთ, შეიძლება დაენიშნოს მეურვე (მზრუნველი) მხოლოდ საქართველოს სამართლის მიხედვით.

რაც შეეხება უცხოელებსა და ლტოლვილებს, მათ მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეებიც არიან, მაგრამ თუ ისინი ცხოვრობენ საქართველოში, მათ მიმართ დასაშვებია საქართველოს სამართლის გამოყენება (54-ე მუხლის I ნაწილი).

54-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს კიდევ ერთ საკოლიზიო პრინციპს: თუ მეურვეობის ღონისძიების გატარება აუცილებელია, მაგრამ არ არის დადგენილი თუ ვინ მონაწილეობს მეურვეობაში, ან თუ მონაწილე ცნობილია, მაგრამ იგი სხვა ქვეყანაში იმყოფება, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია სამეურვეო პირისათვის.

ცხადია, რომ 54-ე მუხლის მე-2 ნაწილს მხედველობაში აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის არასათანადო შესრულე-

ბა. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო კოდექსის 1300-ე მუხლი, რომლის თანახმად მეურვის (მზრუნველის) მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მეურვეობის ან მზრუნველობის ორგანო გადააყენებს ან გაათავისუფლებს მას ასეთი მოვალეობის შესრულებისაგან.

რაც შეეხება დროებით ღონისძიებებს, რაც გატარებულია მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის სხვა ფორმების განხორციელებისათვის – ისინი ექვემდებარება მეურვეობის (მზრუნველობის) დამწესებელი ქვეყნის სამართალს.

2. შვილად აყვანა

ბავშვის ინტერესების რეალურად და ეფექტიანად დაცვის მიზნით მიღებული იქნა მრავალი საერთაშორისო კონვენცია, რომელთა შორის აღსანიშნავია გაეროს 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1993 წლის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და შვილად აყვანის დროს თანამშრომლობის შესახებ, ევროპის 1967 წლის კონვენცია შვილად აყვანის შესახებ და ა.შ.

საქართველოში შვილად აყვანა რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და საქართველოს კანონით „შვილად აყვანის შესახებ“.

ბავშვის ინტერესების დაცვის საერთაშორისო კონვენციებიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობა ამკვიდრებს პრინციპს, რომლის თანახმად შვილება ანუ შვილად აყვანა დაიშვება მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის, თუ კი მოსალოდნელია, რომ მშვილბებელსა და ნაშვილებს შორის წარმოიშვას ისეთივე ურთიერთობა, როგორცაა მშობელსა და შვილებს შორის (სამოქალაქო კოდექსის 1239-ე მუხლი). ამავე კოდექსის 1242-ე მუხლის თანახმად შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას

მშვილელბლის განცხადებით იღებს სასამართლო მშვილელბლის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მნიშვნელოვან დებულებებს შვილად აყვანის შესახებ შეიცავს საქართველოს კანონი „შვილად აყვანის შესახებ“. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირებისა და უცხო სახელმწიფოების მოქალაქეების მიერ საქართველოში მცხოვრები ბავშვების შვილად აყვანის წესებს. ამ კანონის თანახმად საქართველოში მცხოვრები ბავშვის გაშვილება სხვა სახელმწიფოში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არ მოიძებნება მშვილელბელი, რაც სარწმუნოდ უნდა იქნეს დადასტურებული.

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ შეიცავს შვილად აყვანის ძირითად საკოლიზიო პრინციპს, რომლის თანახმად შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილელბელი შვილად აყვანის დროს (52-ე მუხლი). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ იტალიის მოქალაქეს სურს იშვილოს ბავშვი, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და საქართველოს მოქალაქეა, გამოიყენება არა საქართველოს კანონმდებლობა შვილად აყვანის შესახებ, არამედ იტალიის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, როცა მშვილელბელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო შვილად ასაყვანი სხვა ქვეყნის მოქალაქეა, მაშინ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.

ამასთან ერთად, საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ამომწურავად მიუთითებს შვილად აყვანასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, რომლებიც დამატებით წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს ბავშვი განეკუთვნება. ამ კანონის 53-ე მუხლის თანახმად ასეთი საკითხებია: ბავშვისა და მასთან საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ თანხმობის მიცემის საკითხი შვილად აყვანაზე, აგრეთვე მამობის აღიარებასა და სახ-

ელის დარქმევაზე. აქვე დამკვიდრებულია ერთი მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ყოველთვის უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში: „თუ ბავშვის ინტერესებისათვის აუცილებელია – გამოიყენება საქართველოს სამართალი.“

ამრიგად, მართალია შვილად აყვანის დროს გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც მშვილებელი განეკუთვნება, მაგრამ შვილად აყვანასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა დამატებით წესრიგდება შვილად ასაყვანი ბავშვის ქვეყნის სამართალითაც, ხოლო თუ ამას ბავშვის ინტერესები მოითხოვს – საქართველოს სამართალით.

თავი VIII

მემკვიდრეობის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში

მემკვიდრეობის ქონების გადასვლა სხვა პირზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. კანონით მემკვიდრეობა მოქმედებს, თუ მემკვიდრეობას არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოითხოვს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი.

კანონით მემკვიდრეთა წრეს განსაზღვრავს თვითონ კანონი. ანდერძით მემკვიდრეობასაც აწესრიგებს კანონი, კერძოდ ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.

უნდა აღნიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ძირითადად ერთგვაროვნად აწესრიგებს მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, მაგრამ მათ შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავებაც ისეთ საკითხებში როგორცაა მემკვიდრეთა წრე, მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება ანდერძის ფორმას, სამკვიდრო ქონების განაწილების წესს, უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრეობის თავისებურებებს და ა.შ.

საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 55-ე მუხლი განსაზღვრავს სამემკვიდრეო ურთიერთობების საკოლიზიო პრინციპს. აღსანიშნავია, რომ ეს მუხლი არ ემყარება განსხვავებას, რომელიც არსებობს უძრავ და მოძრავ ქონებას შორის: მემკვიდრეობა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონებისა წყდება ერთგვაროვნად — ერთგვაროვანი საკოლიზიო პრინციპით. კერძოდ, მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის

სამართლით, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა, ე.ი. იყო ამ ქვეყნის მოქალაქე.

ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მამკვიდრებელი ცხოვრობდა და გარდაიცვალა საფრანგეთში, მაგრამ გარდაცვალებისას იგი იყო საქართველოს მოქალაქე, მისი მემკვიდრეობითი ურთიერთობის მოწესრიგებისას გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამართალი.

როგორც ვხედავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე იყო მამკვიდრებელი გარდაცვალებისას. თუ გარდაცვალების წინ საფრანგეთში მცხოვრებმა საქართველოს მოქალაქემ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა, მაშინ, ცხადია გამოყენებული უნდა იქნეს საფრანგეთის კანონმდებლობა.

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოში მცხოვრები რომელიმე უცხო ქვეყნის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს იმ უცხო ქვეყნის სამართალი, რომლის მოქალაქეც მამკვიდრებელი იყო.

რაც შეეხება მოქალაქეობის არმქონე პირებს, მათ მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მათ ჰქონდათ უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, მაგრამ თუ მათ ასეთი ადგილი არ ჰქონდათ, მაშინ გამოიყენება საქართველოს სამართალი.

ანდერძის ფორმის მიმართ ძირითადად გამოიყენება იგივე საკოლიზიო პრინციპები, რომლებიც მემკვიდრეობითი ურთიერთობის დროს.

5ნ-ე მუხლის თანახმად ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევები, როდესაც ანდერძის ფორმა დაცულია ერთი ქვეყნის — ვთქვათ საქართველოს სამართლის მიხედვით და ანდერძის შედგენის დროს მონდერძე იყო ამ ქვეყნის მოქალაქე, მაგრამ შემდგომში მან

შეიცვალა მოქალაქეობა და გახდა ჰოლანდიის მოქალაქე, სადაც იგი გარდაიცვალა.

შეიძლება თუ არა ასეთ შემთხვევაში ანდერძი ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად?

საქართველოს სკს კანონი არ შეიცავს პასუხს ამ კითხვაზე. ამ კანონის 56-ე მუხლი ანდერძს თვლის ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი პასუხობს, ამ მუხლში ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთს, კერძოდ, თუ ანდერძის ფორმა შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს:

(1) რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა; ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოანდერძე გარდაცვალებისას უკვე იყო ჰოლანდიის მოქალაქე, ანდერძი კი შედგენილი იყო მაშინ, როცა მოანდერძე იყო საქართველოს მოქალაქე და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მაშასადამე, 56-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად ანდერძი არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად.

(2) სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; ზემოთ მოყვანილ მაგალითში მოანდერძე უკვე იყო ჰოლანდიის მოქალაქე და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელიც მას იქ ჰქონდა. ანდერძი კი შედგენილი იყო საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რადგან ანდერძის შედგენის დროს მოანდერძე საქართველოს მოქალაქე იყო.

მაშასადამე, 56-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად ანდერძი არ შეიძლება ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად.

(3) სადაც იმყოფება უძრავი ქონება, რომელსაც ეხება ანდერძი; უძრავი ქონება ცვლის ანდერძის ფორმის საკოლიზიო პრინციპს: ანდერძი ყოველთვის ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს სადაც იმყოფება უძრავი ქონება. ამიტომ ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში თუ ანდერძი შეეხება საქართველოში მდებარე უძრავ ქონებას, იგი ჩაითვლება ფორმის დაცვით შედგენილად.

როგორც ვხედავთ, მოქალაქეობის ან საცხოვრებელი ადგილის ანდერძის შედგენის შემდეგ შეცვლის შედეგები არ არის გათვალისწინებული საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით.

ჩვენი აზრით, ანდერძი, რომელიც მოქალაქეობის ან საცხოვრებელი ადგილის (ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის ადგილის) მიხედვით იყო შედგენილი, უნდა ჩაითვალოს ფორმის დაცვით შედგენილად, თუ ეს ფორმა არსებითად არ ეწინააღმდეგება ან ძირითადად შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს, რომლის მოქალაქეც გარდაცვალების წინ გახდა მონადერძე, ან სადაც მან გაიჩინა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

თაში IX

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი

§1. საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის ცნება

ამ ნაშრომის პირველ თავში ჩვენ ავლნიშნეთ, რომ საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი, როგორც ეროვნული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ორგანული ნაწილი, არის საჯარო სამართლის დარგი და ამ თვალსაზრისით იგი არ შეიძლება გავხადოთ კერძო სამართლის და, მათ შორის, საერთაშორისო კერძო სამართლის ნაწილად ან ინსტიტუტად.

მიუხედავად ამისა, ფართოდ გავრცელებული შეხედულებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი არის საერთაშორისო კერძო სამართლის ნაწილი, მისი შემადგენელი ელემენტი.

ამ შეხედულებამ თავისი პრაქტიკული გამოხატულება პოვა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში, რომელთა შორის აღსანიშნავია შვეიცარიის კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომელიც აწესრიგებს შვეიცარიის სასამართლოების თუ სხვა უწყებების კომპეტენციას, უცხო ქვეყნების სასამართლოების გადაწყვეტილებათა აღიარებასა და აღსრულებას, არბიტრაჟის იურისდიქციასა და ა.შ.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას: საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის მიკუთვნება საერთაშორისო კერძო სამართლის, როგორც სამართლის ან სამართალმცოდნეობის დარგისადმი — დღეს უკვე ფართოდაა აღიარებული, როგორც სამართლის ამ დარგის მეცნიერებაში, ისე სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში.

ასეთივე პოზიციას იზიარებს საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, რომელიც საკოლიზიო

ნორმების გვერდით, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, როცა კერძო სამართლებრივი ურთიერთობა დატვირთულია უცხოური ელემენტით, შეიცავს აგრეთვე მითითებას საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციისა და ზოგიერთი სხვა საპროცესო საკითხის შესახებ.

ასეთი საკანონმდებლო პოზიცია შეიძლება აიხსნას ორი გარემოებით: ერთი — საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოში განხილვის წესებს. იგი გულისხმობს სამოქალაქო საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირები. მაგრამ შეიძლება თუ არა მხარეებად გამოვიდნენ უცხო სახელმწიფოთა ფიზიკური და იურიდიული პირები და სარგებლობენ თუ არა ისინი ყველა საპროცესო უფლებებით? უცხოური ელემენტით დატვირთული რომელი საქმე შეიძლება განიხილოს საქართველოს სასამართლოებმა, ანუ როგორია საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია? რა წესით ხდება უცხოეთის სასამართლოების შუამდგომლობებისა და დავალებების შესრულება, რომელი პირები სარგებლობენ იმუნიტეტით? და ა.შ. ეს საკითხები არ წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მეორე — საერთაშორისო კერძო სამართალსა და საერთაშორისო საპროცესო სამართალს შორის, ისე როგორც კერძო სამართალსა და საპროცესო სამართალს შორის, არსებობს მჭიდრო, შეიძლება ითქვას ორგანული კავშირი: სამოქალაქო საპროცესო სამართალი არსებობს იმისთვის, რომ მოემსახურის მატერიალურ სამართალს, უზრუნველყოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა წარმართვა იმ მიმართულებით, რაც მატერიალური სამართალითაა განსაზღვრული. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნა, რომლის თანახმად საპროცესო სამართალი უნდა მოერგოს მატერიალურ სამართალს, გაითვალისწინოს

მისი თავისებურებანი. მჭიდრო კავშირი მატერიალურსა და საპროცესო სამართალს შორის ზოგადად შეიძლება ასე გამოვხატოთ: სამოქალაქო საპროცესო სამართალი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მატერიალური სამოქალაქო (ფართო გაგებით) სამართლის გარეშე, რადგან იგი ჰკარგავს ყოველგვარ აზრსა და დანიშნულებას.

ასეთი მჭიდრო კავშირის გამო საპროცესო სამართლის ის ნორმები, რომლებიც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებითაა განპირობებული, შეიძლება საერთაშორისო კერძო სამართლის კანონით იქნეს გათვალისწინებული.

ამრიგად, საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალი არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეების განხილვის წესებს, რაც ამ კატეგორიის საქმეთა თავისებურებითაა განპირობებული.

ამ განმარტებიდან გამომდინარე საერთაშორისო სამოქალაქო პროცესი მოიცავს არა მთლიანად სამოქალაქო საპროცესო სამართალს, არამედ მხოლოდ საქმეთა განხილვის იმ წესებს, რომლებიც უცხოური ელემენტით დატვირთული საქმეების განხილვის სპეციფიკურობითაა განპირობებული.

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მიხედვით ასეთი წესებია: საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საპროცესო უფლებები (გარანტიები), სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა, იმუნიტეტი და ექსტერიტორულობის სხვა შემთხვევები, სამართლებრივი დახმარების გაწევა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულება.

§2. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია

საქართველოს შინასახელმწიფოებრივი (ეროვნული) სამოქალაქო საპროცესო სამართალი იცნობს ორ ცნებას: უწყებრივ ქვემდებარეობას (საქვეუწყებობა) და განსჯადობას.

სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა კანონით განსაზღვრულ იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობაა, რომელთა ფარგლებში სასამართლოს შეუძლია მიიღოს და განიხილოს საქმეები. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა უპასუხებს კითხვაზე განეკუთვნება თუ არა საქმე სასამართლო ორგანოებს, შედის თუ არა საქმის განხილვა სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებაში.

მას შემდეგ, რაც ეს საკითხი დადებითად გადაწყდება, წამოიჭრება მეორე საკითხი – რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე.

ამ საკითხზე პასუხის გასაცემად არსებობს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეორე ინსტიტუტი, რომელსაც განსჯადობა ეწოდება.

ამრიგად განსჯადობა, განსხვავებით სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობისაგან, აწესრიგებს სასამართლოსადმი ქვემდებარე საქმეების განაწილებას ცალკეული სასამართლოების მიხედვით.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გვაქვს ერთი ინსტიტუტი, რომელსაც კომპეტენცია, უფრო ზუსტად საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია ეწოდება.

ეს ინსტიტუტი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით არ განსხვავდება იმისგან, რასაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსჯადობას უწოდებს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მასშტაბებშია: განსჯადობა მოწოდებულია განსაზღვროს თუ სასამართლოებისადმი უწყებრივად ქვემდებარე საქმეებიდან

საქართველოს კონკრეტულად რომელმა (ლაგოდენის, საგარე-ჯოს, გორის და ა.შ.) სასამართლომ უნდა განახორციელოს ეს საქმე; საერთაშორისო კომპეტენცია ასევე მოწოდებულია განსაზღვროს სასამართლოსადმი ქვემდებარე საერთაშორისო დავა რომელი ქვეყნის სასამართლომ (და არა ამ თუ იმ ქვეყნის სასამართლო სისტემიდან რომელმა კონკრეტულმა სასამართლომ) უნდა განიხილოს. ამის შესაბამისად საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია მოწოდებულია განსაზღვროს საქართველოს სასამართლოების განსჯადია თუ არა საერთაშორისო ელემენტით დატვირთული საქმე, მაგრამ იგი არ ეხება საქართველოს რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე. მას შემდეგ, რაც დადებითად გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ საქმე საქართველოს სასამართლოების განსჯადია, უნდა მოვიშველიოთ ჩვენი შინაგანი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტი — განსჯადობა, რომელიც გვეტყვის თუ რომელმა რაიონულმა (საოლქო) სასამართლომ უნდა განიხილოს საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალი საქმე.

აღსანიშნავია, რომ „სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია“ განსხვავდება იმ ორმხრივი საკოლიზიო ნორმებისაგან, რომლებიც მოწოდებულია განსაზღვრონ თუ რომელი ქვეყნის მატერიალური სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული. საერთაშორისო კომპეტენცია ცალმხრივად (ცალსახად) განსაზღვრავს მხოლოდ საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას, იმას, თუ რომელი კატეგორიის საქმეები განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების განსჯადობას.

ამრიგად, სასამართლო კომპეტენციის (განსჯადობის) შესახებ საკოლიზიო ნორმა არის ცალმხრივი საკოლიზიო ნორმა; საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ აწესრიგებს მხოლოდ საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას (განსჯადობას). ცხადია, რომ ამ კანონს არ შეუძლია განსაზღვროს

უცხო ქვეყნების სასამართლოების კომპეტენცია ისე როგორც უცხო ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას არ შეუძლია განსაზღვროს საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია.

სასამართლო კომპეტენციის განსაზღვრისათვის იყენებენ სხვადასხვა კრიტერიუმებს, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია სამი. პირველი, — ესაა ტერიტორიული განსჯადობა, განსჯადობა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზოგჯერ ასეთ განსჯადობას უწოდებენ განსჯადობის გერმანულ სისტემას; მეორე — ესაა მოდავე მხარეთა მოქალაქეობა. ზოგჯერ ასეთ განსჯადობას უწოდებენ განსჯადობის ლათინურ (რომანულ) სისტემას; მესამე, — ესაა მოპასუხის ფაქტიური ყოფნა, არა მისი საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, არამედ იმ დროს მოპასუხის ფაქტიური ყოფნა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა შეიძლებოდეს მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება. სხვანაირად ასეთ განსჯადობას უწოდებენ „საერთო სამართლის“ (Common Law) სისტემის განსჯადობას (ინგლისი, აშშ, კანადა, ავსტრალია და ა.შ.)

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმა გაიზიარა საერთაშორისო კომპეტენციის გერმანული სისტემა. ამ კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

საქართველოს კანონის მიხედვით ეს არის საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპი.

ამ ძირითადი პრინციპის დაკონკრეტება მოცემულია მე-9 მუხლში. ამ მუხლის თანახმად საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ შემდეგ შემთხვევებში:

1. მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

თუ მოპასუხე ფიზიკური პირია და იგი ცხოვრობს საქართველოში ან აქ არ ცხოვრობს, მაგრამ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, მაშინ მე-8 მუხლის თანახმად მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი საქართველოს სასამართლომ უნდა განიხილოს.

ვინ ითვლება საქართველოში მცხოვრებად ან ისეთ პირად, რომელსაც საქართველოში აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი?

ასეთ პირად ითვლება ის, ვინც რეგისტრირებულია საქართველოში მცხოვრებად და მუდმივად ცხოვრობს აქ, აგრეთვე ისეთი პირი, რომელიც მართალია აქ არ ცხოვრობს მუდმივად, მაგრამ აქვს საკუთარი საცხოვრებელი ბინა (სახლი) ან ბინა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე და თავისი საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით ხანგრძლივი დროით ცხოვრობს საქართველოში.

არ არის გამორიცხული, რომ მოპასუხე რამდენიმე პირი იყოს და მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ცხოვრობდეს ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ჰქონდეს საქართველოში, ეს საკმარისია იმისათვის, რომ საქმე საქართველოს სასამართლომ განიხილოს.

იგივე უნდა ითქვას იურიდიულ პირებზე. იურიდიული პირის რეზიდენცია — ესაა ამ იურიდიული პირის იურიდიული მისამართი. სამოქალაქო კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

ამრიგად, თუ სარჩელი აღძრულია იურიდიული პირის წინააღმდეგ, რომლის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელი (რეზიდენცია) საქართველოშია, მაშინ საქმე ამ სარჩელის შესახებ შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში.

2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა.

ვალდებულება, როგორც ცნობილია უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (სამოქ. კოდექსის 361-ე მუხლი).

როგორც წესი, ხელშეკრულების შესრულების ადგილი განსაზღვრული უნდა იყოს თვით ხელშეკრულებით. სკს კანონის მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტს სწორედ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილი აქვს მხედველობაში.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით ეს ადგილი არაა განსაზღვრული?

მაშინ დასკვნა ვალდებულების შესრულების ადგილის შესახებ უნდა გავაკეთოთ თვით ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან. სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში — იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა;

ბ) გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში — იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

ამრიგად, როდესაც ხელშეკრულების შესრულების ადგილი თვითონ ხელშეკრულებით არაა განსაზღვრული, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლში მოცემული კრიტერიუმებით და თუ აღმოჩნდება, რომ ვალდებულების შესრულების ადგილი საქართველოა, მაშინ საქმე საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში შედის.

3. სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა.

აქ შესაძლებელია შემდეგი ვითარება: 1) ზიანის გამომწვევი ქმედება ჩადენილია ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ზიანიც იმავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგა; 2) ზიანის გამომწვევი ქმედება ჩადენილია ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო ზიანი დადგა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე; 3) ქმედება ჩადენილია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ხოლო ზიანი ამ ქმედებისა დადგა საქართველოს ტერიტორიაზე.

სკს-ის კანონის მე-9 მუხლის, “გ“ პუნქტის თანახმად ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვა შედის საქართველოს სასამართოების კომპეტენციაში, თუ ზიანის გამომწვევი ქმედება საქართველოში მოხდა, თვითონ ზიანი შეიძლება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დადგა ან, თუ ზიანი საქართველოში დადგა, თუმცა ქმედება, რომელმაც ეს ზიანი გამოიწვია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი, ან, თუ ქმედებასაც და ზიანსაც საქართველოში ჰქონდა ადგილი.

4. ღვა ეხება იმ საწარმოს ფილიალს რომლის რეზიდენციაც საქართველოშია.

იურიდიული პირის ფილიალი, როგორც ეს აღნიშნულია სამოქალაქო კოდექსის 28-ე მუხლში, განცალკევებული ქვედანაყოფია, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ. ფილიალი არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიანობს იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე. ამრიგად, ფილიალი მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფლის გარეთ. ამ ადგილსამყოფლის გარეთ ყოფნა იგულისხმება როგორც იმ ქვეყნის შიგნით სადაც იურიდიული პირის ადგილსამყოფელია, ისე ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ – უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აქედან გამომდინარე სარჩელი, რომელიც აღძრულია ისეთი იურიდიუ-

ლი პირის ფილიალის წინააღმდეგ, რომლის ადგილსამყოფელი საქართველოშია, შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, დამოუკიდებლად იმისა, სად იმყოფება თვითონ ეს იურიდიული პირი.

5. მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია.

მამობის დადგენის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას დაუქორწინებელი მშობლებისგან ბავშვის დაბადების შემთხვევაში. მამობის დადგენა შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, თუ ბავშვი, რომლის მამობის დადგენასაც მოითხოვენ, ცხოვრობს საქართველოში ან მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია. კომპეტენციის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ სად ცხოვრობს ან სად აქვს ადგილსამყოფელი პირს, რომლის მამობის დადგენასაც მოითხოვენ.

იგივე წესი მოქმედებს ალიმენტის გადახდის საქმეებზე. ეს იმის ნიშნავს, რომ თუ ალიმენტის მიმღების ადგილსამყოფელი ან საცხოვრებელი ადგილი საქართველოშია, ალიმენტის გადახდის შესახებ საქმეებიც შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში.

6. თუ სარჩელი აღძრულია სამეკვიდრო უფლების დადგენის შესახებ ან სამეკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ, ასეთი სარჩელების განხილვა შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, ოღონდ ერთი პირობით: მამკვიდრებელს გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამეკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

როგორც ვხედავთ, მთავარია, რომ მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდეს ა) საცხოვრებელი ადგილი; ბ) ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი; გ) სამეკვიდრო ქონება — საქართველოში.

ამრიგად სკს-ის კანონის მიხედვით, საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის მთავარი განმსაზღვრელი პრინციპია მოპასუხის (ფიზიკური თუ იურიდიული პირი) საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია (იურიდიული მისამართი) ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. თუ ეს ნიშანი არ არსებობს, ე.ი. თუ მოპასუხეს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში, მაშინ სარჩელის აღძვრა საქართველოს სასამართლოში გამორიცხულია.

ამასთან ერთად, სკს-ის კანონი ითვალისწინებს საერთაშორისო კომპეტენციის სხვა კრიტერიუმებსაც, როგორცაა მოქალაქეობა. მოქალაქეობის კრიტერიუმს აღნიშნული კანონის (მე-11-მე-17 მუხლები) მიმართავს ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორცაა უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეები, მშობლებსა და ბავშვებს შორის ურთიერთობები, შვილად აყვანა, ქმედუნარიანობის შეზღუდვა, მეურვეობა და მზრუნველობა და ა.შ.

1. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. შეთანხმება საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე

სკს-ის კანონის მე-10 მუხლი განსაზღვრავს განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას: საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მთელი რიგი კატეგორიის საქმეებზე, როგორცაა დავები აღძრული ქონების შესახებ, თუ ეს ქონება საქართველოშია, იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილების ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია, საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაცია

ციას, პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა ასეთი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

განსაკუთრებული განსჯადობა — ეს ისეთი განსჯადობაა რომელიც უშვებს სარჩელის აღძვრას ერთი რომელიმე ქვეყნის სასამართლოში. მაშასადამე, მე-10 მუხლით გათვალისწინებულ სარჩელებზე საქართველოს სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია, ანუ მხოლოდ საქართველოს სასამართლოებს შეუძლიათ მიიღონ და განახორციელონ ამ კატეგორიის საქმეები.

2. შეთანხმებები სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე

სკს-ის კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს მხარეთა შეთანხმებას საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაზე და მხარეთა შეთანხმებას უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე. ამასთან ერთად, ასეთი შეთანხმებებისათვის გამოყენებულია რამდენადმე განსხვავებული პირობები. აღსანიშნავია, რომ მხარეთა შეთანხმებით (ხელშეკრულებით) განსჯადობას ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლი, რომლის თანახმად თუ არ არის დადენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა.

აქ, ცხადია, მხედველობაშია განსჯადობის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით საქართველოს სასამართლოებს შორის. მაგალითად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მათ შორის წამოჭრილი დავა განიხილოს არა გურჯაანის, რომლის განსჯადიც ეს დავა იქნება, არამედ თელავის სასამართლომ.

რაც შეეხება სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას (განსჯადობას), აქ მხარეთა შეთანხმება შეიძლება შეეხ-

ოს მთლიანად რომელიმე ქვეყანას, მაგალითად, საქართველოს, საფრანგეთს, ჰოლანდიას და ა.შ.

მხარეთა შეთანხმებას საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე, რომლითაც ხდება განსჯადი სასამართლოს არჩევა — უწოდებენ პროროგაციულ შეთანხმებას.

როდესაც საკითხი ეხება საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას, მხარეებს ეძლევათ ძალიან ფართო შესაძლებლობა. კერძოდ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა იგი კომპეტენტური არ არის ასეთი კატეგორიის საქმეების განხილვაზე სკს-ის კანონის თანახმად.

რაც შეეხება უცხო ქვეყანას, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს.

სკს-ის კანონის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს პრაქტიკული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან დებულებას, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ განსჯადობაზე (კომპეტენციაზე) მოპასუხის დუმილით თანხმობა.

ამ დებულების თანხმად საქართველოს, სასამართლოებს, აგრეთვე უცხო ქვეყნის სასამართლოებს, აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე არ გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ამ ქვეყნის სასამართლოს მიერ საქმის განხილვაზე და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ოღონდ ორი პირობის დაცვით: ერთი — ეს მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატით და მეორე — მოსამართლემ განუმარტა მოპასუხეს იმის შესახებ, რომ მას შეუძლია განაცხადოს პროტესტი საქმის ამ სასამართლოში განხილვის წინააღმდეგ, რაც დაფიქსირებულია საქმის წარმოების ოქმში.

ანალოგიური შინაარსის დებულება დამკვიდრებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის

მეორე ნაწილით, რომლის თანახმად არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი (პროტესტი) არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლოს ოქმში.

მხარეთა შეთანხმების ფარგლები საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე შეზღუდულია არამართო იმით, რომ ერთ მხარეს ადგილსამყოფელი უცხოეთში უნდა ჰქონდეს, არამედ იმითაც, რომ ასეთი შეთანხმებით არ შეიძლება განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენციიდან ან სკს-ის კანონის მე-11-16 მუხლებით დადგენილი კომპეტენციიდან გადახვევა. მხარეთა სასამართლოების არჩევის შესახებ პროროგაციულ შეთანხმებას, რომელიც არღვევს ზემოთ აღნიშნულ წესს, არ გააჩნია იურიდიული ძალმოსილება და იგი ბათილია.

3. საერთაშორისო კერძო სამართლის საქმეთა განხილვის წესი საქართველოს სასამართლოებში.

საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს კომპეტენტურ (განსჯად) სასამართლოს, იმას თუ რომელი ქვეყნის სასამართლოს შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს დავა, რომელიც წარმოიშობა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან. თვითონ სამოქალაქო საქმეთა წარმოება ხორციელდება იმ ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელი ქვეყნის სასამართლოც

განიხილავს საქმეს. მაშასადამე, საქართველოს სასამართლოები განიხილავენ მათ საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალ საქმეებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც საქართველოს სასამართლოებში შედის სარჩელი, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს, ამ სასამართლომ უწინარეს ყოვლისა ორი საკითხი უნდა გადაწყვეტოს: ერთი – შედის თუ არა ეს საქმე საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სკს-ის კანონით. თუ ეს საკითხი მის მიერ უარყოფითად იქნება გადაწყვეტილი, სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, რის შესახებაც გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარისთქმის შესახებ, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწ.). ეს განჩინება შეიძლება დასაბუთდეს სამოქ. საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის ანალოგიით, რომ საქმე არ შედის საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციაში (განსჯადობაში).

თუ სასამართლო დადებითად გადაწყვეტს საკითხს იმის შესახებ, რომ სარჩელი საქართველოს სასამართლოების განსჯადია, მაშინ მის წინაშე წამოიჭრება მეორე საკითხი: ამ სასამართლოს განსჯადია თუ არა ეს სარჩელი. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს არა სკს-ის კანონით, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. თუ აღმოჩნდება, რომ საქმე საქართველოს სასამართლოების განსჯადია, მაგრამ იგი ამ სასამართლოს განსჯადი არაა, მაშინ სასამართლო თავის განჩინებაში მიუთითებს თუ რომელ სასამართლოს მიმართოს მოსარჩელემ (სამოქ. საპრ. კოდექსის 187-ე მუხლი).

სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის შემდეგ სასამართლო იწყებს საპროცესო მოქმედებების შესრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა: საქართველოს სასამართლოები მათ საერთაშორისო კომპეტენციაში შემაჯავალ საქმეებს განიხილავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო ამ საქმეების გადაწყვეტისას ისინი იყენებენ იმ ქვეყნის მატერიალურ სამართლებრივ ნორმებს, რომლებზეც მიუთითებენ მატერიალურ სამართლებრივი საკოლიზიო ნორმები.

4. იურისდიქციის კონფლიქტი

სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრის დროს ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე პრინციპებით (კრიტერიუმებით) არ ხელმძღვანელობენ. ცნობილია სამი ძირითადი სისტემა, რომლითაც ხელმძღვანელობენ სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისას. ესენია: ლათინური სისტემა ანუ მოქალაქეობის კრიტერიუმი (მაგალითად, საფრანგეთი, ალჟირი)²⁹, გერმანული სისტემა ანუ მოპასუხის ადგილსამყოფელი და „საერთო სამართლის“ სისტემა, ანუ მოპასუხის ფაქტიური ყოფნა (მაგალითად, ინგლისი, ამერიკა).

სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის (განსჯადობის) განსაზღვრისათვის სხვადასხვა სისტემისა თუ კრიტერიუმების გამოყენებამ რეალურად შეიძლება შექმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთი და იგივე საქმე აღმოჩნდეს სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს განსჯადი. შესაბამისად ერთი და იგივე საქმე შეიძლება აღმოჩნდეს როგორც საქართველოს, ისე საფრანგეთის ან ინგლისის სასამართლოების განსჯადი.

²⁹ დაწერილებით იხ. M. Исид. დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?

ჩვენის აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტის ნათელ და ზუსტ პასუხს შეიცავს საქართველოს სკს-ის კანონის მე-19 მუხლი, რომელსაც ეწოდება „სამართალწარმოება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში“. ამ მუხლის თანახმად თუ ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს სამართალწარმოება საქართველოსა და უცხო ქვეყანაში და ეს სარჩელი პირველად უცხო ქვეყნის სასამართლოს ექვემდებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას. საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში.

ამ მუხლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი ხასიათის დასკვნები:

1. თუ სარჩელი უფრო ადრე იქნა აღძრული და მიღებული განსახილველად საქართველოს სასამართლოს მიერ სკს-ის კანონით დადგენილი საერთაშორისო კომპეტენციის ფარგლებში, მაშინ საქართველოს სასამართლო განიხილავს და გადაწყვეტს ამ საქმეს.

2. თუ სარჩელი უფრო ადრე იქნა აღძრული და მიღებული განსახილველად უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ და მხოლოდ ამის შემდეგ შემოვიდა სარჩელი საქართველოს სასამართლოში საერთაშორისო კომპეტენციის წესების დაცვით, მაშინ საქართველოს სასამართლო იღებს სარჩელს, მაგრამ შეაჩერებს მის განხილვას განჩინებით იმ მოტივით, რომ ეს სარჩელი უფრო ადრე აღიძრა და განსახილველად მიიღო უცხო ქვეყნის სასამართლომ.

ამრიგად, იგივე სარჩელის აღძვრის ფაქტი უცხო ქვეყნის სასამართლოში იწვევს არა სარჩელის მიღებაზე უარისთქმას, არამედ ამ სარჩელზე საქმის წარმოების შეჩერებას.

3. მიუხედავად იმისა, რომ სარჩელი უფრო ადრე აღიძრა უცხო ქვეყნის სასამართლოში, საქართველოს სასამართლო არ შეაჩერებს საქმის წარმოებას და განიხილავს მას: ა) თუ არსებობს იმის რეალური საშიშროება, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გააჭიანურებს ან გონივრულ ვადებში გადაწყვეტილებას არ მიიღებს, გამომდინარე ამ ქვეყნის სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის პრაქტიკიდან და ბ) თუ საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება (სკს-ის კანონის 68-ე მუხლი).

4. საქართველოს სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოებაში მიღებაზე უარისთქმის შესახებ თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში.

იმ შემთხვევაში, როდესაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ქვემოთ), მაშინ სასამართლო მიიღებს და განიხილავს საქმეს.

§3. უცხოელთა საპროცესო სამართლებრივი მდგომარეობა

უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საუბარი გვქონდა ამ ნაშრომის მეორე თავში. ავლნიშნეთ, რომ უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

ამასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა, აგრეთვე

მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებების დაცვის სრულ შესაძლებლობასაც.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 57-ე მუხლის თანახმად უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები, სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

ეს იმას ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ აღძრან სარჩელი სასამართლოში თავიანთი უფლებების დასაცავად — იყვნენ მოსარჩელე და მოპასუხე პროცესში, ჩაებან პროცესში მესამე პირებად და ა.შ. მათ როგორც მხარეებს პროცესში უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, განაცხადონ სასამართლოს წინაშე სხვადასხვა ხასიათის შუამდგომლობები, გაასაჩივრონ სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი და ა.შ.

ღისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მათ უფლება აქვთ უარი თქვან სარჩელზე, ცნონ სარჩელი ან საქმე დაამთავრონ მორიგებით.

უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდნენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე უცხოელებიც.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ უცხოელებს საქართველოში მინიჭებული აქვთ ნაციონალური რეჟიმი თავიანთი უფლებების და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ამასთან ერთად, 58-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემას. ამ მუხლის თანახმად, თუ მოსარჩელე უცხო ქვეყნის მოქალაქე იურიდიული პირი ან მოქალაქეობის არმქონე პირია, შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემა, ოღონდ შემდეგი პირობების არსებობისას:

1. თუ უცხოელ მოსარჩელეს საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს.

2. თუ მოპასუხე შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ასეთი გარანტიის მიცემაზე.

ასეთი გარანტიის წინასწარ მოსარჩელისათვის დაკისრების მოტივი შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ უზრუნველყოფილი იყოს მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოელი მოსარჩელე წააგებს პროცესს და სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შესახებ.

საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დაკისრების განხილვის პრაქტიკაში სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიად გამოიყენება გირაო.

არ არის გამორიცხული გარანტიის სხვა ფორმით წარმოდგენა, ვთქვათ გარკვეული ფულადი თანხის სასამართლო დეპოზიტში შეტანა.

შუამდგომლობა გარანტიის მოთხოვნის თაობაზე მოპასუხეს შეაქვს საქმის ზეპირ განხილვაზე, რომელზეც მას განემარტა ასეთი შუამდგომლობის უფლების შესახებ. ასეთია 58-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნა.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო თუ ასეთი შუამდგომლობა აღძრულია საქმის წინასწარი მომზადების სტატიაზე?

ვფიქრობთ, საქართველოს სასამართლომ უნდა განიხილოს ასეთი შუამდგომლობა და თუ მიზანშეწონილად ჩათვლის დანიშნოს კიდევ მოსამზადებელი სხდომა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად. პროცესუალური ეკონომიის პრინციპიდან გამომდინარე მოპასუხის შუამდგომლობის ასეთი წესით განხილვა მრავალი თვალსაზრისითაა გამართლებული. საქმე ისაა, რომ საქმის ზეპირ განხილვაზე ანუ საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს გარანტიის მიცემის საკითხის განხილვას და დადებითად გადაწყვეტას არ შეიძლება არ მოყვეს ამ საქმის განხილვის სხვა დროისთვის გადადება. ეს პირდაპირ გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის კანონის 58-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან, რომლის თანახმად გადაწყვეტილება გარანტიის მიცემის თაობაზე მიღებულ უნდა იქნეს განჩინებით: „შუამდგომლობის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საქმე განიხილება მხოლოდ გარანტიების ჩატარების შემდეგ.“

აღსანიშნავია, რომ გარანტიის თაობაზე მოპასუხის შუამდგომლობას შეიძლება ეთქვას უარი შემდეგ შემთხვევებში:

1. ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა მოსარჩელე, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირისაგან გარანტიებს არ ითხოვს.

2. მოპასუხე ვერ ასაბუთებს თავის მოთხოვნას გარანტიის მიცემის თაობაზე.

დიპლომატიური მისიისა და საკონსულო წარმომადგენლობის წევრთა იმუნიტეტი. 1993 წლის 12 ივლისს საქართველო შეუერთდა ვენის 1961 წლის კონვენციას „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“, აგრეთვე ვენის 1961 წლის კონვენციას „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“.

ამ კონვენციების შესაბამისად, საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 59-ე მუხლმა დაამკვიდრა დიპლომატიური მისიის წევრების იმუნიტეტი, კერ-

ბოდ, საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე ამ მისიების მომსახურე პერსონალი თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიაც თუ მომვლინებული ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის.

ამავე კანონის მე-60 მუხლის თანახმად იგივე პრინციპი ვრცელდება საქართველოში მოქმედი საკონსულო წარმომადგენლობების თანამდებობის პირებსა და საკონსულოს მოსამსახურეების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ დიპლომატიური იმუნიტეტი ყოველთვის არ გამოიყენება. მაგალითად ვენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ შეიცავს სარჩელების ჩამონათვალს, რომელთა აღძვრის შემთხვევაში დიპლომატიური იმუნიტეტი არ გამოიყენება. ასეთებია, კერძოდ სანივთო სარჩელები, თუ ეს სარჩელები შეეხება უძრავ ნივთებს, თუ ასეთი ქონება იმყოფება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც აკრედიტირებულია დიპლომატიური აგენტი და იგი არ ფლობს ამ ქონებას წარმომადგენლობის მიზნებისათვის, სარჩელები, რომლებიც მემკვიდრეობას ეხება, თუ დიპლომატიური აგენტი გვევლინება როგორც ანდერძის აღმსრულებელი ან სამკვიდრო ქონების მმართველი და თუ იგი ამ მოვალეობას ასრულებს როგორც კერძო პირი და არა როგორც აკრედიტებული ქვეყნის წარმომადგენელი, სარჩელები, რომლებიც დიპლომატიური აგენტის პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობას ეხება და რომელიც ხორციელდება მის მიერ თავისი ოფიციალური ფუნქციის ფარგლებს გარეთ.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 61-ე მუხლის თანახმად ზემოთ დასახელებული პირების გარდა საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება საქართველოში სამსახურებრივი მოწვევით მყოფ უცხო ქვეყ-

ნების წარმომადგენლებზე და მათ თანმხლებ პირებზე, აგრეთვე პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

§4. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების ატხის დადგენა

ყოველთვის, როდესაც საკოლიზიო ნორმა ამა თუ იმ კონკრეტული ურთიერთობის განხილვა-გადაწყვეტისათვის მიუთითებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენების აუცილებლობაზე სასამართლომ, ან სხვა სამართალშემფარდებელმა ორგანომ, უნდა გამოიყენოს ეს ნორმა. მაგრამ, იმისთვის რომ სასამართლომ გამოიყენოს სამართლის ნორმა, მან უნდა იცოდეს ამ ნორმის შინაარსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, სამართლის ნორმის გამოყენება შეუძლებელია.

ცნობილია ისიც, რომ სასამართლოს მოეთხოვება იცოდეს თავისი ქვეყნის სამართალი და არამარტო სამართალი, არამედ სხვა სოციალური ნორმებიც, როგორცაა, მაგალითად, მორალის ნორმები და პრინციპები, რომლებზეც ასე ხშირად მიუთითებს საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსი და სხვა კანონები. ცნობილი ლათინური ფორმულა *iura novit curia* (სასამართლომ იცის სამართალი), გულისმობს მხოლოდ იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს სასამართლო განეკუთვნება.

აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელსაც ემყარება საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი, რომლის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, სასამართლოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა. სპეციალური ცოდნა კი სამო-

ქალაქო საპროცესო სამართლის თვალსაზრისით — ეს ისეთი ცოდნაა, რომელიც სცილდება სამართლებრივი ცოდნის, ადამიანების ემპირიული დაკვირვების განზოგადებისა და საზოგადოების მორალური (ზნეობრივი) შეხედულებების თუ რწმენის ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იბადება საკვებით კანონზომიერი კითხვა: როგორ და რა წესით უნდა დაადგინოს სასამართლომ იმ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსი, რომლის ცოდნა, ბუნებრივია, მას არ ევალება და რომელიც მან უნდა გამოიყენოს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საკოლიზიო ნორმის მითითების ძალით?

ამ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში და სამართალშეფარდებითი საქმიანობის პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა მოსაზრება, რომელთა შორის ფართოდაა გავრცელებული შემდეგი:

უცხო ქვეყნის სამართლის ნორმა საქმის განმხილველ სასამართლოსათვის არის არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხი. ხოლო, რადგან ფაქტის საკითხია მისი, ე.ი. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა, უნდა მოხდეს ისე, როგორც ხდება ფაქტების დადგენა კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი კონფლიქტების სასამართლოში განხილვის დროს.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „მტკიცებულებებს სასამართლოებს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები“.

ამრიგად, ფაქტების დამტკიცების ტვირთი, ანუ როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ, დამტკიცების მოვალეობა, ეკისრებათ თვითონ მხარეებს.

აქედან გამომდინარე, თუ გავიზიარებთ იმ კონცეფციას, რომ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმა არის არა სამართლის, არამედ ფაქტის საკითხი, მაშინ გარდაუვალია დასკვნა: უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს თვითონ მხარეების მიერ, კერძოდ, იმ მხარის მიერ, რომელიც უცხო ქვეყნის სამართლის ამ ნორმაზე ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს.

ასეთ კონცეფციას იზიარებს „საერთო სამართლის“ ქვეყნები, როგორცაა, მაგალითად, ინგლისი, აშშ, ავსტრალია და სხვ. ავლნიშნავთ დამატებით, რომ ამ კონცეფციის თანახმად სასამართლოს არც კი შეუძლია თავისი ცოდნა გამოიყენოს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სასამართლომ კიდევ რომ იცოდეს უცხო ქვეყნის კანონის შინაარსი, ის ვერ დაუდებს საფუძვლად ამ ცოდნას თავის გადაწყვეტილებას: უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენის საშუალებით თვითონ მხარეების მიერ, ისე როგორც ეს ხდება ჩვეულებრივი ფაქტების დადგენის დროს.

მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე ვერ დაამტკიცებს, ანუ ვერ წარმოუდგენს სასამართლოს საჭირო და საკმაო მტკიცებულებებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დასადასტურებლად?

ამ შემთხვევაში საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში (ინგლისი, აშშ) მიღებული პრაქტიკის თანახმად სასამართლომ უნდა გამოიყენოს თავისი ქვეყნის სამართლებრივი ნორმა თუ პრეცედენტი.

ასეთ პრაქტიკას იმით ასაბუთებენ, რომ ყველა ცივილიზებული ქვეყანაში კანონები და სამართლებრივი ნორმები ძირითადად ერთგვაროვანია, მათი შინაარსი ემთხვევა ერთმანეთს („უცხო ქვეყნის სამართლის იგივეობის პრეზუმფცია“). ამიტომ არ იქნება შეცდომა თუ სასამართლო გამოიყენებს თავისი

ქვეყნის სამართლის ნორმებს იმ შემთხვევაში, როცა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა ვერ შეძლეს მხარეებმა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა, გარკვეული კორექტივებით, მოქმედებს არამართო ინგლისში და საერთო სამართლის სხვა ქვეყნებში (მათ შორის აშშ-ში), არამედ აგრეთვე საფრანგეთშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსი ცნობილია სასამართლოსათვის, მას შეუძლია გამოიყენოს ეს ნორმა, მიუხედავად იმისა, მხარეებმა შეძლეს თუ არა შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ფრანგული დოქტრინის თავისებურება მდგომარეობს იმაშიც, რომ შეცდომა უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებაში არ შეიძლება გახდეს საკასაციო გადასინჯვის საბაბი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კონცეფცია, რომლის თანახმად უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსი არის ფაქტის და არა სამართლის საკითხი, არ არის ბოლომდე თანმიმდევრული. საქმე ისაა, რომ თუ ფაქტის საკითხია და, აქედან გამომდინარე, ამ ფაქტის დამტკიცების ტვირთი (მოვალეობა) ეკისრებათ მხარეებს, მაშინ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგი უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ეკისრებოდა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის, როგორც ფაქტის დამტკიცების ტვირთი (**onus probandi**). ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგი კი გამოიხატება იმაში, რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უარი უნდა უთხრას მხარეს, რომელმაც ვერ დაამტკიცა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსი, თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) დაკმაყოფილებაზე.

ასეთია ფაქტების დამტკიცების ტვირთის (მოვალეობის) შეუსრულებლობის საპროცესო სამართლებრივი შედეგები.

კონცეფცია, რომლის თანახმად უცხო ქვეყნის სამართალი არის ფაქტის და არა სამართლის საკითხი, თანმიმდევრულად

და ლოგიკურად ხელმძღვანელობს მტკიცებულებათა შეგროვების, შეფასებისა და შემოწმების, აგრეთვე მტკიცების ტვირთის საპროცესო წესებით მანამ, სანამ მხარეები შეასრულებენ თავიანთ მტკიცებულებით საქმიანობას. მაგრამ თუ მათ ეს სათანადოდ ვერ შეასრულეს მაშინვე იწყება გადახვევა ამ წესებიდან და იყენებენ არა უცხო ქვეყნის სამართალს, რომლის დამტკიცება მხარეებმა ვერ შეძლეს, არამედ თავისი ქვეყნის სამართალს, თუმცა ლოგიკური იქნებოდა არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანა იმ მხარისათვის, რომელმაც ვერ შეძლო მტკიცების მოვალეობის შესრულება.

როგორც ავლნიშნეთ, ფართოდაა გავრცელებული კიდევ ერთი კონცეფცია, რომლის თანახმად უცხო ქვეყნის სამართალი არის არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხი. აქედან გამომდინარე, ფაქტების სამართლებრივი შეფასება არის არა მხარეთა, არამედ სასამართლოს მოვალეობა. ამიტომ, სასამართლო (და არა მხარეები) ვალდებულია თვითონ, თავისი ინიციატივით (*ex officio*), თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, როგორც სამართალშემფარდებელი ორგანო, დაადგინოს უცხო ქვეყნის სამართლებრივი ნორმის შინაარსი. ამ კონცეფციას გარკვეული კორექტივებით ემყარება ევროპის ქვეყნების უმრავლესობა.

როგორი მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით საქართველოში? „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად: „1. უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით.

2. თუ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად, უშედეგოა ან მოითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს, ხოლო პროცესის არცერთ მხარეს

არ შეუძლია ნორმების არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო იყენებს საქართველოს სამართალს.“

ამრიგად საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის მე-3 მუხლის თანახმად:

1. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმა არის არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხი. ამიტომ, უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა სასამართლოს ევალება თავისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე (*ex officio*), რომელმაც უნდა შეუფარდოს ეს ნორმა მის მიერ დადასტურებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

2. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენისას სასამართლო ვალდებულია გაითვალისწინოს ამ ქვეყანაში ნორმის ოფიციალური განმარტება (თუ ასეთი არსებობს), მისი გამოყენების პრაქტიკა და დოქტრინა (მეცნიერული განმარტება, რაც შეიძლება არსებობდეს კომენტარების სახითაც).

3. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის ასეთი წესით დადგენისას სასამართლო, როგორც ეს მე-3 მუხლის პირველ პუნქტშია მითითებული, „იღებს საჭირო ზომებს“. ჩვენი აზრით, „საჭირო ზომებში“ იგულისხმება სპეციალისტის მოწვევა,³⁰ რომელსაც შეუძლია მისცეს სასამართლოს ამომწურავი ინფორმაცია უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის, მისი გამოყენების პრაქტიკის, ოფიციალური თუ არაოფიციალური განმარტების თაობაზე. სასამართლოს შე-

³⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ერთმანეთისაგან ანხვავებს სპეციალისტსა და ექსპერტს. ამ კოდექსის 204-ე მუხლის თანახმად, სპეციალისტები შეიძლება მოწვეულ იქნეს მაშინ, როდესაც სასამართლოებს ესაჭიროება დახმარება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას და კონსულტაციები. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია შეიძლება ოქმში, ხოლო წერილობითი კონსულტაცია დაერთვის საქმეს. ექსპერტი კი დაინიშნება, როცა საჭიროა ექსპერტიზის ჩატარება და დასკვნის შედგენა, რომელიც არის მტკიცებულების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახე.

უძლია აგრეთვე გამოითხოვოს დასკვნა შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან თუ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლიდან, ან კიდევ, მიმართოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით შესაბამის უცხო ქვეყნის წარმომადგენლობას დახმარებისათვის და ა.შ.

4. მხარეები არ თავისუფლდებიან უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენის ტვირთისაგან (**onus pro-pandi**). სასამართლოსთან ერთად მათაც უნდა იზრუნონ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენისათვის.

5. სასამართლოს შეუძლია საერთოდ თქვას უარი უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენაზე, თუ ეს მოითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს. გაუმართლებელ ხარჯებში უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ხარჯები, რომელთა გაღების შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის განხილვა და გადაწყვეტა გარკვეულად კარგავს აზრს.

6. თუ მიუხედავად მიღებული ზომებისა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა ვერ მოხერხდა ან სასამართლომ უარი თქვა მის დადგენაზე გაუმართლებელი ხარჯების გამო — სასამართლო იყენებს საქართველოს სამართალს.

7. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო (საკასაციო) წესით. ასეთი დასკვნა გამოძღინარეობს კანონის 73-ე მუხლიდან, რომლის თანახმად „პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები) ექვემდებარება გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

§5. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ და მისი შესრულების წესი

I. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვა და გადაწყვეტა აუცილებლობით გულისხმობს ამა თუ იმ

საპროცესო მოქმედებების შესრულებას, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით. ცხადია, რომ როცა სასამართლო იხილავს დავას თავისი ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობისათვის რაიმე დამატებითი ღონისძიებების გატარება, გარდა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დაცვისა, საჭირო არაა. მაგრამ, როცა საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, უკვე აუცილებელია ამ ქვეყნის ნებართვა. მაგრამ სახელმწიფოს რომელი ორგანოა უფლებამოსილი გასცეს ასეთი ნებართვა, რა წესით უნდა მიმართოს სასამართლომ ასეთ ორგანოს, ვისი მეშვეობით შეიძლება შუამდგომლობის აღძვრა, რა შედეგები მოყვება ან როგორ შეიძლება გაპროტესტდეს საპროცესო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა და ა.შ.

იმისათვის რომ გაუადვილდეს სასამართლოს უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულება, მიღებული იქნა მრავალი საერთაშორისო კონვენცია, რომელთა შორის აღსანიშნავია ჰააგის 1954 წლის კონვენცია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე, რომელიც საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს სასამართლო და სასამართლოს გარეშე დოკუმენტების ჩაბარებას, სასამართლო დავალებების მიცემას და სხვა საკითხებს.

ჰააგის 1954 წლის კონვენციის შემდგომი სრულყოფის მიზნით მიღებული იქნა იმავე ჰააგის კონფერენციის ფარგლებში რამდენიმე დამატებითი კონვენცია, როგორცაა 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენცია სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების ჩაბარების (გადაცემის) შესახებ, 1970 წლის 18 მარტის კონვენცია საზღვარგარეთ სავაჭრო და სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე მტკიცებულებათა მიღების შესახებ, 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია მართლმსაჯულების საერთაშორისო ხელმისაწვდომობის შესახებ.

აქ ჩამოთვლილ კონვენციებში მითითებულია თუ რა წესით შეიძლება საქართველოს სასამართლოებმა მიმართონ უცხო ქვეყნის სასამართლოებს, ჯერ ერთი საზღვარგარეთ მყოფ პირებისათვის დოკუმენტების და მათ შორის სასამართლო უწყების გადაცემის მიზნით და მეორე, მოწმეთა დაკითხვის თუ სხვა საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის. უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის მიმართვა ამა თუ იმ სასამართლო დავალების შესრულების მიზნით შესაძლებელია როგორც დიპლომატიური არხებით, ისე უშუალოდ უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონვენციებში ჩამოყალიბებულმა მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა დებულებებმა თავისი ასახვა პოვა საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. მაგალითად, ამ კანონის 62-ე მუხლის თანახმად თუ საქმის გარემოებების გასარკვევად, ფაქტების დასადგენად, დოკუმენტების გადაცემის ან სხვა მიზნით, აუცილებელია სასამართლო მოქმედებების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაძლებელია აღიძრას შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ.

ამრიგად, 62-ე მუხლი შეიცავს იმ მოქმედებათა სანიმუშო ჩამონათვალს, რომელთა შესასრულებლად საქართველოს სასამართლოებს შეუძლიათ მიმართონ უცხო ქვეყნის სასამართლოებს. ესაა საპროცესო მოქმედებანი, რომელთა მიზანია 1) სასამართლოში განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რისთვისაც შეიძლება საჭირო გახდეს მოწმის დაკითხვა; ადგილზე დათვალიერება, ექსპერტის დანიშვნა, ნივთიერი მტკიცებულებების შეგროვება და ა.შ. და 2) სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის დოკუმენტების გადაცემა იმ პირისათვის, რომელიც საზღვარგარეთაა, როგორცაა მაგალითად სასამართლო უწყების ჩაბარება, შეტყობინება მემკვიდრეობის გახსნის შესახებ, სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტების პირების ჩაბარება და ა.შ. ცხადია, რომ დოკუ-

მენტების ჩაბარება (გადაცემა) უნდა მოხდეს ოფიციალურად, იმ ნორმების დაცვით, რომლებიც დადგენილია საპროცესო მოქმედების შემსრულებელი სასამართლოს სახელმწიფოს კანონმდებლობით.

განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სასამართლო დავალებების მიცემა, ანუ როგორ უნდა აღიძრას შუამდგომლობები უცხო ქვეყნის სასამართლოების მიმართ, როგორ და რა წესით უნდა მივმართოთ მათ.

ჰააგის 1954 წლისა და მის საფუძველზე მიღებული ზემოთ ჩამოთვლილი სხვა კონვენციების შესაბამისად საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლოებისათვის სასამართლო დავალებების გადაცემის სხვადასხვა მექანიზმებს, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1. შუამდგომლობის აღძვრა „უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ“ (62-ე მუხლის ნაწ. 1). საქართველოს კანონი არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ განმარტავს თუ რომელი დაწესებულება შეიძლება მივიჩნიოთ „სათანადო დაწესებულებად“. დიდი ხნის ტრადიციის მიხედვით ასეთ ორგანოდ მიიჩნევა იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, იუსტიციის სხვა ცენტრალური ორგანოები, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ ამ თუ იმ ქვეყანაში. როგორც აღვნიშნეთ საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ლაპარაკია არა სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოზე, არამედ „სათანადო დაწესებულებაზე“. აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად ამ კონვენციის თითოეული ხელმოწერილი სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომელიც ვალდებულია მიიღოს შუამდგომლობები ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებების შესასრულებლად და

სათანადო წესის დაცვით გადასცეს ისინი უშუალოდ შემსრულებელ ორგანოს. ამასთან ერთად, კონვენციის მე-18 მუხლის თანახმად თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია ცენტრალური ორგანოს დამატებით დანიშნოს აგრეთვე სხვა ხელისუფლების დამატებითი ორგანოები და განსაზღვროს მათი კომპეტენცია.

2. შუამდგომლობების აღძვრა „საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულოს წარმომადგენლების მეშვეობით (62-ე მუხლის ნაწ. 2). ეს მექანიზმიც გათვალისწინებულია ჰააგის 1954 წლის კონვენციით და მის დასაზუსტებლად გამოცემულ სხვა კონვენციებით. ეს მექანიზმი გულისხმობს შუამდგომლობით მიმართვას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, რომელიც თავის მხრივ მიმართავს თავის საელჩოს ან საკონსულოს იმ ქვეყანაში, რომელი ქვეყნის სასამართლომაც უნდა შეასრულოს შუამდგომლობაში მითითებული საპროცესო მოქმედებები. საელჩო (საკონსულო) თავის მხრივ მიმართავს იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც შუამდგომლობას (სასამართლო დავალებას) გადაუგზავნის თავისი ქვეყნის სასამართლოს.

3. საპროცესო მოქმედების შესრულებაზე, კერძოდ დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა. ჰააგის 1954 წლისა და შემდგომი წლების კონვენციების დებულებათა განვითარების მიზნით საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის 66-ე მუხლმა დაამკვიდრა წესი, რომლის თანახმად თუ ერთ-ერთ მხარეს, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს და არ ჰყავს საქართველოში მცხოვრები წარმომადგენელი, მას შეიძლება სასამართლოს განჩინებით დაევალოს განსაზღვრულ ვადაში დანიშნოს საქართველოში მცხოვრები, დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირი.

ამავე 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ

განჩინება უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას (განმარტებას) იმის შესახებ, რომ თუ მხარე სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის განმავლობაში არ დანიშნავს დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილ პირს, დოკუმენტების გადაცემა დაზღვეული წერილის მეშვეობით განხორციელდება და დოკუმენტი ჩაბარებულად ჩაითვლება ამ დაზღვეული წერილის ფოსტისათვის გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ, იმისდა მიუხედავად არსებობს თუ არა ადრესატისათვის ამ წერილის ჩაბარების დამატურებული რაიმე დოკუმენტი.

4. ბოლოს, ჰააგის 1954 წლისა და მისი მომდევნო წლების კონვენციები უშეებენ, ხოლო საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი არ გამორიცხავს უშუალოდ უცხო ქვეყნის სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას.

II. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი, შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა გათვალისწინებით, განსაზღვრავს არამარტო საქართველოს სასამართლოების შუამდგომლობების უცხო ქვეყნის სასამართლოებისათვის გადაცემის და შესრულების წესებს, არამედ უცხო ქვეყნის სასამართლოთა შუამდგომლობების მიღებისა და შესრულების წესებსაც. პირველი და ძირითადი პრინციპი ამ თვალსაზრისით დამკვიდრებულია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის პირველი ნაწილით: „საქართველოს სასამართლოები აკმაყოფილებენ უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობებს სამართლებრივი დანხარების შესახებ“.

შეიძლება თუ არა უარი ეთქვას უცხო ქვეყნის სასამართლოს სამართლებრივი დანხარების გაწევაზე?

უცხო ქვეყნის სასამართლოებს შეიძლება უარი ეთქვას სამართლებრივი დანხარების გაწევაზე ორ შემთხვევაში: პირველი — თუ ასეთი შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება

საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს და, მეორე — თუ შუამდგომლობით გათვალისწინებული მოქმედება არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას (საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 64-ე მუხლი).

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: რომელიმე უცხო ქვეყნის სასამართლო შუამდგომლობს საქართველოს სასამართლოს წინაშე, რათა მან მოწმის სახით დაკითხოს საქართველოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე, მაგრამ აქ მცხოვრები პირი, რომლებიც არიან სასულიერო პირები — იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათ გაანდეს აღსარების დროს, ან კიდე, რომლებიც იყვნენ წარმომადგენლები სამოქალაქო თუ სისხლი სამართლის საქმეებზე — ისეთ გარემოებასთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა წარმომადგენლის (დამცველის) მოვალეობის შესრულების დროს.

საქართველოს სასამართლოს შეუძლია უარი უთხრას უცხო სახელმწიფოს სასამართლოს ასეთი შუამდგომლობის (დავალების) შესრულებაზე, რადგან ასეთ საკითხებზე აღნიშნული პირების დაკითხვა ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს, დამკვიდრებულს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლით.

ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების მიზნით უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობების გადაცემა საქართველოს სასამართლოებისათვის ხორციელდება იგივე მექანიზმებითა და წესით, რა წესითაც ხორციელდება საქართველოს სასამართლოების შუამდგომლობების უცხო ქვეყნის სასამართლოებისათვის გადაცემა (63-67-ე მუხლები).

§6. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება

1. საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. კონსტიტუციის ამ მუხლის შესაბამისად სააღსრულებო წარმოების შესახებ საქართველოს კანონმა დაამკვიდრა პრინციპი, რომლის თანახმად კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ კერძო საწარმოებისთვის, დაწესებულებებისთვის, ორგანიზაციებისთვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და უნდა შესრულდეს.

როგორც ვხედავთ, სასამართლო გადაწყვეტილების სავალდებულობა თუ მისი აღსრულებადობა, უფრო ზუსტად მისი მოქმედება საერთოდ, შემოფარგლულია იმ ქვეყნის ტერიტორიით, რომელ ქვეყანასაც ეკუთვნის ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო.

ამასთან ერთად, ზოგჯერ საჭიროა ამა თუ იმ ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა (აღიარება) და იძულებით აღსრულება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა ნიშნავს იმას, რომ თავისი ძალამოსილებით და სამართლებრივი შედეგებით იგი უთანაბრდება იმ სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელმაც ცნო ეს გადაწყვეტილება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებასთან დაკავშირებით ორ საკითხს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა: პირველი – ესაა საკითხი იმის შესახებ თუ რა პირობებია დაწესებული ამა თუ იმ ქვეყანაში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისათვის და მე-

ორე — როგორია ასეთ გადაწყვეტილებათა აღსრულების პირობები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების პირობები ყველა ქვეყანაში მთლად ერთნაირი არაა, თუმცა ძირითადი პირობები ერთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, საფრანგეთში უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილებათა ცნობისათვის შეიძლება მისი არსებითი სისწორის შემოწმება, თუ ეს გადაწყვეტილება საფრანგეთის მოქალაქეს შეეხება, ზოგიერთ ქვეყანაში კი საკმარისია მისი მხოლოდ ფორმალური სისწორის შემოწმება.

2. საქართველოში უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებათა ცნობა და აღიარება გათვალისწინებულია საქართველოს კანონით საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ.

ამ კანონის 68-ე მუხლი ამკვიდრებს ზოგად წესს, რომლის თანახმად „საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს“. ამასთან ერთად, ამ მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საქართველოში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა ვერ მოხდება. კერძოდ, გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება თუ:

1. საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რის შესახებაც საუბარი გვქონდა ამ თავის მე-2 პარაგრაფში, განსაზღვრავს იმ საქმეთა კატეგორიას, რომელთა მიმართ საქართველოს სასამართლოებს აქვთ განსაკუთრებული კომპეტენცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კატეგორიის საქმეები განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნან საქართველოს სასამართლოების მიერ. ამიტომ, თუ რომელიმე ამ კატეგორიის საქმეთაგან განიხილა უცხო ქვეყნის სასამართლომ, ამ სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა საქართველოში ვერ მოხდება.

2. გადაწყვეტილების გამოტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები.

ამ მუხლის მოთხოვნა სავსებით შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მოთხოვნებს, რომლის თანახმად მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად საქმის განხილვა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი. რა თქმა უნდა, შეიძლება უწყების ჩაბარების წესი სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვანაირი იყოს, მაგრამ, ეს წესი აუცილებლად დაცული უნდა იყოს.

3. ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილი იქნა საქართველოში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ. ამავე კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე.

ამრიგად, თუ აღმოჩნდება, რომ არსებობს როგორც საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ისე უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, უპირატესობა ენიჭება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამიტომ, არ მოხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა. იგივე უნდა ითქვას ისეთ შემთხვევაზე, როდესაც საქართველომ ცნო უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება და ამის შემდეგ დაისვა საკითხი მეორე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის შესახებ, რომელიც გამოტანილია იგივე სარჩელზე და იმავე მხარეებს შორის. ასეთ შემთხვევაშიც უპირატესობა ენიჭება იმ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც პირველად ცნო საქართველომ.

4. უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-14 მუხლის თანახმად შვილად აყვანის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მშვილებლები, ერთ-ერთი მშვილებელი ან ბავშვი საქართველოს მოქალაქეა. ეს იმას ნიშნავს, რომ შვილად აყვანის საქმეებზე მე-14 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვერ მოხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, რადგან ასეთი საქმეები საქართველოს კომპეტენციას განეკუთვნება. ანალოგიურ მითითებებს შეიცავენ საერთაშორისო კერძო სამართლის კანონის ზოგიერთი სხვა მუხლიც.

5. უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

გარკვეული თვალსაზრისით აქ განმტკიცებულია ნაცვალგების პრინციპი: თუ რომელიმე ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, არც საქართველომ უნდა

ცნოს ამ ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებები. ამასთან ერთად, 68-ე მუხლის მეხამე ნაწილი უშვებს ასეთი ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობას ორი პირობის ერთდროულად არსებობისას. თუ გადაწყვეტილება ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა.

6. ერთსა და იმავე მხარეებს შორის, ერთსა და იმავე საკითხებზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

ამრიგად, თუ დაისვა საკითხი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ, რომელიც გამოტანილია იგივე სარჩელზე და იმავე მხარეებს შორის, რომელზეც საქართველოში მიმდინარეობს პროცესი, ამ გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება მანამ სანამ არ დამთავრდება საქმის განხილვა საქართველოში (68-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

7. გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს.

ამ ნაშრომის მეორე თავში საუბარი გექონდა საჯარო წესრიგის ანუ საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპის შესახებ. აღვნიშნეთ, რომ საქართველოში არ გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს. სასამართლო, როგორც ცნობილია, კონკრეტული საქმის გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობს კანონით, სამართლის ნორმით. იგი ვალდებულია მიუთითოს თავის გადაწყვეტილებაში კანონზე, რომლითაც იხელმძღვანელა. სასამართლო გადაწყვეტილება — წერს დ. ი. პოლუმორდვინოვი — რომელიც გამოტანილია მოქმედი სამართლის ნორმის საფუძველზე კვლავ ქმნის ამ ნორმას კონკრეტული დავის მიმართ მისი გამოყენების გზით. ამიტომ, მოდავე მხარეების მიმართ სასამართლო გადაწყვეტილება კონკრეტული ფორმით გამოხატავს სამართ-

ლის ნორმას.³¹ რახან სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს სამართლის ნორმას, კანონს, ცხადია, რომ ეს სამართლის ნორმა, რომელსაც ემყარება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს. მაგრამ თუ ეწინააღმდეგება, მაშინ ვამბობთ, რომ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს, რის გამოც მისი ცნობა და აღსრულება არ მოხდება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 69-ე მუხლი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის საკითხში აწესებს ერთ გამონაკლისს – გადაწყვეტილების ცნობა საჭირო არ არის, თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მეუღლეები იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, რომლის დაწესებულებამაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

ბოლოს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. მხედველობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პალატა. ამ პალატის გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა (69-ე მუხლის მეორე ნაწილი).

3. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებელ პირობას, თუ, რა თქმა უნდა, ეს გადაწყვეტილება გამოტანილია მიკუთვნებითი სარჩელების და არა აღიარებითი სარჩელების მიმართ, რომლებიც არ საჭიროებენ იძულებით აღსრულებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის თანახმად, (ამ მუხლს რომელსაც აღიარებითი სარჩელი ეწოდება), „სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ

³¹ Д. И. Полумордвинов. Законная сила судебного решения. Тбилиси, 1964, стр.29.

სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს.

სწორედ ასეთ სარჩელებზე გამოტანილი გადაწყვეტილებები აქვს მხედველობაში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 70-ე მუხლის პირველ ნაწილს, როდესაც მიუთითებს, რომ „სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას“. აღსრულებას როგორც ცნობილია ექვემდებარებიან მიკუთვნებითი ანუ, როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ აღსრულებითი სარჩელები.

გარდა ამისა 70-ე მუხლის პირველ ნაწილს მხედველობაში აქვს აგრეთვე ის, რომ მიკუთვნებით სარჩელზე გამოტანილი უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება რომ აღსრულდეს აუცილებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი დადგენილება.

საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონი შეიცავს გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურას, კერძოდ:

1. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მხარის წერილობითი შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის შედეგად.

2. ასეთი შუამდგომლობის განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების კომპეტენცია მიკუთვნებული აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მისი შესაბამისი საკასაციო პალატის სახით.

3. აღსრულების შესახებ მხარის შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს: ა) სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმე-

ბული ასლი; ბ) ამ გადაწყვეტილების დამოწმებული ქართული თარგმანი; გ) ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

იმ შემთხვევაში, როდესაც შუამდგომლობა აღსრულების შესახებ არ შეიცავს საჭირო მონაცემებს ან არ ერთვის მას ყველა აუცილებელი დოკუმენტი, ამ შუამდგომლობის განხილველ სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ვადა ხარვეზის შესავსებად, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი საკასაციო პალატა (ეს იქნება ან სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეთა საკასაციო პალატები) უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას უწინარეს ყოვლისა დაადგენს არსებობს თუ არა ყველა ის პირობა, რაც აუცილებელია ამ გადაწყვეტილების ცნობისათვის, რაც გათვალისწინებულია ნმ-ე მუხლით და რის შესახებაც საუბარი გვექონდა ზემოთ.

შესაბამის საკასაციო პალატას შეუძლია შუამდგომლობა განიხილოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მაგრამ მან უნდა დანიშნოს საქმის ზეპირი განხილვა თუ ამას მოითხოვენ მხარეები ან მოწინააღმდეგე მხარე. მხარის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ უნდა გადაეცეს მოწინააღმდეგე მხარეს, რომელსაც უნდა განემარტოს, რომ შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა.

თავი X

საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟი

§1. საჯიბოა თუ არა საქართველოს კანონი საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ

საქართველოში სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიის პროგრამით გათვალისწინებული იყო საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების განხილვა-გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის – საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის საქმიანობის მომწესრიგებელი კანონპროექტის შემუშავება. ამ კომისიამ უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით შეიმუშავა ჯერ კიდევ 1996 წელს და საქართველოს მთავრობას წარუდგინა კანონის პროექტი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“; აღნიშნული პროექტი შემუშავებული იყო გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის 1985 წლის მოდელური (სანიმუშო) კანონის საფუძველზე და იგი გათვალისწინებული იყო არამართო საერთაშორისო სავაჭრო, არამედ შინასახელმწიფოებრივი, ეროვნული არბიტრაჟის ანუ სამედიატორო სასამართლოსათვის. ამიტომ ეწოდა ამ კანონპროექტს საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ და არა საქართველოს კანონი „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ“, როგორც იგი ბევრ ქვეყანაში იწოდება, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამასთან ერთად, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომელიც მხოლოდ შინასახელმწიფოებრივი, ეროვნული არბიტრაჟის (სამედიატორო სასამართლოს) საქმიანობას აწესრიგებს და რომელიც სრულებით არ უწევს ანგარიშს და არ ითვალისწინებს გაეროს საერთაშორისო სავაჭრო

სამართლის კომისიის (იუნსიტრალი) ზემოთ დასახელებული კანონის პრინციპებსა და მოთხოვნებს.

ასე დარჩა საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟი საქართველოში ყოველგვარი რეგულირების გარეშე, რის გამოც ასეთი არბიტრაჟი ვერც იფუნქციონირებს ჩვენში. არადა იუნსიტრალის ზემოთ დასახელებული მოდელური კანონის საფუძველზე ასზე მეტმა ქვეყანამ შეიმუშავა თავისი კანონი არბიტრაჟის შესახებ ან როგორც მხოლოდ საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟისათვის, ან როგორც ერთიანი კანონი საერთაშორისო და ეროვნული არბიტრაჟებისათვის.

საჭიროა თუ არა ანალოგიური კანონის მიღება საქართველოში?

**§2. საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში
საერთაშორისო კერძო სამართლებრივი
შტრიქტობებიდან ჟარმონიზაციის
ბანხილვის უპირატესობა**

ყველა ქვეყანაში მოქმედებენ ეროვნული სასამართლოები, რომლებიც ამ ქვეყნის სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ. ისინი მოწოდებულია დაიცვან თავიანთი ქვეყნების ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა დარღვეული ან სადავო უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები. ეს ეროვნული სასამართლოები მოწოდებულნი არიან დაიცვან აგრეთვე უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებები და ინტერესები, თუ ასეთი კატეგორიის საქმეთა განხილვა მათ საერთაშორისო კომპეტენციაში შედის. ამასთან ერთად, არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილემ ეჭვის თვალთ შეხედოს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიუკერძოებლობას, იფიქროს და ივარაუდოს, რომ სახელმწიფო სასამართლო თავისი ქვეყნის ფიზიკური თუ იურიდიული პირის ინტერესებს დაიცავს. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი შექმნილ-

იყო უფლების დაცვის ისეთი ალტერნატიული მექანიზმი, როგორცაა არბიტრაჟი (სამედიატორო სასამართლო).

არბიტრაჟები არ წარმოადგენენ სახელმწიფო სასამართლოებს, აირჩევიან მოდავე მხარეების მიერ, ან ინიშნებიან საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული საერთაშორისო კერძო ურთიერთობიდან (და არამართლ ასეთი ურთიერთობებიდან) წარმოშობილი დავებისა და უთანხმოებების დარეგულირების ალტერნატიული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების უპირატესობა სახელმწიფო სასამართლოებთან შედარებით, განსაკუთრებით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, როდესაც ერთი მხარე ვერ ენდობა მეორე მხარის სამართალწარმოებას. როგორც სწორად წერს რ. კნიპერი, ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს ენობრივ ბარიერთან, უცხო სამართლებრივ ტრადიციებთან და სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი უნდობლობასთან. თანდათანობით მთელს მსოფლიოში იქნა აღიარებული ამ და სხვა შემთხვევებში კერძო პირების ნების საფუძველზე საარბიტრაჟო სასამართლოს მოწვევის შესაძლებლობა.³²

საარბიტრაჟო წესით საერთაშორისო კერძო სამართლებრივი დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი დიდი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა, გასაჩივრება, გარდა უიშვიათესი შემთხვევებისა, არ შეიძლება, სავალდებულოა მხარეებისათვის და იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე არ ასრულებს მას ნებაყოფლობით, იგი შეიძლება აღსრულდეს იძულებითი წესით. უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და

³² როლფ კნიპერი. საარბიტრაჟო სასამართლოსა და სახელმწიფო სამართალწარმოების შედარება. Tacis – ქართული სამართლის მიმოხლევა. პირველი კვარტალი, 1998, გვ.77.

აღსრულების გარანტიად გვევლინება ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენცია „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, რომელსაც შეუერთდა საქართველო 1994 წლის 3 თებერვალს.³³

ყველა ქვეყანას ჰქონდა საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის თავისი წესები, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის საარბიტრაჟო პროცედურები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ხოლო ზოგჯერ ისინი შეიცავდნენ დებულებებს, რომლებიც მიუღებელი იყო საერთაშორისო ურთიერთობებისათვის.

ამიტომ, გაეროს შესაბამისმა კომისიამ, კერძოდ, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიამ (იუნსიტრალი) შეიმუშავა და 1985 წლის 21 ივნისს მიიღო სანიმუშო კანონი (კანონის მოდელი) „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ“. იუნსიტრალის ამ სანიმუშო კანონის შემუშავებაში მონაწილეობდა მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი და იგი შეიცავს ყველასათვის მისაღებ დებულებებს. გაერომ თავის 1985 წლის 11 დეკემბრის 40/72 რეზოლუციით რეკომენდაცია მისცა ყველა ქვეყანას გაითვალისწინონ იუნსიტრალის სანიმუშო კანონი, რაც უზრუნველყოფს არბიტრაჟის პროცედურის შესახებ კანონების ერთგვაროვნებას.

მართლაც, ამ სანიმუშო კანონის შესაბამისად თითქმის ყველა ქვეყანამ შეიმუშავა და მიიღო კანონები არბიტრაჟის შესახებ, რომელთა შორის აღსანიშნავია რუსეთი, უკრაინა, ლატვია და სხვა.

³³ იხ. საქართველოს კანონები ადამიანის უფლებათა შესახებ. საერთაშორისო აქტები და კონვენციები. თბ. 1998, გვ. 367.

**§3. სამართაშორისო სავაჭრო არბიტრაჟში და
მეოცნულ არბიტრაჟში (სამედიატორო
სასამართლოში) საქმეთა განხილვისათვის
მეტგვატოვანი საკოცმისო ჟისეების ჟიმოღების
მიზანშეჟონილობა**

იუნსიტრალის სანიმუშო კანონის რეცეფციისათვის არსე-
ბობს ორი გზა: ერთი – სანიმუშო კანონი შეიძლება გადმოლე-
ბულ იქნეს მხოლოდ როგორც საერთაშორისო სავაჭრო იურის-
დიქციის სპეციალური კანონი.

თუ ასეთი გზა იქნება არჩეული, მაშინ საჭირო გახდება
მეორე კანონის შემუშავება და მილება ეროვნული საარბიტრა-
ჟო (სამედიატორო) სასამართლოსათვის, რომელიც ფაქტო-
ბრივად საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის კანონის იდენ-
ტური იქნება.

მეორე – სანიმუშო კანონი შეიძლება გადმოლებულ იქნეს
ისე, რომ მან მოაწესრიგოს როგორც საერთაშორისო სავაჭრო
არბიტრაჟის, ისე ეროვნული არბიტრაჟის მიერ საქმეთა განხ-
ილვის პროცედურა.

ამ მეორე გზის არჩევის რეკომენდაციას გვაძლევს გაეროს
საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის 1988 წლის
11-12 აპრილის სესიის სამდივნოს ჩანაწერი, რომელშიც კერ-
ძოდ მითითებულია, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონების გა-
ნახლებისა და სრულყოფის მოთხოვნილებები შეიძლება წარ-
მოიშვას ამა თუ იმ სახელმწიფოში შინასახელმწიფოებრივი
საქმეების მიმართ, რაც შეიძლება განხორციელდეს თანამედ-
როვე კანონმდებლობის მილებით, რომელიც დაეფუძნება სანი-
მუშო კანონს ორივე კატეგორიის საქმეებისათვის (მხედველო-
ბაშია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კერძოსამართ-
ლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ღავეების განხილვა
საერთაშორისო და ეროვნული არბიტრაჟების მიერ – თ. ლ.).

იუნსიტრალის სანიმუშო კანონის რეცეფციის გზებისა და ფორმების შესწავლისა და ანალიზის შედეგად სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიამ უპირატესობა მისცა სწორედ მეორე გზას, რადგან იგი აგვაცდენს ორი, ფაქტობრივად იგივეობრივი კანონის მიღების აუცილებლობას, რაც არ იქნებოდა მიზანშეწონილი არც საკანონმდებლო ტექნიკისა და არც რაიმე სხვა თვალსაზრისით.

ამრიგად, საქართველოს კანონის პროექტი, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, რომელსაც ვაქვეყნებთ დანართის სახით და რომელიც ჯერ კიდევ 1996 წელს წარედგინა საქართველოს მთავრობას, შემუშავებულია გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის სანიმუშო (მოდელური) კანონის საფუძველზე და იგი გათვალისწინებულია როგორც საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის, ისე შინასახელმწიფოებრივი, ეროვნული არბიტრაჟის ანუ სამედიატორო სასამართლოს საქმიანობის მოწესრიგებისათვის.

დანართი 1.

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ

თავი I ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. გამოყენების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს, თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას.

მუხლი 2. საერთაშორისო ხელშეკრულებები

საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

მუხლი 3. უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა

1. უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით.

2. თუ უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების მიუხედავად უშედეგოა ან მო-

ითხოვს გაუმართლებელ ხარჯებს, ხოლო პროცესის არც ერთ მხარეს არ შეუძლია ნორმების არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო იყენებს საქართველოს სამართალს.

მუხლი 4. მითითება

1. სხვა ქვეყნის (იგულისხმება მესამე ქვეყანაც) სამართალზე მითითება გულისხმობს ამ ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის გამოყენებასაც, თუ ეს მითითება მითითების აზრს არ ეწინააღმდეგება ან თუ ეს მითითება არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.

2. საქართველოს სამართალზე უკუმითითებისას გამოიყენება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული საქართველოს სამართლის ნორმები.

3. თუ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი ქვეყნის სამართალი, ასეთი არჩევანი გულისხმობს მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებული ნორმების გამოყენებას.

მუხლი 5. საჯარო წესრიგი

საქართველოში უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები არ გამოიყენება, თუ ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

მუხლი 6. იმპერატიული ნორმების გამოყენება

ამ კანონის დებულებები არ ვრცელდება საქართველოს სამართლის იმპერატიული ნორმების მოქმედებაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის სამართალი გამოიყენება ურთიერთობათა მოწესრიგებისას.

მუხლი 7. რამდენიმე სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოს სამართლის გამოყენება

იმ ქვეყნის სამართლის გამოყენებისას, სადაც მოქმედებს რამდენიმე ტერიტორიული ან განსხვავებული სამართლებრივი სისტემა, გამოიყენება ის სამართლებრივი სისტემა, რომლის გამოყენებასაც მოცემულ შემთხვევაში ითვალისწინებს ამ ქვეყნის სამართალი. თუ ასეთი წესი არ არსებობს, გამოიყენება იმ ტერიტორიის სამართალი, რომელთანაც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული.

თავი II

საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია

მუხლი 8. საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპი

საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 9. საერთაშორისო კომპეტენციის შემთხვევები

საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოპასუხე რამდენიმე პირია და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა;

გ) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა;

დ) დავა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია;

ე) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ხვეშის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია;

ვ) სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებელს გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

მუხლი 10. განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია

საქართველოს სასამართლოებს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება:

ა) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია;

ბ) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია;

გ) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას;

დ) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა;

ე) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

მუხლი 11. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ:

- ა) უგზო-უკვლოდ დაკარგული საქართველოს მოქალაქეა;
- ბ) უგზო-უკვლოდ დაკარგულს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;
- გ) უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადებისათვის შუამდგომლობის აღმძვრელ მხარეს აქვს დასაბუთებული ინტერესი.

მუხლი 12. ქორწინებასთან დაკავშირებული საქმეები

1. ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ:

ა) ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო;

ბ) მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;

გ) ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

2. ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებში იგულისხმება განქორწინება, ქორწინების შეწყვეტა ან ბათილად ცნობა, ქორწინების ან მეუღლეთა თანაცხოვრების ფაქტის დადგენა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომპეტენცია ვრცელდება განქორწინების დამატებით შედეგებზეც.

მუხლი 13. მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობები, შვილების წარმოშობა, მამობის დადგენა და მათთან დაკავშირებული დავები

მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენის და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს

საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მუხლი 14. შვილად აყვანა

შვილად აყვანის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მშვილებლები, ერთ-ერთი მშვილებელი ან ბავშვი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მუხლი 15. ქმედუნარიანობის შეზღუდვა

პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ ეს პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მუხლი 16. მეურვეობა და მზრუნველობა

1. მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მეურვე, მზრუნველი ან პირი, რომელსაც მეურვეობა ან მზრუნველობა ესაჭიროება, საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

2. საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ მეურვე, მზრუნველი ან მეურვეობის ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი ამას საქართველოს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვს.

მუხლი 17. უცხო ქვეყანაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები

თუ საქართველოს კანონმდებლობა საქმის წარმოების შიდა კომპეტენციას არ ითვალისწინებს და ამავე დროს შეუძლე-

ბელია საქმის აღძვრა უცხო ქვეყანაში, ან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე პროცესის იქ წარმოებას აზრი არა აქვს, კომპეტენტურია საქართველოს იმ ტერიტორიაზე არსებული სასამართლო, სადაც უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა საბოლოო საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 18. შეთანხმებები საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე

1. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით იგი კომპეტენტური არ არის. ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს:

ა) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით;

ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო.

2. საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ:

ა) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატის მიერ;

ბ) მოსამართლემ შეატყობინა მოპასუხეს პროტესტის განცხადების შესაძლებლობაზე და ეს შეტყობინება დაფიქსირებულია საქმის წარმოების ოქმში.

3. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს. ასეთ შეთანხმებაზე შესაბამისად ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტი.

4. შეთანხმებები ამ კანონის მე-10_16 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის თაობაზე ბათილია. ასეთ შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება.

მუხლი 19. სამართალწარმოება ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში

1. თუ ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს სამართალწარმოება საქართველოსა და უცხო ქვეყანაში და ეს სარჩელი პირველად უცხო ქვეყნის სასამართლოს ექვემდებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩერებს საქმის წარმოებას. საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან საქართველოში ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.

2. საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს, თუ არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილ იქნეს საქართველოში.

მუხლი 20. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

თავი III პირები

მუხლი 21. კანონის წინაშე თანასწორობა

უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარი-

ნობა და ქმედუნარიანობა, როგორიც საქართველოს მოქალაქეებს. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება, თუ უცხო ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს ფიზიკური ან იურიდიული პირების უფლებების შემზღვეველი ნორმები. ამისათვის საჭიროა კანონით ნათლად განსაზღვრული ნორმა.

მუხლი 22. პიროვნული სტატუსი

1. თუ პირი რამდენიმე ქვეყნის მოქალაქეა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელთანაც იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას.

2. თუ ფიზიკური პირი მოქალაქეობის არმქონეა ან შეუძლებელია მისი მოქალაქეობის დადგენა, მის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ეწევა ძირითად საქმიანობას, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – საქართველოს სამართალი.

მუხლი 23. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება. ეს წესი ვრცელდება ქორწინების შედეგად ქმედუნარიანობის გაფართოების შემთხვევებზეც.

2. საქართველოს მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის ცვლილება არ იწვევს ერთხელ შექმნილი უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შეზღვევას.

მუხლი 24. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული

პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

მუხლი 25. სამართლის გამოყენება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისას და გარდაცვლილად გამოცხადებისას

1. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც უგზო-უკვლოდ დაკარგული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი განეკუთვნებოდა მისი სიცოცხლის შესახებ უკანასკნელი ინფორმაციის მიხედვით. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს – საქართველოს სამართალი.

2. თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირი საქმის განხილვის პერიოდში უცხო ქვეყნის მოქალაქეა, იგი შეიძლება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული იქნეს საქართველოს სამართლის მიხედვითაც, თუ ამისათვის არსებობს დასაბუთებული ინტერესი.

მუხლი 26. სახელი

1. ფიზიკური პირის სახელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

2. იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების საკითხი წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც იურიდიული პირის ადმინისტრაციას აქვს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. ეს წესი გამოიყენება იურიდიული პირის ფილიალის მიმართაც.

თავი IV გარიგებანი

მუხლი 27. გარიგების ნამდვილობა

1. გარიგების ან მისი ცალკეული დებულების ძალაში შესვლა და ნამდვილობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოყენებული უნდა ყოფილიყო გარიგების ან მისი რომელიმე დებულების ნამდვილობისათვის.

2. თუ არსებობს ისეთი გარემოებები, რომელთა მიხედვითაც სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთი მხარის მოქმედების შედეგების განსაზღვრა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამართლის მიხედვით შეიძლება გაუმართლებელი ყოფილიყო, პირს იმის დასამატკიცებლად, რომ მას არ მიუცია თანხმობა ხელშეკრულების დადებანზე, შეუძლია მიმართოს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალს.

მუხლი 28. გარიგებაში წარმომადგენლობა

თუ გარიგებაში წარმომადგენლობისას რომელიმე ქვეყნის სამართლის გამოყენება შეთანხმებული არ არის, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც წარმომადგენელი ეწევა საქმიანობას. წარმომადგენლის საქმიანობის ადგილის არარსებობისას გამოიყენება მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი. თუ არსებობს მჭიდრო კავშირი იმ ქვეყანასთან, სადაც წარმომადგენელმა განახორციელა მოქმედება, განსაკუთრებით, თუ წარმომადგენელს ან მესამე პირს იქ აქვს საქმიანობის ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც წარმომადგენელმა განახორციელა მოქმედება.

მუხლი 29. გარიგების ფორმა

1. გარიგების ფორმა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც დაიდო ეს გარიგება ან იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის მიმართ. გარიგების ფორმა დაცულად ითვლება, თუ ხელშეკრულება დაიდო სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ პირებს შორის და იგი შეესაბამება ერთ-ერთი ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს გარიგების ფორმის შესახებ.

2. თუ ხელშეკრულება დადებულია წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ ამ მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებისას იგულისხმება ის ქვეყანა, სადაც იმყოფება წარმომადგენელი.

3. გარიგებათა მიმართ, რომელთა საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

4. გარიგება, რომლითაც წარმოიშობა უფლება ნივთზე ან რომლითაც ხდება ამ უფლების განკარგვა, ითვლება ფორმის დაცვით დადებულად, თუ იგი შეესაბამება გარიგების ფორმის შესახებ იმ ქვეყნის სამართლის მოთხოვნებს, რომელიც გამოიყენება გარიგების საგნის წარმომშობი სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ.

მუხლი 30. მოთხოვნის ხანდაზმულობა

მოთხოვნის ხანდაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება.

მუხლი 31. კეთილსინდისიერების დაცვა

1. თუ ხელშეკრულება დაიდო ერთ ქვეყანაში მყოფ პირებს შორის, მაშინ იმ ფიზიკურ პირს, რომელიც კონკრეტული

საქმის გარემოებებთან დაკავშირებული სამართლის ნორმების მიხედვით უფლებაუნარო და ქმედუნაროა, მხოლოდ მაშინ შეუძლია მიუთითოს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების მიხედვით თავის უნარობაზე, თუ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარემ ხელშეკრულების დადებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ.

2. თუ ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობს იურიდიული პირი, მას არ შეუძლია მიუთითოს თავისი ორგანოების ან წარმომადგენლების იმ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების შეზღუდვაზე, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის საქმიანობის ადგილას ან ჩვეულებრივ ადგილსამყოფელ ქვეყანაში არ არსებობს და რომელთა შესახებაც ხელშეკრულების მხარემ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა.

თავი V

სანივთო სამართალი

მუხლი 32. უფლებები ნივთზე

1. ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული.

2. თუ სხვა ქვეყანაში აღმოჩნდა ნივთი, რომელზედაც წარმოიშვა უფლება, მაშინ ამ უფლების შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გადაიტანეს ნივთი.

მუხლი 33. უფლებები სატრანსპორტო საშუალებებზე და მათში მოთავსებულ ნივთებზე

1. უფლებები საჰაერო, წყლის და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებებზე ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ისინი ეკუთვნის.

2. უფლებები ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებებში მოთავსებულ ნივთებზე ექვემდებარება მისი საბოლოო დანიშნულების ადგილის სამართალს.

მუხლი 34. არაქონებრივი უფლებები

არაქონებრივი უფლებები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ისინი უნდა იქნეს გამოყენებული.

თავი VI

ვალდებულებითი სამართალი.

სახელშეკრულებო და კანონისმიერ

ვალდებულებითი ურთიერთობები

მუხლი 35. სამართლის არჩევა მხარეების მიერ

1. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართლით.

2. არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართლით ხელშეკრულების დადების შემდეგაც.

3. სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულოდ ბელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს.

მუხლი 36. სამართლის გამოყენება, როცა მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი

1. თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია:

2. თუ ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება ან მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც არის მიწის ნაკვეთი.

3. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც ხელშეკრულების დადებისას გადამზიდველს აქვს ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელი, თუ ამავე ქვეყანაშია დატვირთვის, გადმოტვირთვის ან გამგზავნის ძირითადი ადგილსამყოფელი. სხვა შემთხვევებში მოქმედებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

4. დაზღვევის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც დასაზღვევი რისკის ძირითადი ნაწილი არსებობს.

მუხლი 37. მოთხოვნის გადასვლა სხვა პირზე

1. ძველ და ახალ კრედიტორებს შორის ვალდებულებების მიმართ მოთხოვნის დათმობისას გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ექვემდებარება მათ შორის დადებული ხელშეკრულება.

2. სამართალი, რომელსაც ექვემდებარება გადაცემული მოთხოვნა, განსაზღვრავს, შეიძლება თუ არა ამ მოთხოვნის გადაცემა, აგრეთვე მოვალის უფლება-მოვალეობებს ძველი და ახალი კრედიტორების მიმართ.

მუხლი 38. სოციალური დაცვის იმპერატიული ნორმები

სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს იმ იმპერატიულ ნორმებს, რომლებიც მიღებულია მომხმარებელთა და მუშა-მოსამსახურეთა დისკრიმინაციისაგან დასაცავად. ეს წესი აგრეთვე გამოიყენება მოძრავი ნივთების მიწოდების, დაფინანსების, შრომის ან მომსახურების ხელშეკრულებების მიმართ, თუ ისინი იმ ქვეყანაში იქნა შეთანხმებული ან დადებული, სადაც მომხმარებლებსა და მუშა-მოსამსახურეებს აქვთ საცხოვრებელი ადგილი და სადაც ასეთი დამცავი ნორმები მოქმედებს.

მუხლი 39. საზიარო უფლებები

მოწილეთა საზიარო უფლებები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს უფლებები არსებობს.

მუხლი 40. დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება

1. სხვისი საქმის შესრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს მოქმედება განხორციელდა.

2. საზღვაო კატასტროფისას დახმარების გაწევიდან წარმოშობილი პრეტენზიების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ალმითაც დაცურავს გემი და რომელსაც ეს დახმარება ესაჭიროება.

3. სხვისი ვალდებულებების დაფარვიდან წარმოშობილი პრეტენზიების მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოიყენებული უნდა იქნეს ამ ვალდებულებების მიმართ.

მუხლი 41. უსაფუძვლო გამდიდრება

1. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება პრეტენზიების წარმომშობ ქმედებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.

2. უცხო ქვეყნის სამართლით დაცული სიყეთის ხელყოფის გზით უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ეს ხელყოფა მოხდა.

3. სხვა შემთხვევებში უსაფუძვლო გამდიდრებასთან დაკავშირებული პრეტენზიები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც გამდიდრების შედეგები დადგა.

მუხლი 42. დელიქტები

1. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება:

ა) დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს;

ბ) იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას ან გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას;

გ) იმ ქვეყნის სამართალს, სადაც სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული სამართლის ნაცვლად გამოიყენება:

ა) იმ ქვეყნის სამართალი, სადაც ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს და დაზარალებულს ზიანის მიყენებისას ჰქონდათ ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

ბ) არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისათვის იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ბაზარზეც ასეთი კონკურენცია გავლენას ახდენს, თუ ეს კონკურენცია არ შემოიფარგლება ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა ინტერესებისათვის სრული ან ნაწილობრივი ზიანის მიყენებით.

3. დაზარალებულს შეუძლია თავისი პრეტენზია წარუდგინოს უშუალოდ პასუხისმგებლობის დამზღვევეს, თუ ამას ითვალისწინებს იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც გამოიყენება ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობის მიმართ, ან იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც დაზღვევის ხელშეკრულება ექვემდებარება.

მუხლი 43. სამართლის არჩევა კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისას

კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების წარმოშობის შემდეგ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ სამართალი, რომელსაც ეს ურთიერთობები დაექვემდებარება. ამ შემთხვევაში მესამე პირთა უფლებები ხელშეუხებელი რჩება.

თავი VII საოჯახო სამართალი

მუხლი 44. ქორწინების პირობები

1. ქორწინების პირობები თითოეული დასაქორწინებელი პირისათვის ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

2. თუ ქორწინების პირობებიდან რომელიმე არ არსებობს და ერთ-ერთი დასაქორწინებელი პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს, შესაძლებელია საქართველოს სამართლის გამოყენება, თუ:

ა) სხვა ქვეყნის სამართალი ქართულ ჩვეულებებთან შედარებით ზღუდავს ქორწინების თავისუფლებას;

ბ) წინა ქორწინება ხელს არ უშლის ხელახალ ქორწინებას;

გ) წინა ქორწინება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით ან საქართველოში ცნობილი გადაწყვეტილებით შეწყვეტილი ან ბათილია;

დ) დასაქორწინებელი პირის ყოფილი მეუღლე გამოცხადებულია გარდაცვლილად.

3. ქორწინების ფორმის საკითხი განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც განხორციელდა ქორწინება. თუ დასაქორწინებელ პირთაგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქე არ არის, ქორწინება საქართველოში შეიძლება განხორციელდეს იმ ქვეყანაში მოქმედი ქორწინების ფორმის შესაბამისად, რომელსაც ეს პირი განეკუთვნება.

მუხლი 45. ქორწინების შედეგები

1. ქორწინების ზოგადი შედეგები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც ორივე მეუღლე ცალ-ცალკე განეკუთვნება ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში განეკუთვნებოდა;

ბ) სადაც ორივე მეუღლეს ცალ-ცალკე აქვს ან ქორწინების უკანასკნელ მომენტში ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) რომელთანაც მეუღლეები ერთობლივად ყველაზე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტი გამოიყენება აგრეთვე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მიმართ, თუ მათ სხვა ქვეყნის სამართალი არ აურჩევიათ. სამართლის არჩევა შესაძლებელია, თუ იგი მიუთითებს იმ ქვეყნის სამართალზე:

ა) რომელსაც ერთ-ერთი მეუღლე განეკუთვნება;

ბ) სადაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) სადაც უძრავი ქონება იმყოფება.

3. ქონებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ლტოლვილებს შეუძლიათ აირჩიონ იმ ქვეყნის სამართალიც, სადაც მათ აქვთ ახალი ერთობლივი ადგილსამყოფელი.

4. სამართლის არჩევა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 46. მესამე პირთა კეთილი ნების დაცვა

თუ მეუღლეების ქონებრივი ურთიერთობები ექვემდებარება უცხო ქვეყნის სამართალს და ერთ-ერთ მეუღლეს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს ან სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში ეწევა, მაშინ მესამე პირთან დადებული გარიგებების მიმართ პრეტენზიები მხედველობაში არ მიიღება, თუ ამ პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მეუღლეთა ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 47. ქორწინების შეწყვეტა

1. ქორწინების შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც გამოიყენება ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ.

2. როდესაც უცხო ქვეყნის სამართლის მიხედვით განქორწინება შეუძლებელია, იგი შეიძლება განხორციელდეს საქართველოს სამართლის შესაბამისად, თუ განქორწინების მსურ-

ველი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო.

მუხლი 48. რჩენის მოვალეობა

1. რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც პირს, რომელსაც რჩენა ესაჭიროება, აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. თუ სარჩენ პირს ამ ქვეყნის სამართლით მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. თუ სარჩენ პირს მარჩენალისაგან სარჩოს მიღება არ შეუძლია არც ერთი ამ სამართლის მიხედვით, გამოიყენება საქართველოს სამართალი.

2. არაპირდაპირი ხაზით ნათესავებს შორის რჩენის მოვალეობის არსებობისას მარჩენალს შეუძლია სარჩენი პირის მიმართ გამოიყენოს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ისინი ერთობლივად განეკუთვნებიან. საერთო მოქალაქეობის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება მარჩენალის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ქვეყნის სამართალი.

3. თუ განქორწინება მოხდა საქართველოში, მაშინ განქორწინებულ მეუღლეთა რჩენის მოვალეობის მიმართ გამოიყენება განქორწინების მიმართ გამოყენებული ქვეყნის სამართალი. ეს წესი გამოიყენება ქორწინების შეწყვეტისა და მეუღლეთა დაშორების სხვა ფორმების მიმართაც.

4. თუ სარჩენი პირი და მარჩენალი საქართველოს მოქალაქეები არიან და ამ უკანასკნელს ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში აქვს, გამოიყენება საქართველოს სამართალი.

5. სამართალი, რომელიც გამოიყენება რჩენის მოვალეობის მიმართ, განსაზღვრავს:

ა) შეუძლია თუ არა, რა მოცულობით და ვისგან შეუძლია სარჩენ პირს სარჩოს მოთხოვნა;

ბ) ვინ არის უფლებამოსილი საალიმენტო საქმის წარმოების წარმართვაზე და რა ვადა გამოიყენება ამ საქმის წარმოებისათვის;

გ) მარჩენალის მიერ სახელმწიფო ორგანოებისათვის გადასახდელი ანაზღაურების ოდენობას.

6. სარჩოს ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სარჩენი პირის მოთხოვნილება და მარჩენალის ეკონომიკური მდგომარეობა, მაშინაც კი, როცა სამართალი, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიყენება, სხვა რამეს განსაზღვრავს.

მუხლი 49. მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები

მშობლებსა და შვილებს შორის არსებული პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, მშობლის მზრუნველობის ჩათვლით, ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ამავე დროს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც ბავშვი განეკუთვნება.

მუხლი 50. ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები

1. ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ბავშვის წარმოშობის დადგენა ერთ-ერთი მშობლის მიხედვით ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც ეს მშობელი განეკუთვნება. თუ დედა დაქორწინებულია, ბავშვის წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს იმ ქვეყნის სამართალითაც, რომელსაც ამ კანონის 45-ე მუხლის თანახმად ბავშვის დაბადებისას ქორწინების ზოგადი შედეგები ეფუძნებოდა. თუ ქორწინება შეწყდა ერთ-ერთი მხედლის გარდაცვალების გამო, ქორწინების შეწყვეტის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

2. თუ მშობლები დაქორწინებულნი არ არიან, მამის ვალდებულებები ფეხმძიმე მეუღლის მიმართ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც დედას აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 51. ბავშვის წარმოშობასთან დაკავშირებული დავა

ბავშვის წარმოშობა შეიძლება სადავო გახდეს იმ ქვეყნის სამართლის მიხედვითაც, სადაც ამ დავის წინაპირობა წარმოიშვა. ბავშვის წარმომავლობა ყველა შემთხვევაში შეიძლება სადავო გახდეს იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ბავშვს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

მუხლი 52. სამართლის გამოყენება შვილად აყვანისას

შვილად აყვანა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც განეკუთვნება მშვილდებული შვილად აყვანის დროს. შვილად აყვანა ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის მიერ ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც ქორწინების ზოგადი შედეგების მიმართ გამოიყენება.

მუხლი 53. თანხმობის პირობები

ბავშვის და მასთან საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში მყოფი პირის მიერ თანხმობის მიცემის საკითხი შვილად აყვანაზე, აგრეთვე მამობის აღიარებასა და სახელის დარქმევაზე დამატებით ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალსაც, რომელსაც ეს ბავშვი განეკუთვნება. თუ ბავშვის ინტერესებისათვის აუცილებელია, ამ ქვეყნის სამართლის ნაცვლად გამოიყენება საქართველოს სამართალი.

მუხლი 54. მეურვეობა და მზრუნველობა

1. მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის სხვა ფორმების წარმოშობა, შინაარსის შეცვლა და შეწყვეტა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელსაც სამეურვეო პირი განეკუთვნება. უცხოელებს ან ლტოლვილებს, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილი საქართველოში აქვთ, შეიძლება დაენიშნოთ მეურვე ან მზრუნველი საქართველოს სამართლის მიხედვით.

2. თუ მეურვეობის ღონისძიების გატარება აუცილებელია, მაგრამ დადგენილი არ არის, ვინ მონაწილეობს მეურვეობაში, ან თუ მონაწილე სხვა ქვეყანაში იმყოფება, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, რომელიც ყველაზე ხელსაყრელია სამეურვეო პირისათვის.

3. მეურვეობის, მზრუნველობის ან მოვლის დროებითი ღონისძიებები ექვემდებარება მეურვეობის დამწესებელი ქვეყნის სამართალს.

თავი VIII

სამემკვიდრეო სამართალი

მუხლი 55. მემკვიდრეობითი ურთიერთობები

მემკვიდრეობითი ურთიერთობები წესრიგდება იმ ქვეყნის სამართალით, რომელსაც მემკვიდრეობელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა. მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ გამოიყენება იმ ქვეყნის სამართალი, სადაც მას ჰქონდა უკანასკნელი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. ასეთის არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სამართალი.

მუხლი 56. ანდერძის ფორმა

ანდერძი ითვლება ფორმის დაცვით შედგენილად, თუ იგი შეესაბამება იმ ქვეყნის სამართალს:

ა) რომელსაც მამკვიდრებელი გარდაცვალებისას განეკუთვნებოდა;

ბ) სადაც მამკვიდრებელს გარდაცვალებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი;

გ) სადაც იმყოფება უძრავი ქონება, რომელსაც ეხება ანდერძი.

თავი IX საპროცესო ნორმები

მუხლი 57. ძირითადი პრინციპი

უცხო ქვეყნის მოქალაქეები და იურიდიული პირები, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირები სამოქალაქო პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი გარანტიებით, როგორითაც საქართველოს მოქალაქეები და იურიდიული პირები.

მუხლი 58. სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემა

1. თუ მოსარჩელე უცხო ქვეყნის მოქალაქე, იურიდიული პირი ან მოქალაქეობის არმქონე პირია და საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს, მას მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს დადგენილებით შეიძლება დაეკისროს დადგენილ ვადაში სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემა.

2. გარანტია საჭირო არ არის, თუ:

ა) ქვეყანა, რომლის მოქალაქეცაა მოსარჩელე, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან გარანტიებს არ ითხოვს;

ბ) მოპასუხეს არ შეუძლია დაასაბუთოს მოთხოვნა გარანტიის მიცემის თაობაზე.

3. გარანტიის მოთხოვნის თაობაზე მოპასუხეს შუამდგომლობა შეაქვეს საქმის ზეპირი განხილვისას, რომელზეც მას განემარტა ასეთი შუამდგომლობის უფლების შესახებ.

4. გადაწყვეტილება გარანტიის მიცემის თაობაზე მიღებული უნდა იქნეს განჩინებით. შუამდგომლობის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში საქმე განიხილება მხოლოდ გარანტიების ჩაბარების შემდეგ.

მუხლი 59. დიპლომატიური მისიის წევრების იმუნიტეტი

საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები და მათი ოჯახების წევრები, აგრეთვე მისიების მომსახურე პერსონალი თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან “დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ” ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მომვლინებული ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის.

მუხლი 60. საკონსულო წარმომადგენლობის წევრების იმუნიტეტი

საქართველოში მოქმედი საკონსულო წარმომადგენლობების თანამდებობის პირები და საკონსულოს მოსამსახურეები თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან “საკონსულო ურთიერთობათა შესახებ” ვენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენციის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მომვლინებული ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის.

მუხლი 61. ექსტერიტორიალობის სხვა შემთხვევები

1. საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება საქართველოში სამსახურებრივი მოწვევით მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებზე და მათ თანმხლებ პირებზე.

2. საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

მუხლი 62. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისთვის

1. თუ საქმის გარემოებების გასარკვევად, ფაქტების დასადგენად, დოკუმენტების გადაცემის ან სხვა მიზნით აუცილებელია სასამართლო მოქმედებების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაძლებელია აღიძრას შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ.

2. თუ მოქმედება ხორციელდება საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულო წარმომადგენლობის მეშვეობით, შუამდგომლობა უნდა აღიძრას მათ მიმართ.

3. შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისთვის დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს მისი შესრულებისათვის საჭირო მონაცემებს.

მუხლი 63. სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობის დაკმაყოფილება

1. საქართველოს სასამართლოები აკმაყოფილებენ უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობებს სამართლებრივი დახმარების შესახებ.

2. უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სა-

მართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. თუ შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, მისი დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნება იმაზე, გაიღებს თუ არა დაინტერესებული მხარე შესაბამის ავანსს ქართულ ენაზე თარგმანის შესასრულებლად და დასამოწმებლად.

4. შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით, საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

მუხლი 64. უარი სამართლებრივი დახმარების შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე

სამართლებრივი დახმარება არ გაიწევა, თუ:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს;

ბ) შუამდგომლობით გათვალისწინებული მოქმედება არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას.

მუხლი 65. დოკუმენტების სხვა ქვეყნისათვის გადაცემა

1. დოკუმენტების სხვა ქვეყნისათვის გადაცემა ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ნორმების შესაბამისად.

2. დოკუმენტების გადაცემა დამოწმებული უნდა იქნეს შუამდგომლობის მიმღები დაწესებულების მიერ.

3. თუ დოკუმენტების გადაცემა სამართლებრივი დახმარების ნორმების ფარგლებში ვერ ხერხდება, იგი შეიძლება განხორციელდეს დაზღვეული წერილით. საერთაშორისო საფოსტო სამართლის შესაბამისად გადაცემა შესრულებულად ითვლება დოკუმენტის ჩაბარების მომენტიდან.

მუხლი 66. დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა

1. თუ ერთ-ერთ მხარეს, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს და არ ჰყავს საქართველოში მცხოვრები წარმომადგენელი, მას შეიძლება სასამართლოს განჩინებით დაევალოს განსაზღვრულ ვადაში დანიშნოს საქართველოში მცხოვრები, დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირი.

2. თუ მხარე ამ ვადის განმავლობაში არ დანიშნავს დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილ პირს, დოკუმენტების ყველა შემდგომი გადაცემა დაზღვეული წერილის მეშვეობით განხორციელებულად ჩაითვლება მისი ფოსტისათვის გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ადრესატისთვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განჩინებით მხარეს უნდა განემარტოს ის შედეგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ამავე მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენების შემთხვევაში.

მუხლი 67. უცხო ქვეყნის დოკუმენტების საქართველოსათვის გადაცემა

1. უცხო ქვეყნის დოკუმენტების საქართველოსათვის გადაცემა ხორციელდება ამ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი დახმარების ნორმების შესაბამისად.

2. თუ გადასაცემი დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, ადრესატს შეუძლია უარი თქვას დოკუმენტის მიღებაზე. ამ შემთხვევაში დოკუმენტი უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობის აღმძვრელ ორგანოს დაბრუნების საფუძვლის მითითებით. ადრესატს უნდა განემარტოს, რომ მას უფლება აქვს უარი თქვას დოკუმენტის მიღებაზე.

მუხლი 68. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა

1. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

2. გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;

ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;

გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში;

დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;

ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს;

ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი;

ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, თუ იგი ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა.

4. თუ სამართალწარმოება მიმდინარეობს ამ მუხლის მე-2 პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ.

5. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მუხლი 69. გადაწყვეტილება ქორწინების საქმეებზე

1. გადაწყვეტილების ცნობა საჭირო არ არის, თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მეუღლეები იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, რომლის დაწესებულებამაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

მუხლი 70. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება

1. სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

2. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

3. შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

მუხლი 71. გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა

1. შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

2. შუამდგომლობის განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს, დაცულია თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

3. საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს.

4. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს სასამართლო იღებს დადგენილების ფორმით.

მუხლი 72. სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და საჯარო ხასიათის დოკუმენტები

1. სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგება და უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც ექვემდებარება აღსრულებას, შუამდგომლობის საფუძველზე ამ კანონის 70-ე და 71-ე მუხლების შესაბამისად აღსრულდება.

2. შუამდგომლობა შეიძლება დაკმაყოფილებული არ იქნეს, თუ აღსრულება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

მუხლი 73. გასაჩივრება

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამ თავის დებულებათა შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები (განჩინებები და დადგენილებები) ექვემდებარება გასაჩივრებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი X დასკვნითი დებულება

მუხლი 74. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 1998 წლის 1 ოქტომბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,

1998 წლის 29 აპრილი.

საქართველოს კანონი
კერძო არბიტრაჟის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. ამ კანონში ჩამოყალიბებული წესები ვრცელდება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაზე.

2. ეროვნული საარბიტრაჟო წარმოება ისეთი წარმოებაა, რომლის მონაწილე მხარეებს საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი საქართველოში აქვთ.

3. საერთაშორისო საარბიტრაჟი წარმოება ისეთი წარმოებაა, რომლის მონაწილე ერთ-ერთ მხარეს საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს.

მუხლი 2. ამ კანონის გამოყენება საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების დროს

1. ამ კანონში ჩამოყალიბებული წესები გამოიყენება საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც საარბიტრაჟო წარმოების ადგილი საქართველოში მდებარეობს.

2. მე-9, მე-10 და 28-ე მუხლების დებულებები მაშინ გამოიყენება, თუ საარბიტრაჟო წარმოების ადგილი უცხოეთშია ან ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული.

3. სანამ საარბიტრაჟო წარმოების ადგილი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, მე-12, მე-14 და მე-15 მუხლებში აღნიშნული სასამართლოს ფუნქციები შედის საქართველოს სასამართლოების კომპეტენციაში, თუ მოსარჩელე ან მოპასუხე ცხოვრობს, ადგილსამყოფელი აქვს, ანდა ჩვეულებრივ იმყოფება საქართველოში.

მუხლი 3. ცნებების განსაზღვრება და განმარტების წესები ამ კანონის თვალსაზრისით

1. „საარბიტრაჟო წარმოება (განხილვა)“ ნიშნავს საარბიტრაჟო იურისდიქციის ყოველ წარმოებას, მიუხედავად იმისა ტარდება თუ არა ის მუდმივი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

2. „საარბიტრაჟო სასამართლო“ ნიშნავს ერთპიროვნულ არბიტრს, ან არბიტრთა კოლეგიას.

3. „სასამართლო“ ნიშნავს სახელმწიფოს სასამართლო სისტემის ორგანოს ან დაწესებულებას.

4. თუ ამ კანონის რომელიმე დებულება 29-ე მუხლის გამოკლებით, შესაძლებლობას აძლევს მხარეებს მიიღონ გადაწყვეტილება გარკვეულ საკითხზე, მხარეებს შეუძლიათ მიანდონ ასეთი გადაწყვეტილების მიღება რომელიმე მესამე პირს, დაწესებულების ჩათვლით.

5. თუ ამ კანონის რომელიმე დებულება მიუთითებს მხარეთა შეთანხმებაზე ან იმაზე, რომ მათ შეუძლიათ შეთანხმდნენ, ან რომელიმე სხვა ფორმით მითითებულია მხარეთა შეთანხმებაზე — ასეთი შეთანხმება მოიცავს ნებისმიერ საარბიტრაჟო წესს, რომელიც ამ შეთანხმებაშია მითითებული.

6. როდესაც ამ კანონის რომელიმე დებულება, გარდა 26-ე მუხლის პირველი აბზაცისა და 33-ე მუხლის მეორე აბზაცისა, შეიცავს მითითებას სარჩელზე, იგი ეხება აგრეთვე

შეგებებულ სარჩელს, ხოლო როდესაც არის მითითება შესაგებებელზე, მხედველობაშია აგრეთვე შესაგებელი ასეთ შეგებებულ სარჩელზე.

მუხლი 4. წერილობითი შეტყობინების მიღება

1. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან:

ა) ყოველი წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა ადრესატს პირადად ან კომერციულ დაწესებულებას მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ან საფოსტო მისამართზე. თუ, მიუხედავად ცნობების გონივრული შეგროვებისა, ვერცერთი ამ ადგილთაგანის დადგენა ვერ მოხერხდა, მაშინ წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება თუ იგი დაზღვეული წერილის ან სხვ რაიმე საშუალებით, რომლებიც ამ შეტყობინების მიტანის მცდელობის რეგისტრაციას ითვალისწინებს, გადაეგზავნება ადრესატ კომერციულ საწარმოს, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის თუ საფოსტო მისამართის ბოლო ცნობილი ადგილმდებარეობის მიხედვით.

ბ) ამ მუხლის დებულება არ უნდა გამოიყენონ შეტყობინების მიმართ, რომელიც გაკეთებულია სასამართლოში საქმის წარმოების დროს.

მუხლი 5. შეპასუხების უფლებაზე უარის თქმა

თუ ამ კანონის რომელიმე დებულება, რომლიდანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების რიმელიმე მოთხოვნა არ იყო დაცული, და თუ მიუხედავად ამისა მხარე აგრძელებს მონაწილეობას საარბიტრაჟო განხილვაში ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ანდა, თუ ამისათვის გათვალისწინებულია ვადა, ამ ვადის განმავლობაში არ წამოაყენებს თავის შესაგებელს, მაშინ ითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

მუხლი 6. სასამართლოს ჩარევის ფარგლები

სასამართლო ვერ ჩაერევა იმ საკითხებში, რომლებიც ამ კანონითაა მოწესრიგებული, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლებიც ამ კანონითაა გათვალისწინებული.

მუხლი 7. სასამართლო განსჯადობა

სახელმწიფო სასამართლოსათვის ამ კანონში ჩამოყალიბებული დავალებები და ფუნქციები შედის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობაში.

თავი II

საარბიტრაჟო შეთანხმება

მუხლი 8. საარბიტრაჟო შეთანხმების განსაზღვრება და ფორმა

1. „საარბიტრაჟო შეთანხმება“ – ესაა მხარეთა შეთანხმება ყველა ან ზოგიერთი ისეთი დავის არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ, რომელიც წარმოიშვა ან მომავალში წარმოიშვება მათ შორის რომელიმე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით დამოუკიდებლად იმისა ხელშეკრულებითი ხასიათისაა ეს ურთიერთობა თუ არა. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის (საარბიტრაჟო კლაუზულა), ან დამოუკიდებელი შეთანხმების ფორმით (საარბიტრაჟო შეთანხმება).

2. საარბიტრაჟო შეთანხმება იდება წერილობითი ფორმით. შეთანხმება წერილობითი ფორმით დადებულად ითვლება, თუ იგი ჩამოყალიბებულია მხარეთა მიერ ხელმოწერილ დოკუმენტში, ან დადებულია წერილების მიმოწერის, ტელეგრაფის, ტელეგრაფის ან ელექტროკავშირების სხვა საშუალებათა გამოყენებით შეტყობინებათა გზით, რომლებიც უზრუნველყოფენ ასეთი შეთანხმების ფიქსაციას, ან კიდევ, სასარჩელო

განცხადებისა და ამ სარჩელზე შეპასუხების გაცვლის გზით, რომლებშიაც ერთ-ერთი მხარე ადასტურებს შეთანხმების არსებობას, ხოლო მეორე მხარე ამას არ უარყოფს. ხელშეკრულებაში ისეთ დოკუმენტზე მითითება, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო დათქმას (საარბიტრაჟო კლაუზულა), წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმებას იმ პირობით, თუ ხელშეკრულება წერილობითი ფორმითაა დადებული და ასეთი მითითება იმდაგვარია, რომ ის ამ დათქმას ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად აქცევს.

3. საარბიტრაჟო შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს ყოველგვარი ქონებრივ-სამართლებრივი მოთხოვნა. საარბიტრაჟო შეთანხმება არაქონებრივ პრეტენზიებზე ნებადართულია თუ მხარეები უფლებამოსილნი არიან საქმე მორიგებით დაამთავრონ.

4. ამ თავში ჩამოყალიბებული დებულებები ვერ გააქარწყლებენ სხვა წესებს, რომელთა მიხედვითაც სადავო საკითხები არ შეიძლება გადაეცეს საარბიტრაჟო სასამართლოს ანდა ისინი შეიძლება გადაეცეს მას მხოლოდ გარკვეულ პირობებში.

5. საარბიტრაჟო შეთანხმებებს, რომლებშიც მონაწილეობს ერთ-ერთი მომხმარებელი, უნდა შეიცავდეს განსაკუთრებული დოკუმენტი. ეს დოკუმენტი არ შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ ისეთ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება საარბიტრაჟო სასამართლო წარმოებას. შეთანხმების ფორმის ხარვეზები შევსებულად ჩაითვლება თუ სასარჩელო განცხადებისა და ამ განცხადების შეპასუხების (შესაგებლის) ურთიერთგაცვლასთან დაკავშირებით დასტურდება საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა და სარჩელზე მოცემულ შესაგებელში (შეპასუხებაში) ის სადაოდ არ არის გამხდარი. „მომხმარებელი“ — ესაა ფიზიკური პირი, რომელიც სადავო გარიგებაში იმ მიზნით მოქმედებს, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს არც მის სამსახურებრივ და არც მის დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის სფეროს.

6. საარბიტრაჟო შეთანხმებები საცხოვრებელი ფართის ქირავნობის პრეტენზიებზე ბათილია.

მუხლი 9. საარბიტრაჟო შეთანხმება და სარჩელის აღძვრა სასამართლოში

1. იმ სასამართლომ, რომელმაც მიიღო სარჩელი ისეთ საკითხზე, რაც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, უნდა გაავზავნოს მხარეები არბიტრაჟოში, თუ რომელიმე მხარე ითხოვს ამას არაუგვიანეს სადავო საკითხებზე მისი პირველი განცხადების წარმოდგენისა, თუ მისი აზრით ეს შეთანხმება არაა ბათილი, არ დაუკარგავს ძალა და მისი შესრულება შესაძლებელია.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს ან გაგრძელდეს, ხოლო არბიტრაჟის გადაწყვეტილება გამოტანილი იქნეს, სანამ დავა განსჯადობაზე ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი სასამართლოში.

მუხლი 10. საარბიტრაჟო შეთანხმება და სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება

მხარეთა მიმართვა სასამართლოსადმი თხოვნით რათა მან გაატაროს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, როგორც არბიტრაჟოში საქმის განხილვის დაწყებამდე, ისე განხილვის პროცესში. სასამართლოს მიერ ასეთი ღონისძიებების გატარება არაა საარბიტრაჟო შეთანხმებისათვის შეუთავსებელი.

თავი III

საარბიტრაჟო სასამართლოს უმხადგენლობა

მუხლი 11. არბიტრთა რაოდენობა

1. მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ არბიტრთა რაოდენობა.

2. თუ მხარეები თვითონ არ განსაზღვრავენ ამ რაოდენობას, მაშინ დაინიშნება სამი არბიტრი.

მუხლი 12. არბიტრების დანიშვნა

1. არც ერთ პირს არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება გამოვიდეს არბიტრად მისი მოქალაქეობის მომიზეზების გამო, თუ მხარეებს შორის სხვა რაიმე შეთანხმება არ არსებობს ამის თაობაზე.

2. მხარეებს შეუძლიათ თავისი შეხედულებით შეთანხმდნენ არბიტრის ან არბიტრების დანიშვნის პროცედურაზე იმ პირობით, თუ დაცული იქნება ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

3. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს:

სამი არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს, ხოლო ამ გზით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს მესამე არბიტრს. თუ ერთ-ერთმა მხარემ არ დანიშნა არბიტრი 30 დღის განმავლობაში მეორე მხარისაგან ასეთი დანიშვნის თაობაზე გამოგზავნილი თხოვნის მიღების დღიდან, ან, თუ, ორმა არბიტრმა თავიანთი დანიშვნის დღიდან 30 დღის განმავლობაში არ დანიშნა მესამე არბიტრი, დანიშვნას ახდენს მე-7 მუხლში მითითებული სასამართლო ნებისმიერი მხარის თხოვნით.

4. ერთი არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდნენ არბიტრის შერჩევაზე, არბიტრს ნიშნავს მე-7 მუხლში მითითებული სასამართლო ნებისმიერი მხარის თხოვნით.

5. თუ არბიტრთა დანიშვნის შესახებ მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის დროს,

ა) ერთ-ერთი მხრე არ იცავს ასეთ პროცედურას, ან

ბ) მხარეები ან ორი არბიტრი ვერ თანხმდებიან ამ პროცედურის შესაბამისად, ან

გ) მესამე პირი, დაწესებულების ჩათვლით, არ ასრულებს ამა თუ იმ ფუნქციას, რომელიც ამ პროცედურის შესაბამისად მას აქვს დაკისრებული, მაშინ:

ნებისმიერ მხარეს შეუძლია სთხოვოს მე-7 მუხლში დასახელებულ სასამართლოს რათა მან გაატაროს აუცილებელი ღონისძიებები, თუ არბიტრების დანიშვნის პროცედურის შესახებ შეთანხმება არ ითვალისწინებს დანიშვნის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებს.

6. გადაწყვეტილება, მიღებული ყოველ საკითხზე, ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად მე-7 მუხლში მითითებული სასამართლოს მიერ, არ შეიძლება რაიმე წესით გასაჩივრდეს. არბიტრის დანიშვნის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა იქონიოს ყოველგვარი მოთხოვნა, რომელიც წაყენება არბიტრს მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, აგრეთვე მოსაზრებები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი არბიტრის დანიშვნა, ზოლო ერთპიროვნული არბიტრის, თუ მესამე არბიტრის დანიშვნის დროს მხედველობაში იღებს აგრეთვე სხვა მოქალაქეობის მქონე არბიტრის დანიშვნის მიზანშეწონილობას, ვიდრე ისეთი არბიტრისა, რომელიც მხარეთა მოქალაქეობისაა.

მუხლი 13. არბიტრის აცილების საფუძველი

1. ამა თუ იმ პირისათვის არბიტრის დანიშვნის შესახებ მიმართვის შემთხვევაში ეს პირი მოვალეა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებმაც შეიძლება საეჭვო გახადოს მისი მიუკერძოებლობა, ან დამოუკიდებლობა.

ა) არბიტრმა, მისი დანიშვნის მომენტიდან და არბიტრაჟში საქმის განხილვის მთელი დროის მანძილზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მხარეებს ასეთი გარემოების შესახებ, თუ მან ამ გარემოების შესახებ მანამდე არ აცნობა მათ.

არბიტრის აცილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი მისი მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის შესახებ, ან თუ მას არ გააჩნია კვალიფიკაცია, რაც განპირობებულია მხარეთა შეთანხმებით. მხა-

რეს შეუძლია განუცხადოს აცილება არბიტრს, რომელიც მან დანიშნა ან, რომლის დანიშვნაში მან მიიღო მონაწილეობა მხოლოდ იმ მიზეზებიდან გამომდინარე, რომლებიც ცნობილი გახდა მისთვის ამ არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

მუხლი 14. აცილების პროცედურა

1. მხარეებს შეუძლიათ ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, თვითონ თავიანთი შეხედულებით შეათანხმონ არბიტრის აცილების პროცედურა.

2. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მხარეს, რომელმაც განიზრახა აცილება მისცეს არბიტრს, 15 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა მისთვის საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნის შესახებ, ან რომელიმე იმ გარემოების შესახებ, რომელიც მითითებულია მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში, წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს საარბიტრაჟო სასამართლოს აცილების მოტივი. თუ არბიტრი, რომელსაც განუცხადეს აცილება, თვითონ არ ამბობს უარს არბიტრობაზე, ან თუ მეორე მხარე არაა თანახმა აცილებაზე, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს საარბიტრაჟო სასამართლო.

3. თუ აცილების შესახებ განცხადება მხარეთა მიერ შეთანხმებული პროცედურის ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენებით არ იქნება დაკმაყოფილებული, მხარეს, რომელმაც განაცხადა აცილება, შეუძლია 30 დღის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მიიღო შეტყობინება აცილების უარყოფის შესახებ, სთხოვოს მე-7 მუხლში მითითებულ სასამართლოს რათა მან მიიღოს გადაწყვეტილება აცილების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება. სანამ მხარის ასეთი თხოვნა გადაწყდებოდეს, საარბიტრაჟო სასამართლოს, იმ არბიტრის მონაწილეობით, რომელსაც განუცხადეს აცილება, შეუძლია განაგრძოს საარბიტრაჟო განხილვა და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

მუხლი 15. უმოქმედობა ან მოქმედების შეუძლებლობა

1. იმ შემთხვევაში, როდესაც არბიტრს იურიდიულად ან ფაქტობრივად არ შეუძლია შეასრულოს ფუნქცია, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო შეუსაბამოდ დიდხანს იჩენს უმოქმედობას, მაშინ მისი მანდატი წყვეტს მოქმედებას, თუ თვითონ არბიტრი ამბობს უარს არბიტრობაზე, ან თუ მხარეები შეთანხმდებიან ასეთი შეწყვეტის თაობაზე. მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში მხარეს შეუძლია მიმართოს მე-7 მუხლში მითითებულ სასამართლოს თხოვნით მანდატის მოქმედების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ამ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლება.

2. თუ ამ მუხლის, აგრეთვე მე-14 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საფუძვლებით არბიტრი თვითონ ამბობს უარს არბიტრობაზე, ან თუ მხარე ამბობს უარს მისი მანდატის მოქმედების შეწყვეტაზე, ეს არ გულისხმობს ამ მუხლში და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საფუძვლების აღიარებას.

მუხლი 16. ახალი არბიტრის დანიშვნა

თუ არბიტრის მანდატი წყვეტს თავის მოქმედებას მე-14 და მე-15 მუხლების საფუძველზე, ან თუ არბიტრი თვითონ ამბობს უარს არბიტრობაზე, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ან თუ მანდატი გაუქმებულია მხარეთა შეთანხმებით, ან თუ არბიტრის მანდატის მოქმედება შეწყდა ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, ახალი არბიტრი დანიშნება იმ წესების დაცვით, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნენ შემცველი არბიტრის დანიშვნის დროს.

საარბიტრაჟო სასამართლოს კომპეტენცია

მუხლი 17. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლება გამოიტანოს დადგენილება თავისი კომპეტენციის თაობაზე

1. საარბიტრაჟო სასამართლოს თვითონ შეუძლია გამოიტანოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, მათ შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის წინააღმდეგ წამოყენებული ყოველგვარი მოსაზრებების მიმართაც. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც შეთანხმების ნაწილია, უნდა განიხილებოდეს როგორც შეთანხმება, რომელიც არაა დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებისაგან. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანა, არ გამოიწვევს კანონის ძალით საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

2. განცხადება იმის თაობაზე, რომ საარბიტრაჟო სასამართლოს არ გააჩნია კომპეტენცია, შეიძლება გაკეთდეს არა უგვიანეს სარჩელზე შეპასუხების (შესაგებლის) წარდგენისა. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან მისი მონაწილეობა არბიტრის დანიშვნაში არ ართმევს ამ მხარეს უფლებას გააკეთოს ასეთი განცხადება. განცხადება იმის შესახებ, რომ საარბიტრაჟო სასამართლო ამეტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებს, უნდა გაკეთდეს მაშინვე, როგორც კი ეს საკითხი, რომელიც მხარის აზრით სცილდება ამ ფარგლებს, დაყენებული იქნება საარბიტრაჟო განხილვის მსვლელობის დროს. უფრო გვიან გაკეთებული განცხადება საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მიიღოს, თუ ჩათვლის რომ დაგვიანება გამართლებული იყო.

3. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დადგენილება ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული განცხადების

თაობაზე ან როგორც წინასწარი ხასიათის საკითხის მიმართ, ან არსებითად დავის არსის მიმართ გადაწყვეტილებაში. თუ საარბიტრაჟო სასამართლო დაადგენს როგორც წინასწარი ხასიათის საკითხის მიმართ, რომ მას გააჩნია კომპეტენცია, ყოველ მხარეს შეუძლია ასეთი დადგენილების შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ ოცდაათი დღის განმავლობაში სთხოვოს მე-7 მუხლში მითითებულ სასამართლოს მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე. ასეთი გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს. სანამ ასეთი თხოვნის განხილვა-გადაწყვეტა მოხდებოდეს საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

მუხლი 18. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღების შესახებ

თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მხარის თხოვნით გამოსცეს განკარგულება ამა თუ იმ მხარის მიერ დავის საგნის მიმართ უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებების გატარების შესახებ, რომელიც მისი აზრით აუცილებელია. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს მხარისაგან წარმოადგინოს ასეთი ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით შესაბამისი უზრუნველყოფა.

თაზი V

საარბიტრაჟო განხილვის წარმართვა

მუხლი 19. თანასწორი დამოკიდებულება მხარეთა მიმართ

მხარეებს თანასწორად უნდა მოეპყრან. თითოეულ მხარეს უნდა მიეცეს თავისი პოზიციის გადმოცემის სრული შესაძლებლობა.

მუხლი 20. პროცედურული წესების განსაზღვრა

1. ამ კანონის დებულებათა დაცვის პირობით მხარეებს შეუძლიათ თავისი შეხედულებით შეთანხმდნენ და განსაზღვრონ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცედურა.

2. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია, ამ კანონის დებულებათა დაცვით, წარმართოს საარბიტრაჟო განხილვა ისე, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ. უფლებამოსილებანი, რომლებიც საარბიტრაჟო სასამართლოს გადაეცა, მოიცავს ისეთ უფლებამოსილებებსაც, როგორიცაა ყოველგვარი მტკიცებულებების დასაშვებობის, განკუთვანდობისა და მნიშვნელობის განსაზღვრა.

მუხლი 21. საარბიტრაჟო სასამართლოს განხილვის ადგილი

1. მხარეებს შეუძლიათ თავისი შეხედულებით შეთანხმდნენ საარბიტრაჟო სასამართლო განხილვის ადგილის შესახებ. თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, განხილვის ადგილს შეარჩევს თვით საარბიტრაჟო სასამართლო საქმის გარემოებათა მიხედვით, იგი მხედველობაში იღებს, აგრეთვე, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება შერჩეულია ადგილი მხარეებისათვის.

2. მიუხედავად ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოყალიბებული დებულებისა, საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, შეიკრიბონ ნებისმიერ ადგილზე, რომელიც მას მიაჩნია უფრო მოხერხებულად მის წევრებს შორის კონსულტაციების ჩატარებისათვის, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსმენისათვის, საქონლის, სხვა ქონების თუ დოკუმენტების დათვალიერებისათვის.

მუხლი 22. საქმის განხილვის დაწყება საარბიტრაჟო სასამართლოში

თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვა კონკრეტული დავის შესახებ დაიწყება იმ დღეს, როცა მოპასუხემ მიიღო დავის არბიტრაჟზე გადაცემის შესახებ თხოვნა.

მუხლი 23. ენა

1. ეროვნული საარბიტრაჟო წარმოება, რომელშიც მხოლოდ ქართული მხარეები მონაწილეობენ, თუ ისინი სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი.

2. საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების დროს, რომელშიც მხარეებად სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები გვევლინებიან, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ენის შესახებ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს საარბიტრაჟო წარმოების დროს, თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, მაშინ საარბიტრაჟო წარმოების ენას განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლო. ასეთი შეთანხმება ან არბიტრაჟის გადაწყვეტილება, თუ სხვა რამ არაა დათქმული, ეხება აგრეთვე მხარეთა ნებისმიერ წერილობით განცხადებას, არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, დადგენილებას, თუ საარბიტრაჟო სასამართლოს ყოველგვარ სხვა ცნობას.

3. საარბიტრაჟო სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას თან ახლდეს თარგმანი იმ ენაზე ან ენებზე, რომლებზეც შეთანხმდნენ მხარეები, ან რომელიც განსაზღვრულია საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ.

მუხლი 24. სასარჩელო განცხადება და სარჩელზე შესაგებელი

1. მხარეთა მიერ შეთანხმებულ ან საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ

გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ მის სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ უნდა განაცხადოს თავისი შესაგებელი ამ გარემოებების გამო, თუ თვითონ მხარეები არ შეთანხმებულან სხვა რამეზე მათი განცხადების რეკვიზიტების შესახებ. მხარეებს შეუძლიათ თავიანთ განცხადებასთან ერთად წარმოადგინონ ყველა დოკუმენტი, რომლებიც მათი აზრით განეკუთვნებიან საქმეს ან შეუძლიათ მიუთითონ დოკუმენტებზე ან სხვა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომში წარმოადგენენ.

2. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, საარბიტრაჟო განხილვის დროს ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეცვალოს ან შეავსოს სასარჩელო მოთხოვნები და შესაგებელი, ოღონდ იმ პირობით თუ საარბიტრაჟო სასამართლომ არ ცნო მიზანშეუწონლად ასეთი შეცვლის ნება დართოს დაშვებული გაჭიანურების გამო.

მუხლი 25. საქმის მოსმენა და წერილობითი განხილვა

1. მხარეთა ყოველგვარი სხვანაირი შეთანხმების დაცვის პირობით, საარბიტრაჟო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, ჩაატაროს თუ არა საქმის ზეპირი მოსმენა მტკიცებულებათა წარმოდგენისათვის ან ზეპირი პაექრობისათვის, თუ ჩაატაროს საქმის განხილვა დოკუმენტებისა და სხვა მასალების მიხედვით. მაგრამ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ არ ჩაატარონ ზეპირი მოსმენა, საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა ჩაატაროს ასეთი მოსმენა საქმის განხილვის შესაბამის სტადიაზე, თუ ამას მოითხოვს რომელიმე მხარე.

2. მხარეებს დროულად უნდა გაეგზავნოს უწყება ყოველგვარი მოსმენისა და საარბიტრაჟო სასამართლოს ყოველი სხდომის შესახებ, რომელიც ტარდება საქონლის, სხვა ქონების თუ დოკუმენტების დათვალიერების მიზნით.

3. ყველა განცხადება, დოკუმენტი თუ სხვა სახის ინფორმაცია, რომლებიც წარედგინება საარბიტრაჟო სასამართლოს ერთ-ერთი მხარის მიერ, უნდა გადაეცეს მეორე მხარეს. მხარეებს უნდა წარედგინოს აგრეთვე ექსპერტების ყოველგვარი დასკვნა, სხვა სახის მტკიცებულებითი დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება საფუძველად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო სასამართლომ.

მუხლი 26. დოკუმენტების წარმოდგენლობა ან მხარეთა გამოუცხადებლობა

თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ შემთხვევაში, როდესაც საპატიო მიზეზის მითითების გარეშე:

ა) მოსარჩელე არ წარმოადგენს თავის სასარჩელო განცხადებას 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო სასამართლო წყვეტს საქმის განხილვას;

ბ) მოპასუხე არ წარმოადგენს თავის შესაგებელს სარჩელზე 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო სასამართლო განაგრძობს საქმის განხილვას და არ მიიჩნევს ასეთი შესაგებლის წარმოდგენლობას მოსარჩლის მიერ მითითებულ გარემოებათა აღიარებად;

გ) ესა თუ ის მხარე არ ცხადდება საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის მოსმენაზე არ წარმოადგენს დოკუმენტურ მტკიცებულებებს, საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

მუხლი 27. საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი

1. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, საარბიტრაჟო სასამართლოს:

ა) შეუძლის დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი, რათა მათ წარუდგინონ თავიანთი მოხსენება კონკრეტულ საკითხებზე, რომელთა წრეს განსაზღვრავს საარბიტრაჟო სასამართლო;

ბ) შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს წარუდგინონ ექსპერტს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ინფორმაცია, გადასცენ ექსპერტს დათვალიერებისათვის ან მისცენ მას შესაძლებლობა დაათვალიეროს ყოველგვარი დოკუმენტი, საქონელი ან სხვა ქონება, რომლებიც განეკუთვნებიან საქმეს;

გ) თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან ექსპერტმა თუ ამას მხარე მოითხოვს ან, თუ საარბიტრაჟო სასამართლო საჭიროს თვლის, თავისი ზეპირი ან წერილობითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ მონაწილეობა უნდა მიიღოს საქმის განხილვაში. მხარეებს უფლება აქვთ მისცენ შეკითხვები ექსპერტს და მოიწვიონ მოწმე-ექსპერტები სადაო საკითხებზე ჩვენების მიცემის მიზნით.

მუხლი 28. სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მიღებასა და შეგროვებაში

საარბიტრაჟო სასამართლოს ანდა მხარეს საარბიტრაჟო სასამართლოს თანხმობით შეუძლია მიმართოს საქართველოს კომპეტენტურ სასამართლოს მტკიცებულებათა მიღებისა და შეგროვების საქმეში დახმარების აღმოჩენისათვის. სასამართლოს შეუძლია შეასრულოს ეს თხოვნა თავისი კომპეტენციისა და მტკიცებულებათა შეგროვებისათვის მისთვის დადგენილი წესების დაცვით.

თაზი VI

არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანა და საქმის ბანხილვის დამთავრება

მუხლი 29. ნორმები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნან დავის არსის მიმართ

1. საარბიტრაჟო სასამართლო წყვეტს დაეას სამართლის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც აირჩია მხარეებმა დავის არსებითად გადაწყვეტის მიზნით გამოსაყენებლად. თუ სხვა რამ განზრახვა არაა გამოხატული, რომელიმე სახელმწიფოს სამართალზე ან სამართლის სისტემაზე მითითება უნდა გავიგოთ როგორც ამ სახელმწიფოს უშუალოდ მატერიალურ სამართალზე და არა მის საკოლიზიო ნორმებზე მითითება.

2. მხარეთა მითითების უქონლობის შემთხვევაში საარბიტრაჟო სასამართლო იყენებს საკოლიზიო ნორმების შესაბამისად განსაზღვრულ სამართალს, რომელიც მისი აზრით უნდა იქნეს გამოყენებული.

3. საარბიტრაჟო სასამართლო იღებს თავის გადაწყვეტილებას მიზანშეწონილობის თუ „მეგობრული შუამავლის“ მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეებმა მისცეს მას ასეთი უფლებამოსილება.

4. ყველა შემთხვევაში არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად და იმ სავაჭრო ჩვეულების გათვალისწინებით, რომლებიც ასეთი გარიგების მიმართ მოქმედებენ.

მუხლი 30. გადაწყვეტილების გამოტანა არბიტრთა
კოლეგიის მიერ

არბიტრაჟში ერთზე მეტი არბიტრის მიერ საქმის განხილვის დროს საარბიტრაჟო სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული უმრავლესობის მიერ.

ყვეტილება, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, გამოტანილი უნდა იქნეს ხმების უმრავლესობით. რაც შეეხება პროცედურის საკითხებს, ისინი შეიძლება გადაწყვიტოს არბიტრმა — თავმჯდომარემ, თუ ამის უფლებამოსილება მიცემული ექნება მას მხარეების ან საარბიტრაჟო სასამართლოს წევრების მიერ.

მუხლი 31. მხარეთა მორიგება

1. თუ საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეები თვითონ მოაწესრიგებენ თავიანთ დავას, საარბიტრაჟო სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას და მხარეთა თხოვნით, თუ ამის წინააღმდეგი საარბიტრაჟო სასამართლო არაა, იგი დააფიქსირებს მხარეთა შეთანხმებას საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით.

2. არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეთანხმებული პირობებით გამოტანილი უნდა იქნეს 32-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და უნდა შეიცავდეს მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი არის არბიტრაჟის გადაწყვეტილება. არბიტრაჟის ასეთ გადაწყვეტილებას აქვს იგივე ძალა და უნდა აღსრულდეს ისე, როგორც არბიტრაჟის ყოველგვარი სხვა გადაწყვეტილება, გამოტანილი დავის არსის მიმართ.

მუხლი 32. არბიტრაჟის გადაწყვეტილების ფორმა და შინაარსი

1. არბიტრაჟის გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა და არბიტრებმა. თუ საქმის განხილვას აწარმოებდა ერთზე მეტი არბიტრი, მაშინ შეიძლება გადაწყვეტილებას ხელი მოაწეროს არბიტრთა უმრავლესობამ, მაგრამ მითითებული უნდა იქნეს მიზეზები, რომელთა გამო სხვა არბიტრები ხელს ვერ აწერენ.

2. არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იქნეს მოტივებზე, რომლებსაც იგი ემყარება გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოტივებზე არ უნდა იყოს მითითება, ან როცა არბიტრაჟის გადაწყვეტილება 31-ე მუხლის შესაბამისად გამოტანილია შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

3. არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს მისი მიღების თარიღი და ადგილი, როგორც ეს განსაზღვრულია 21-ე მუხლის პირველ პუნქტში. არბიტრაჟის გადაწყვეტილება ითვლება ამ ადგილზე მიღებულად.

4. არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მხარეს უნდა გადაეცეს მისი ასლი, რომელიც ხელმოწერილი იქნება არბიტრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

5. არბიტრაჟის გადაწყვეტილებას აქვს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ძალა.

6. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან; მაშინ საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს აგრეთვე თუ რომელმა მხარემ გაიღოს საარბიტრაჟო სასამართლო განხილვის ხარჯები. ამასთან ერთად, საარბიტრაჟო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ხარჯების განაწილების შესახებ იმის მიხედვით, თუ როგორია ამა თუ იმ მხარის ვალდებულებების ფორმები; იგი ითვალისწინებს აგრეთვე ცალკეული შემთხვევების ვითარებებს, განსაკუთრებით იმას, თუ როგორ დამთავრდა განხილვა. თუ არ მოხდა ხარჯების განსაზღვრა ან თუ ეს შესაძლებელია მხოლოდ საარბიტრაჟო განხილვის დამთავრების შემდეგ, ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს 34-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 33. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა

1. საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება არბიტრაჟის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანით ან საარბიტრაჟო სასა-

მართლოს დადგენილებით, რომელიც გამოტანილია ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. საარბიტრაჟო სასამართლოს გამოაქვს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ, როცა:

ა) მოსარჩელე უარს ამბობს თავის მოთხოვნებზე, უკეთუ მოპასუხე არაა განხილვის შეწყვეტის წინააღმდეგი, ხოლო საარბიტრაჟო სასამართლო არ ცნობს მოპასუხის კანონიერ ინტერესებს დავის საბოლოოდ მოგვარების მხრივ;

ბ) მხარეები შეთანხმდნენ განხილვის შეწყვეტაზე;

გ) საარბიტრაჟო სასამართლოს მიაჩნია, რომ განხილვის გაგრძელება ამა თუ იმ მიზეზის გამო საჭირო აღარაა ან შეუძლებელია.

3. საარბიტრაჟო სასამართლოს მანდატის მოქმედება შეწყდება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტასთან ერთად ოღონდ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დებულებების შესრულების გათვალისწინებით.

მუხლი 34. გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება; დამატებითი გადაწყვეტილება

1. გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, თუ მხარეები სხვა ვადაზე არ შეთანხმებულან:

ა) თითოეულ მხარეს, აცნობებს რა ამის თაობაზე მეორე მხარეს, შეუძლია სთხოვოს საარბიტრაჟო სასამართლოს გაასწოროს ყოველგვარი შეცდომა, რომელიც დაშვებულია გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერთი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;

ბ) თუ არსებობს მხარეთა შეთანხმება ამის შესახებ, თითოეულ მხარეს აცნობებს რა ამის თაობაზე მეორე მხარეს, შეუძლია სთხოვოს საარბიტრაჟო სასამართლოს მისცეს გან-

მარტება არბიტრაჟის გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტული პუნქტს ან ამ გადაწყვეტილების ნაწილს.

2. საარბიტრაჟო სასამართლო, თუ იგი თხოვნას გამართლებულად ჩათვლის, 30 დღის განმავლობაში მისი მიღებიდან უნდა მისცეს შესაბამისი განმარტება ან შეიტანოს მასში შესწორება. ასეთი განმარტება წარმოადგენს არბიტრაჟის გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს.

3. საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით გაასწოროს ყოველგვარი შეცდომა, რომელიც მითითებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის მეორე აბზაცში, 30 დღის განმავლობაში გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

4. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, თითოეულ მხარეს, აცნობებს რა ამის შესახებ მეორე მხარეს, შეუძლია არბიტრაჟის გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, სთხოვოს საარბიტრაჟო სასამართლოს გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნების მიმართ, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ ვერ ჰპოვა თავისი ასახვა გადაწყვეტილებაში. საარბიტრაჟო სასამართლომ, თუ ის ამ მოთხოვნას გამართლებულად მიიჩნევს, უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება სამოცი დღის განმავლობაში ასეთი თხოვნის მიღების დღიდან.

5. საარბიტრაჟო სასამართლოს, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გაასწოროს შეცდომები, მისცეს განმარტება ან გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი პუნქტის მე-3 აბზაცის შესაბამისად.

6. 32-ე მუხლის დებულებები გამოყენებული უნდა იქნან არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასწორების თუ განმარტების დროს ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბასაჩივრება

**მუხლი 35. გაუქმების შესახებ შუამდგომლობა,
როგორც არბიტრაჟის
გადაწყვეტილების გასაჩივრების
განსაკუთრებული საშუალება**

1. არბიტრაჟის გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში შეიძლება მოხდეს მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის გზით ამ მუხლის მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად.

2. არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს მე-7 მუხლში მითითებული სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

მხარე, რომელმაც ასეთი შუამდგომლობა აღძრა, წარმოადგენს მტკიცებულებას იმის შესახებ, რომ:

ა) საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარე, რომელიც მე-8 მუხლშია მითითებული, რაღაც ზომით არ იყო ქმედუნარიანი; ან ეს შეთანხმება ბათილია იმ კანონის შესაბამისად, რომელსაც მხარეებმა თავიანთი შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთი მოთხოვნის უქონლობისას — საქართველოს კანონის მიხედვით;

ბ) მას არ შეატყობინეს სათანადო წესის დაცვით არბიტრის დანიშვნის შესახებ ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა მიზეზის გამო ვერ შეძლო წარმოედგინა თავისი ახსნა-განმარტებები;

გ) გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელიც არაა გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან არ პასუხობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების პირობებს ან შეიცავს დადგენილებებს, რომლებიც სცილდება, საარბიტრაჟო შეთანხმების ფაერგლებს; იმის გათვალისწინებით, რომ თუ ისეთი

დადგენილებები, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებითაა გათვალისწინებული შეიძლება განვაცალკეოთ იმ დადგენილებებისაგან, რომლებიც ამ შეთანხმების ფარგლებს სცილდება, მაშინ შეიძლება არბიტრაჟის გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილის გაუქმება, რომელიც შეიცავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფარგლებს გარეთ მყოფ დადგენილებებს; ან

დ) საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა ან არბიტრაჟის პროცედურა არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, თუ ასეთი შეთანხმება არ ეწინააღმდეგება იმ კანონის დებულებას, რომელსაც მხარე გვერდს ვერ აუვლის, ხოლო შეთანხმების არარსებობისას, არ შეესაბამება ამ კანონს.

3. ან სასამართლო განსაზღვრავს, რომ:

ა) დავის საგანი საქართველოს კანონის შესაბამისად არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ) არბიტრაჟის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

4. შუამდგომლობა გაუქმების შესახებ არ შეიძლება აღიძრას სამი თვის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როცა მხარემ რომელიც ასეთ შუამდგომლობას აღძრავს, მიიღო არბიტრაჟის გადაწყვეტილება, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა თხოვნა განცხადებული იყო 34-ე მუხლის შესაბამისად ამ თხოვნის მიმართ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

5. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მიმართეს თხოვნით არბიტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, ამ სასამართლოს შეუძლია, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის ან თუ ამის შესახებ ერთ-ერთი მხარე თხოვს, შეაჩეროს გაუქმების შესახებ წარმოება მის მიერ განსაზღვრული ვადით, რათა შესაძლებლობა მიეცეს საარბიტრაჟო სასამართლოს განახლოს საარბიტრაჟო განხილვა ან მიიღოს სხვა ზომები, რომლებიც საარბიტრაჟო სასამართლოს შესუბუღებით აღმოფხვრის არბიტრაჟის გადაწყვეტილების საფუძვლებს.

თავი VIII

არბიტრაჟის გადაწყვეტილება და აღსრულება

მუხლი 36. აღიარება და აღსრულება

1. არბიტრაჟის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად იმისა, რომელ ქვეყანაშია იგი გამოტანილი, ითვლება სავალდებულოდ და კომპეტენტურ სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და 37-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

2. მხარემ, რომელიც ემყარება არბიტრაჟის გადაწყვეტილებას, ან რომელიც შუამდგომლობს მისი აღსრულების თაობაზე, უნდა წარმოადგინოს სათანადოდ დამოწმებული არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი, აგრეთვე საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი, რაც მითითებულია მე-8 მუხლში ან ასეთი შეთანხმების სათანადოდ დამოწმებული პირი. თუ არბიტრაჟის გადაწყვეტილება ან შეთანხმება გადმოცემულია უცხო ენაზე, მხარემ უნდა წარმოადგინოს ამ დოკუმენტების სათანადოდ დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

მუხლი 37. არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღიარებაზე და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღიარებაზე და აღსრულებაზე უარის თქმა, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელ ქვეყანაშია გამოტანილი ეს გადაწყვეტილება, შეიძლება მხოლოდ იმ მხარის თხოვნით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია ეს გადაწყვეტილება, თუ ეს მხარე წარუდგენს კომპეტენტურ სასამართლოს, რომელმაც უნდა აღიაროს ან აღსრულოს გადაწყვეტილება, მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ:

ა) მე-8 მუხლში მითითებული საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარე გარკვეული ზომით არ იყო ქმედუნარიანი; ან ეს შეთანხმება ბათილია კანონის შესაბამისად, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას იმ ქვეყნის კანონის შესაბამისად, სადაც გამოტანილია არბიტრაჟის გადაწყვეტილება;

ბ) მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი გადაწყვეტილება სათანადოდ არ შეატყობინეს არბიტრის დანიშვნის თუ საარბიტრაჟო განხილვის შესახებ, ან სხვა მიზეზით ვერ შეძლო თავისი ახსნა-განმარტების წარმოდგენა;

გ) გადაწყვეტილება გამოტანილია დავაზე, რომელიც არაა გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმების პირობებით, ანდა შეიცავს დადგენილებებს ისეთ საკითხებზე, რომლებიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, ოღონდ იმის მხედველობაში მიღებით, რომ თუ იმ საკითხების თაობაზე დადგენილებები, რომლებსაც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება, შეიძლება განცალკევებული იქნან დადგენილებებისაგან იმ საკითხების თაობაზე, რომლებსაც საარბიტრაჟო შეთანხმება არ მოიცავს, მაშინ არბიტრაჟის გადაწყვეტილების იმ საკითხებზე მიღებული დადგენილებები, რომლებსაც მოიცავს საარბიტრაჟო შეთანხმება, შეიძლება აღიარებული და აღსრულებული იქნეს;

დ) საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა და საარბიტრაჟო პროცედურა არ შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას, ან ასეთის უქონლობის შემთხვევაში არ შეესაბამება იმ ქვეყნის კანონს, სადაც ადგილი ჰქონდა არბიტრაჟს;

ე) თუ სასამართლო ჩათვლის, რომ დავის საგანი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი აგრეთვე არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება ეწინააღმდეგება საქართველოს საჯარო წესრიგს.

2. თუ ამ მუხლის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მითითებულ სასამართლოში აღძრულია შუამდგომლობა არბი-

ტრაჟის გადაწყვეტილების გაუქმების თუ მისი აღსრულების შეჩერების შესახებ, სასამართლოს, რომელსაც მიმართეს გადაწყვეტილების აღიარების ან აღსრულების თაობაზე შეუძლია, თუ ამას საჭიროდ ცნობს, გადადოს თავისი გადაწყვეტილების გამოტანა; მას შეუძლია აგრეთვე იმ მხარის შუამდგომლობა, რომელიც ითხოვს არბიტრაჟის გადაწყვეტილების აღიარებას თუ აღსრულებას, დაავალოს მეორე მხარეს წარმოადგინოს შესაბამისი უზრუნველყოფა.

მუხლი 38. სასამართლოს წარმოება

1. მე-7 მუხლში დასახელებული სასამართლოს თავისი განჩინებით, რომელიც მიიღება საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეუძლია დაადგინოს, რომ გადაწყვეტილების მიღების წინ უნდა მოუსმინონ მოწინააღმდეგე მხარეს.

2. სასამართლომ უნდა დანიშნოს საქმის ზეპირი განხილვა, თუ განცხადება შემოტანილია საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, ანდა თუ საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების აღიარების თუ აღსრულების თაობაზე გაკეთებულ განცხადებაში წამოყენებულია გაუქმების მიზეზები, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 39. გასაჩივრება

1. მე-7 მუხლში დასახელებული სასამართლოების გადაწყვეტილების გასაჩივრება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დაუშვა ასეთი გასაჩივრების შესაძლებლობა.

2. სასამართლო დაუშვებს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას, თუ:

საქმეს პრინციპული მნიშვნელობა აქვს;

3. გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის გამოიყენება კანონით დადგენილი წესები კერძოდ:

- ა) საჩივარი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოტანილია კანონის დარღვევით;
- ბ) ზემდგომი სასამართლო უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი გადამოწმებით.

თავი IX

არასახელშეკრულებო საარბიტრაჟო სასამართლოები

მუხლი 40. არასახელშეკრულებო საარბიტრაჟო სასამართლოები

საარბიტრაჟო სასამართლოებისათვის, რომლებიც კანონით გათვალისწინებული წესით ინიშნება იურიდიული პირის წესდების შესაბამისად, განკარგულებით ანდა სხვა ცალმხრივი გარიგების გზით, მოქმედებს ამ კანონით გათვალისწინებული წესები.